

აღსრულება: საჩივლის უზენაესი სასამართლო

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2023, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2023, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2023, №8

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2023, №8

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. აღსრულების ორგანოს აქტების კანონიერება

იძულებითი აღსრულების განხორციელების ფარგლები	4
სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებულად მიჩნევა; აღმასრულებლის ქმედების კანონიერება	28
აღსრულების წესი გირავნობით უზრუნველყოფილი აღიარებული საგადასახადო დავალიანებაზე კონკრეტული მონაცემის წარუდგენლობის შემთხვევაში	41
სააღსრულებო ბიუროს განკარგულების კანონიერების შემოწმება	65; 77; 85
გამოყენებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი	104
აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის აქტების კანონიერება	119
დავალიანების გადახდევინების შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრძანების კანონიერება	158

2. სარჩელის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის ღონისძიების – გირავნობის მოწმობების მოქმედების შეჩერების გამოყენებაზე უარის თქმის კანონიერება	170
გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შეჩერების გამოყენების წინაპირობები	179
სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობები	188

1. აღსრულების ორგანოს აქტების კანონიერება იძულებითი აღსრულების განხორციელების ფარგლებში

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმთო

№ბს-1067(კ-19)

25 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ა. ნულაძე**

დავის საგანი: ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 11 ივლისს შპს „...მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ.

სარჩელის თანახმად, შპს „...ი“ წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ სამეწარმეო სუბიექტს, რომლის ძირითადი საქმიანობა არის უზრუნველყოფილი ან/და არაუზრუნველყოფილი სესხის გაცემა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე. შპს „...სა“ და ა. ნ-ს და ი. ნ-ას (სოლიდარული თავდები) შორის გაფორმდა ხელშეკრულებები სესხისა და თავდებობის შესახებ. მსესხებლისა და თავდები პირების მიერ არ იქნა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებული, რის გამოც კრედიტორმა – შპს „...მა“ მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლების გაცემა აღნიშნული სესხისა და თავდებობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მსესხებლისა და თავდები პირის მიმართ. ნოტარიუსის მიერ გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცლები, რაც შპს „...ის“ მიერ წარდგენილ იქნა აღსასრულებლად კერძო აღმასრულებელთან, რომელთა საფუძველზეც დაწყებულ იქნა სააღსრულებო წარმოებები. აღნიშნული სააღსრულებო წარმოების ფარგლებში სხვა ქონებებთან ერთად ყადაღა დაედო მოვალეების – ა. ნ-ს 60% წილს შპს „ი...ში“ და ასევე ი. ნ-ას 30% წილს შპს „ი...ში“. აქვე აღინიშნა, რომ ი. ნ-ას 30%-იანი წილი შპს „ი...ში“ გააჩნდა შპს „...ის“ წინაშე ვალდებულების წარმოშობამდე.

სარჩელის მიხედვით, სააღსრულებო წარმოების ეტაპზე გარდაიცვალა ერთ-ერთი მოვალე – ა. ნ-ა, ხოლო სამკვიდრო მოწმობის თანახმად ა. ნ-ს მემკვიდრეებს წარმოადგენენ: ი. ხ-ი, ლ. ნ-ა, ი. ნ-ა და ლ. ნ-ა, რომელთაც მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონება მიიღეს თანაბარ წილში $\frac{1}{4}$ – $\frac{1}{4}$ ნაწილში. მემკვიდრეებმა თანაბარ წილად მემკვიდრეობით მიიღეს ა. ნ-ს 60%-იანი კუთვნილი წილი შპს „ი...ში“, მათ შორის ი. ნ-ამ მემკვიდრეობით მიიღო 15% წილი და საკუთრებაში გაუხდა შპს „...ს“ 45%, საიდანაც 30% ეკუთვნოდა სამკვიდროს მიღებამდე, ხოლო მემკვიდრეობით მიიღო დამატებით 15%.

სარჩელის მიხედვით, შპს „...ის“ მიერ აღნიშნული სააღსრულებო საქმეების წარმოების ფარგლებში შეფასებულ იქნა მოვალე ი. ნ-ას 30%-იანი წილის ღირებულება, რომლის აუქციონზე რეალიზაციის თაობაზე მომსახურების მიზნით კერძო აღმასრულებლის მიერ გადაგზავნილ იქნა ოთხი სააღსრულებო საქმე (აქედან ორი საქმე შეჩერებული იქნა სასამართლოს მიერ), სადაც კრედიტორს წარმოადგენს შპს „...ი“, ხოლო მოვალეს ი. ნ-ა. აღნიშნული საქმეების ფარგლებში აუქციონი უნდა გამართულიყო შპს „ი...ში“ მოვალე ი. ნ-ას 30%-იანი წილის რეალიზაციაზე. ამავ დროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენი 13 სააღსრულებო საქმე, სადაც ერთ-ერთ მოვალეს ასევე წარმოადგენს ი. ნ-ა, როგორც მისი გარდაცვლილი მამის – ა. ნ-ს მემკვიდრე, რომელმაც კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მემკვიდრეობით მიიღო მამის $\frac{1}{4}$ დანაშთი სამკვიდრო. ასეთ ვითარებაში სააღსრულებო ბიურო აუქციონს შპს „ი...ში“ მოვალე ი. ნ-ას 30%-იანი წილის რეალიზაციის თაობაზე ატარებს შპს „...ის“ გარდა ყველა სხვა კრედიტორის სასარგებლოდაც და აპირებს ამოღებული თანხა გაანაწილოს თითოეული კრედიტორის მოთხოვნების პროპორციულად, ეს მაშინ, როდესაც შპს „...ი“ წარმოადგენს მოვალე ი. ნ-ას პირად მოვალეს, ხოლო სხვა კრედიტორების წინაშე ი. ნ-ა არის მოვალე როგორც გარდაცვლილი მამის – ა. ნ-ს მემკვიდრე, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო 15% წილი ამავე კომპანიაში და დამატებით კიდევ სხვა ქონება.

მოსარჩელის განმარტებით, შპს „...მა“ მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს, რათა შპს „ი...ში“ მოვალე ი. ნ-ას საკუთრებაში არსებული 30% წილის რეალიზაცია აუქციონზე მოეხდინა დროულად და მხოლოდ შპს „...ის“ სასარგებლოდ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 4 აპრილის №26740 წერილით ეცნობათ, რომ თბილისის სააღსრულებო ბიურო ახორციელებს აუქციონს შპს „...ის“ გარდა ყველა სააღსრულებო საქმეზე, რომელიც მიმდინარეობს ი. ნ-ას მიმართ, როგორც გარდაცვლილი მამის სამართალ-მემკვიდრის მიმართ და 30%-იანი წილის რეალიზაციიდან ამოღე-

ბული თანხის განაწილებას აპირებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 82² და 82³ მუხლების შესაბამისად.

მოსარჩელის მითითებით, მოპასუხის ამგვარი მოქმედება უკანონოა და ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლს, რომლის თანახმად, მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. ამდენად, აღნიშნული ნორმის თანახმად, მემკვიდრეებმა მამკვიდრებლის ვალდებულებებზე პასუხი უნდა აგონ მიღებული აქტივის ფარგლებში და არა მანამდე არსებული ქონებით, თბილისის სააღსრულებო ბიურო კი მოქმედებს პირიქით, ი. ნ-ას 30%-იანი წილის (რომელიც მას საკუთრებაში გააჩნდა მემკვიდრეობის მიღებამდე) რეალიზაციიდან ამოღებულ თანხებს პროპორციულად უნაწილებს როგორც მოსარჩელე შპს „...ს“ (ი. ნ-ას პირად მოვალეს), ასევე სხვა კრედიტორებს, რომლებიც წარმოდგენენ ი. ნ-ას მამის (მამკვიდრებლის) კრედიტორებს.

მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხის ქმედება ეწინააღმდეგება კანონს, რითაც ილაზხება შპს „...ის“ ინტერესები, მას უმცირდება ქონების რეალიზაციიდან მისაღები თანხის ოდენობა და დგება რისკის ქვეშ, რომ სრულად არ იქნეს მისი მოთხოვნა დაკმაყოფილებული.

ამდენად, მოსარჩელემ მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროსთვის ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების დავალება მოითხოვა, კერძოდ, №A16043406 და №A16043206 სააღსრულებო საქმეებზე შპს „ი...ში“ მოვალე ი. ნ-ას საკუთრებაში არსებული 30% წილის რეალიზაცია აუქციონზე არ განახორციელოს შპს „...ის“ გარდა სხვა კრედიტორების სასარგებლოდ, რომლებიც წარმოდგენილი არიან შემდეგ სააღსრულებო საქმეებში: №A17023772, №A17014065, №A17012268, №A17008079, №A17004467, №A17003694, №A17003698, №A17003699, №A17003697, №A17003696, №A17004284, №A17009182, №A16134645.

ამასთან, მოსარჩელემ იშუამდგომლა დავის დასრულებამდე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აკრძალვოდა შპს „ი...ში“ მოვალე ი. ნ-ას საკუთრებაში არსებული 30% წილის რეალიზაცია აუქციონზე იმ კრედიტორთა სასარგებლოდ, რომლებიც წარმოდგენილი არიან შემდეგ სააღსრულებო საქმეებში: №A17023772, №A17014065, №A17012268, №A17008079, №A17004467, №A17003694, №A17003698, №A17003699, №A17003697, №A17003696, №A17004284,

№A17009182, №A16134645.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 აპრილის განჩინებით შპს „...ს“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 ნოემბრის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ ი. ნ-ა, ხ. ჯ-ა, ნ. კ-ი, ს. ჯ-ა, ი. ტ-ე, თ. მ-ე, ა. კ-ე, მ. მ-ე, თ. კ-ა, შპს „...“, შპს „ლ...“ და კერძო აღმასრულებელი ე. ღ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით შპს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, 2016 წლის 10 მაისს შპს „...მა“ განცხადებით მიმართა კერძო აღმასრულებელს ნოტარიუსის მიერ გაცემული №160483914, №160483839, №160483964 და №160483777 სააღსრულებო ფურცლების იძულებითი აღსრულების მიზნით, რომლის თანახმად, კრედიტორს წარმოადგენდა შპს „...ი“, ხოლო მოვალეებს – ა. ნ-ა და ი. ნ-ა. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლები გაცემული იყო 2015 წლის 6 ნოემბერს, 2015 წლის 1 დეკემბერს, 2015 წლის 19 დეკემბერსა და 2016 წლის 29 თებერვალს შპს „...სა“ და ა. ნ-სა და ი. ნ-ას შორის გაფორმებული სესხისა და თავდებობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმად, შპს „...მა“ ა. ნ-ს ასესხა 30 000 აშშ დოლარი, 15 000 აშშ დოლარი, 20 000 აშშ დოლარი და 40 000 აშშ დოლარი. ამასთან, ოთხივე შემთხვევაში თავდებს წარმოადგენდა ი. ნ-ა.

კერძო აღმასრულებელსა და შპს „...ს“ შორის გაფორმებული სააღსრულებო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, კერძო აღმასრულებელმა სააღსრულებო ფურცლების მიხედვით გაერთიანებული A16043406, A16043397, A16043393 და A16043206 სააღსრულებო წარმოებების საფუძველზე არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, განხორციელა რიგი სააღსრულებო მოქმედებები, კერძოდ, 2016 წლის 10 მაისს მოვალეებს ა. ნ-სა და ი. ნ-ას მიეცათ წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, განხორციელდა მოვალის ქონების მოძიება, მოვალის ქონებასა და ბანკში მოვალის ანგარიშებზე ყადაღის რეგისტრაცია. ამასთან, დადგენილი იყო, რომ ხსენებული ოთხი სააღსრულებო ფურცლიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, შეჩერდა 2016 წლის 10 მაისის №160483964 და

№160483777 სააღსრულებო ფურცლების მოქმედება, შესაბამისად, შეჩერებული იქნა აღნიშნული სააღსრულებო ფურცლების საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოებები.

2016 წლის 28 დეკემბრის სამკვიდრო მონუმბის მიხედვით, ა. ნ-ს გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო და კანონისმიერმა პირველი რიგის მემკვიდრეებმა – მეუღლემ, შვილებმა და დედამ თანაბარწილად საკუთრებაში მიიღეს სამკვიდრო ქონება – სამკვიდრო ქონებაში შემავალი აქტივები, წილები სამეწარმეო საზოგადოებებში, მოთხოვნის უფლება მიუღებელ პენსიაზე, ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში განთავსებულ საბანკო ანაბარზე თანხა და სხვა არაპირადი ხასიათის უფლებები, რომელიც ჰქონდა მამკვიდრებელს მესამე პირთა მიმართ და პასივები, რომელიც მას გააჩნდა გარდაცვალების მომენტისთვის. მემკვიდრეთა განცხადებით სამკვიდრო ქონება შეფასებული იყო 1 500 000 ლარად, აქედან ი. ხ-ის წილი შეფასებული იყო 375 000 ლარად, ლ. ნ-ას წილი შეფასებული იყო 375 000 ლარად, ი. ნ-ას წილი შეფასებული იქნა 375 000 ლარად და ლ. ნ-ას წილი ასევე შეფასებული იყო 375 000 ლარად.

2016 წლის 29 დეკემბერს თ. კ-ამ განცხადებით მიმართა კერძო აღმასრულებელს ნოტარიუსის მიერ 2016 წლის 29 დეკემბერს გაცემული №161476614 სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების მიზნით, რომლის თანახმად, კრედიტორს წარმოადგენდა თ. კ-ა, ხოლო მოვალეებს – ი. ხ-ი, ლ. ნ-ა, ი. ნ-ა და ლ. ნ-ა. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის და შესწორების აქტის თანახმად, აღსრულება უნდა განხორციელებულიყო მოვალის უფლებამონაცვლების – ი. ხ-ის, ლ. ნ-ას, ი. ნ-ასა და ლ. ნ-ას მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქონების ფარგლებში. ამდენად, თბილისის სააღსრულებო ბიურომ დაიწყო №16134645 სააღსრულებო წარმოება და აღმასრულებლის მიერ განხორციელდა რიგი სააღსრულებო მოქმედებები.

2017 წლის 10 იანვარს მ. მ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს ნოტარიუსის მიერ 2017 წლის 6 იანვარს გაცემული №170011572 სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების მიზნით, რომლის თანახმად, კრედიტორს წარმოადგენდა მ. მ-ე, ხოლო მოვალეებს – ი. ხ-ი, ლ. ნ-ა, ი. ნ-ა და ლ. ნ-ა. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის თანახმად, აღსრულება უნდა განხორციელებულიყო მოვალის უფლებამონაცვლების მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქონების ფარგლებში. ამდენად, თბილისის სააღსრულებო ბიურომ დაიწყო A17004284 სააღსრულებო წარმოება და აღმასრულებლის მიერ განხორციელდა რიგი სააღსრულებო მოქმედებები.

2017 წლის 11 იანვარს ა. კ-ემ განცხადებებით მიმართა თბილი-

სის სააღსრულებო ბიუროს ნოტარიუსის მიერ 2017 წლის 10 იანვარს გაცემული №170022176, №170022492, №170022234, №170022376 და №170022289 სააღსრულებო ფურცლების იძულებითი აღსრულების მიზნით, რომლის თანახმად, კრედიტორს ხუთივე შემთხვევაში წარმოადგენდა ა. კ-ე, ხოლო მოვალეებს – ა. ნ-ა, ი. ხ-ი, ლ. ნ-ა, ი. ნ-ა და ლ. ნ-ა. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლებისა და მათში შეტანილი ჩასწორების აქტის თანახმად, აღსრულება უნდა განხორციელებულიყო მოვალის ა. ნ-ს უფლებამონაცვლეების – ი. ხ-ის, ლ. ნ-ას, ი. ნ-ას და ლ. ნ-ას მიერ მამკვიდრებლისგან – ა. ნ-სგან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ფარგლებში, უძრავი და მოძრავი ქონების რეალიზაცია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით. ამდენად, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ დაიწყო A17003694, A17003698, A17003699, A17003697 და A17003696 სააღსრულებო წარმოებები და განხორციელდა რიგი სააღსრულებო მოქმედებები, მოვალის ქონებასა და ბანკში მოვალის ანგარიშებზე ყადაღის რეგისტრაცია, მათ შორის, ი. ნ-ას სახელზე რიცხულ შპს „...ს“ 45%-იან ნილზე, საიდანაც 15% მოვალეს მიღებული ჰქონდა მამკვიდრებლისგან, ხოლო 30% ნილს ფლობდა სამკვიდროს გახსნამდე.

2017 წლის 12 იანვარს თ. მ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს ნოტარიუსის მიერ 2017 წლის 11 იანვარს გაცემული №170027870 სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების მიზნით, რომლის თანახმად, კრედიტორს წარმოადგენდა თ. მ-ე, ხოლო მოვალეებს – ი. ხ-ი, ლ. ნ-ა, ი. ნ-ა და ლ. ნ-ა. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლისა და მასში შეტანილი ჩასწორების აქტის თანახმად, აღსრულება უნდა განხორციელებულიყო მოვალის უფლებამონაცვლეების მიერ, მიღებული სამკვიდროს აქტივის ფარგლებში. ამდენად, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ დაიწყო A17004467 სააღსრულებო წარმოება და არაერთხელ მიეცათ წინადადება მოვალეებს – ი. ხ-ს, ლ. ნ-ას, ი. ნ-ას და ლ. ნ-ას ვალდებულების 7 დღის ვადაში ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, ასევე განხორციელდა მოვალის ქონების მოძიება, მოვალის ქონებასა და ბანკში მოვალის ანგარიშებზე ყადაღის რეგისტრაცია, მათ შორის, ი. ნ-ას სახელზე რიცხულ შპს „...ს“ 45%-იან ნილზე, საიდანაც 15% მოვალეს მიღებული ჰქონდა მამკვიდრებლისგან, ხოლო 30% ნილს ფლობდა სამკვიდროს გახსნამდე.

2017 წლის 13 იანვარს ი. ტ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს ნოტარიუსის მიერ 2016 წლის 1 მარტს გაცემული №160193608 სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების მიზნით, რომლის თანახმად, კრედიტორს წარმოადგენდა ი. ტ-ე, ხოლო მოვალეს – ა. ნ-ა. აღნიშნული სააღსრულებო ფურ-

ცლისა და მასში შეტანილი ცვლილების თანახმად, აღსრულება უნდა განხორციელებულიყო მოვალის უფლებამონაცვლებების მიერ, მამკვიდრებლისგან ა. ნ-სგან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ფარგლებში. ამდენად, თბილისის სააღსრულებო ბიურომ დაიწყო A17008079 სააღსრულებო წარმოება და აღმასრულებლის მიერ განხორციელდა რიგი სააღსრულებო მოქმედებები.

2017 წლის 23 იანვარს შპს „ლ...“-მა განცხადებით მიმართა კერძო აღმასრულებელს ნოტარიუსის მიერ 2017 წლის 20 იანვარს გაცემული №170055583 სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების მიზნით, რომლის თანახმად, კრედიტორს წარმოადგენდა შპს „ლ...“, ხოლო მოვალეებს – ი. ხ-ი, ლ. ნ-ა, ი. ნ-ა და ლ. ნ-ა. ამდენად, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ დაიწყო A17009182 სააღსრულებო წარმოება და განხორციელდა რიგი სააღსრულებო მოქმედებები, მოვალის ქონებასა და ბანკში მოვალის ანგარიშებზე ყადაღის რეგისტრაცია, მათ შორის, ი. ნ-ას სახელზე რიცხულ შპს „...ს“ 45%-იან წილზე, საიდანაც 15% მოვალეს მიღებული ჰქონდა მამკვიდრებლისგან, ხოლო 30% წილს ფლობდა სამკვიდროს გახსნამდე.

2017 წლის 30 იანვარს ს. ჯ-ამ განცხადებით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს ნოტარიუსის მიერ 2016 წლის 8 ნოემბერს გაცემული №161284736 სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების მიზნით, რომლის თანახმად, კრედიტორს წარმოადგენდა ს. ჯ-ა, ხოლო მოვალეებს – ი. ხ-ი, ლ. ნ-ა, ი. ნ-ა და ლ. ნ-ა. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლისა და მასში შეტანილი ჩასწორების აქტის თანახმად, აღსრულება უნდა განხორციელებულიყო მოვალის უფლებამონაცვლებების მიერ, მხოლოდ მიღებული სამკვიდროს აქტივის ფარგლებში. ამდენად, თბილისის სააღსრულებო ბიურომ დაიწყო A17012268 სააღსრულებო წარმოება და აღმასრულებლის მიერ განხორციელდა რიგი სააღსრულებო მოქმედებები.

2017 წლის 1 თებერვალს ნ. კ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს ნოტარიუსის მიერ 2017 წლის 1 თებერვალს გაცემული №170099983 სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების მიზნით, რომლის თანახმად, კრედიტორს წარმოადგენდა ნ. კ-ი, ხოლო მოვალეებს – ა. ნ-ა, ი. ხ-ი, ლ. ნ-ა, ი. ნ-ა და ლ. ნ-ა. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლისა და მასში შეტანილი შესწორების აქტის თანახმად, უნდა განხორციელებულიყო მოვალის ა. ნ-ს უფლებამონაცვლებების – ი. ხ-ის, ლ. ნ-ას, ი. ნ-ას და ლ. ნ-ას მიერ მამკვიდრებლისგან – ა. ნ-სგან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ფარგლებში უძრავი და მოძრავი ქონების რეალიზაცია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით. ამდენად, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ დაიწყო A17014065 სააღსრუ-

ლებო წარმოება და აღმასრულებლის მიერ განხორციელდა რიგი სააღსრულებო მოქმედებები.

2017 წლის 27 თებერვალს ხ. ჯ-ამ განცხადებით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს ნოტარიუსის მიერ 2017 წლის 25 თებერვალს გაცემული №170192201 სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების მიზნით, რომლის თანახმად, კრედიტორს წარმოადგენდა ხ. ჯ-ა, ხოლო მოვალეებს – ი. ხ-ი, ლ. ნ-ა, ი. ნ-ა და ლ. ნ-ა. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის თანახმად, უნდა განხორციელებულიყო მოვალის ა. ნ-ს უფლებამონაცვლეების – ი. ხ-ის, ლ. ნ-ას, ი. ნ-ას და ლ. ნ-ას მიერ მამკვიდრებლისგან – ა. ნ-სგან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ფარგლებში უძრავი და მოძრავი ქონების რეალიზაცია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით. ამდენად, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ დაიწყო A17023772 სააღსრულებო წარმოება და არაერთხელ მისცა წინადადება მოვალეებს – ი. ხ-ს, ლ. ნ-ას, ი. ნ-ას და ლ. ნ-ას ვალდებულების 7 დღის ვადაში ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, ასევე განხორციელდა მოვალის ქონების მოძიება, მოვალის ქონებასა და ბანკში მოვალის ანგარიშებზე ყადაღის რეგისტრაცია, მათ შორის, დაყადაღებული იქნა მოვალე ი. ნ-ას სახელზე რიცხულ შპს „...ს“ 45%-იან წილზე, საიდანაც 15% მოვალეს მიღებული ჰქონდა მამკვიდრებლისგან, ხოლო 30% წილს ფლობდა სამკვიდროს გახსნამდე.

თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 4 აპრილის წერილით შპს „...ს“ ეცნობა, რომ გარდა იმ საქმეებისა, სადაც შპს „...ი“ წარმოადგენდა კრედიტორ მხარეს, ი. ნ-ა №A17023772, №A17014065, №A17012268, №A17008079, №A17004467, №A17003694, №A17003698, №A17003699, №A17003697, №A17003696, №A17004284, №A17009182 და №A16134645 სააღსრულებო საქმეებში ასევე წარმოდგენილი იყო მოვალედ, როგორც ა. ნ-ს მემკვიდრე. ამასთან, აღსრულების ეროვნულ ბიუროში არსებული ყველა სააღსრულებო საქმე წარმოადგენდა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის კატეგორიას და აღმასრულებელი უზრუნველყოფდა აუქციონის ჩატარებას ყველა იმ კრედიტორთა სასარგებლოდ, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ ფულადი მოთხოვნა მოვალის მიმართ აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე, გარდა შეჩერებული სააღსრულებო საქმეებისა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება სანოტარო აქტი. ამავდროულად კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინე-

ბული აღსასრულებელი გადანაცვეტილებების იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში – აღსრულების ეროვნული ბიურო); ხოლო მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით; მე-3 პუნქტის საფუძველზე, აღსასრულებელი გადანაცვეტილებების იძულებით აღსრულებას ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში აგრეთვე ახორციელებს კერძო აღმასრულებელი, რომელიც მე-14⁶ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არის ფიზიკური პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას – სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. აღნიშნული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე; ხოლო მე-14⁷ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, კერძო აღმასრულებლის მიერ აღსრულება ხორციელდება კრედიტორის მიმართვისა და მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...მა“ განცხადებით მიმართა კერძო აღმასრულებელს ნოტარიუსის მიერ გაცემული ოთხი სხვადასხვა სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, რომელთაგან ორი სააღსრულებო ფურცლის მოქმედება შეჩერებული იქნა. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლების გაცემის საფუძველს წარმოადგენდა შპს „...სა“ და ა. ნ-სა და ი. ნ-ას შორის გაფორმებული სესხისა და თავდებობის შესახებ ხელშეკრულებები. ამდენად, მოვალეს ოთხივე შემთხვევაში ა. ნ-სთან ერთად წარმოადგენდა ი. ნ-ა.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ნ-ა ერთპიროვნულად წარმოადგენდა ხელშეკრულების მხარეს და მოვალეს მთელი რიგი კრედიტორების – ნ. კ-ის, ს. ჯ-ას, ი. ტ-ის, თ. მ-ის, მ. მ-ის, თ. კ-ას, შპს „ლ...“-ის, ხ. ჯ-ასა და ა. კ-ის მიმართ, თუმცა მისი გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო და კანონისმიერმა პირველი რიგის მემკვიდრეებმა, მეუღლემ, შვილებმა და დედამ თანაბარწილად საკუთრებაში მიიღეს სამკვიდრო ქონება – სამკვიდრო ქონებაში შემავალი აქტივები, წილები სამენარმეო საზოგადოებებში, მოთხოვნის უფლება მიუღებელ პენსიაზე, ნებისმიერ საბანკო

დაწესებულებაში განთავსებულ საბანკო ანაბარზე თანხა და სხვა არაპირადი ხასიათის უფლებები, რომელიც ჰქონდა მამკვიდრებელს მესამე პირთა მიმართ და პასივები, რომელიც მას გააჩნდა გარდაცვალების მომენტისთვის. ამდენად, აღნიშნული კრედიტორების მიმართ მამკვიდრებლისგან მიღებული აქტივის ფარგლებში ერთ-ერთ მოვალეს წარმოადგენდა ი. ნ-ა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის საფუძველზე, აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში. იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს გადახდევინება მოვალის ქონებიდან მასზე ყადაღის დადებით და ქონების გაყიდვით. ამასთან, ამავე კანონის 25-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, თანხის გადახდევინების, უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის, ქონების გადაცემის ან სხვა ისეთი კატეგორიის საქმეებზე, როდესაც აღსრულება უნდა განხორციელდეს მოვალის ქონებაზე ან ამ ქონების ხარჯზე, წინადადების ჩაბარებასთან ერთად (ან თუ წინადადების ჩაბარება დროულად ვერ ხდება) აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების მოძიებას, აღწერას და მასზე ყადაღის დადებას ამ კანონით დადგენილი წესით.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...ისა“ და სხვა კრედიტორების მოთხოვნები სააღსრულებო საქმეებზე მიეკუთვნებოდა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის კატეგორიას და თითოეულის დაკმაყოფილების მიზნით, რიგ შემთხვევაში კერძო აღმასრულებლის, რიგ შემთხვევებში თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ განხორციელდა სააღსრულებო მოქმედებები, კერძოდ, მოვალეებს მიეცათ წინადადებები გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, განხორციელდა მოვალის ქონების მოძიება, მოვალის ქონებასა და ბანკში მოვალის ანგარიშებზე ყადაღის რეგისტრაცია, მათ შორის, დაყადაღებული იქნა მოვალე ი. ნ-ას 45%-იანი წილი შპს „ი...ში“, საიდანაც 15% მოვალეს მიღებული ჰქონდა მამკვიდრებლისგან, ხოლო 30% წილს ფლობდა მამკვიდროს გახსნამდე.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება მასზედ, რომ მოცემულ შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაცია განხორციელდება იმგვარად, რომ №A17023772, №A17014065, №A17012268, №A17008079, №A17004467, №A17003694,

№A17003698, №A17003699, №A17003697, №A17003696, №A17004284, №A17009182 და №A16134645 სააღსრულებო საქმეებზე კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდება მოვალე ი. ნ-ას იმ ქონებიდან, რომელიც მემკვიდრეობის მიღებამდე ჰქონდა საკუთრებაში და აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის საფუძველზე მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეზღუდულია, კერძოდ, მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. ამდენად, საქალაქო სასამართლოს მითითებით, მიღებული აქტივის ფარგლებში პასუხისმგებლობა არ გამოორიცხავს აღმასრულებლის შესაძლებლობას, მოიძიოს მოვალის მთლიანი ქონება და დაადოს ყადაღა, თუმცა საბოლოოდ ა. ნ-ს კრედიტორებისთვის გასაცემი პასივი ვერ იქნება მემკვიდრეობით მიღებულ აქტივზე მეტი. №A17023772, №A17014065, №A17012268, №A17008079, №A17004467, №A17003694, №A17003698, №A17003699, №A17003697, №A17003696, №A17004284, №A17009182 და №A16134645 სააღსრულებო საქმეებზე გაცემული სააღსრულებო ფურცლები მათში შეტანილ ცვლილებებთან ერთად ცხადყოფდა, რომ სარეალიზაციოდ მიქცეული უნდა იქნეს მხოლოდ მამკვიდრებლისგან მიღებული ქონება კრედიტორთა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, რაც გამოორიცხავდა ი. ნ-ას სხვა ქონებიდან მამკვიდრებლის კრედიტორების დაკმაყოფილებას.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებზე, რომლის თანახმად, ქონებას ერთდროულად შეიძლება ყადაღა დაედოს მრავალი კრედიტორის სასარგებლოდ. ყადაღადადებულ ქონებას შეიძლება შემდეგ კიდევ დაედოს ყადაღა სხვა (შემდეგი) კრედიტორის სასარგებლოდ. თუ ქონებას პირველი ყადაღა დაადო სხვა აღმასრულებელმა, მას უნდა ეცნობოს ყადაღის დადების რეგისტრაციის შესახებ. ამასთან, ერთი მოვალის მიმართ რამდენიმე სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული ფულადი მოთხოვნების სხვადასხვა აღმასრულებლის მიერ აღსრულების შემთხვევაში მოვალის ერთი და იმავე ქონების აუქციონის წესით ან სხვაგვარ რეალიზაციას ახორციელებს ის აღმასრულებელი, რომელმაც ყველაზე ადრე დაარეგისტრირა ყადაღა.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლომ აღნიშნა, რომ ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობით განპირობებულ სააღსრულებო საქმეებზე არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგითობას კანონი არ ითვალისწინებს, ხოლო შპს „...ისა“

და სხვა კრედიტორების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დაწყებული სააღსრულებო წარმოების გაერთიანების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის და აღნიშნული ვერ გახდება მოცემული დავის საგანი. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქონებაზე ერთდროულად მრავალი კრედიტორის სასარგებლოდ ყადაღის დადება და აღმასრულებლის მიერ აუქციონის ჩატარება ყველა იმ კრედიტორთა სასარგებლოდ, რომელთაც წარმოდგენილი აქვთ ფულადი მოთხოვნა მოვალის მიმართ, მის მიერ მემკვიდრეობით მიღებული მხოლოდ აქტივის ფარგლებში, საფუძვლიანია და მოცემულ ეტაპზე არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან. განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისა და ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ სასამართლომ მოპასუხის მიერ მოვალე ი. ნ-ას სახელზე რიცხულ წილზე განხორციელებული ყადაღის რეგისტრაცია დასაბუთებულად მიიჩნია, ამასთან, საბოლოოდ №A17023772, №A17014065, №A17012268, №A17008079, №A17004467, №A17003694, №A17003698, №A17003699, №A17003697, №A17003696, №A17004284, №A17009182 და №A16134645 სააღსრულებო საქმეებზე კრედიტორებისთვის გასაცემი პასივი ვერ იქნებოდა მემკვიდრეობით მიღებულ აქტივზე მეტი, სასამართლომ დაასკვნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა, დაევალოს მოპასუხეს ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება, კერძოდ, შპს „ი...ში“ მოვალე ი. ნ-ას საკუთრებაში არსებული 30% წილის რეალიზაცია აუქციონზე არ განახორციელოს შპს „...ის“ გარდა სხვა კრედიტორების სასარგებლოდ, უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...მა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკ-

მაყოფილება მოითხოვდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 23 მაისის განჩინებით შპს „...ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და სამართლებრივ საკითხებთან, მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 23 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...მა“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას და მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

კასატორის მითითებით, მათი სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ შპს „...ის“ მოვალეს – ი. ნ-ას მემკვიდრეობის მიღებამდე გააჩნდა საკუთრებაში 30%-იანი წილი შპს „ი...ში“. ამასთან ერთად, ი. ნ-ას მიმართ შპს „...ი“ აღსრულებას ითხოვდა როგორც პირადი მოვალის მიმართ, ხოლო სხვა სააღსრულებო საქმეებში, სადაც კრედიტორები არიან საქმეში ჩართული მესამე პირები, ი. ნ-ა წარმოდგენილი იყო როგორც მამის – ა. ნ-ს მემკვიდრე, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო მამის სამკვიდრო ქონების $\square$ ნაწილი, მათ შორის, 15%-იანი წილი შპს „ი...ში“. ამდენად, კასატორი უკანონოდ მიიჩნევს თბილისის სააღსრულებო ბიუროს განსახორციელებელ ქმედებას, რომლის თანახმადაც, ის აპირებს ი. ნ-ას ქონებაზე – 30%-იან წილზე შპს „ი...ში“ იძულებითი აუქციონი ჩაატაროს, როგორც შპს „...ის“ სასარგებლოდ, ასევე ი. ნ-ას, როგორც ა. ნ-ს მემკვიდრის კრედიტორების სასარგებლოდ და ამოღებული თანხა გაანაწილოს ყველა სხვა კრედიტორის სასარგებლოდ მოთხოვნების პროპორციულად მიღებული სამკვიდროს ღირებულების ფარგლებში, რასაც კასატორის მოსაზრებით, ადასტურებდა სარჩელზე თანდართული თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსის 2017 წლის 4 აპრილის წერილი.

კასატორის მოსაზრებით, სააღსრულებო ბიუროს მიერ განსა-

ხორციელებელი ქმედება ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის პირველ ნაწილს, ვინაიდან აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს, რომ მემკვიდრემ მამკვიდრებლის კრედიტორები უნდა დააკმაყოფილოს მიღებული აქტივის ფარგლებში, თითოეულის წილის პროპორციულად. „მიღებული აქტივი“ კი ნიშნავს კონკრეტულ აქტივს, ნატურას, მაგ: მიღებული ქონება, იქნება ეს მოძრავი თუ უძრავი, წილი სამეწარმეო საზოგადოებაში (როგორც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში) და ა.შ.

ამასთან, კასატორის მითითებით, სადავო საკითხთან მიმართებით ქვედა ინსტანციის სასამართლოებს ბუნდოვანი, დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივი პოზიცია აქვს. სასამართლოს მიერ გადწყვეტილებით გატარებულია ორი წინააღმდეგობრივი აზრი, ერთ შემთხვევაში სასამართლო აღნიშნავს, რომ მიღებული აქტივის ფარგლებში პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს აღმასრულებლის შეცდომებობას, მოიძიოს მოვალის მთლიანი ქონება და დაადოს ყადაღა, ხოლო მეორე შემთხვევაში აღნიშნავს, რომ სააღსრულებო საქმეებზე გაცემული სააღსრულებო ფურცლები მათში შეტანილ ცვლილებებთან ერთად ცხადყოფს, რომ სარეალიზაციოდ მიქცეული უნდა იქნეს მხოლოდ მამკვიდრებლისგან მიღებული ქონება კრედიტორთა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, რაც გამორიცხავს ი. ნ-ას სხვა ქონებიდან მამკვიდრებლის კრედიტორების დაკმაყოფილებას. საბოლოოდ, სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით კი შპს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გარდა აღნიშნულისა, კასატორი მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლზე, რომელიც კასატორის მითითებით, განსაზღვრავს მრავალჯერადი ყადაღის დადების და ფულად მოთხოვნათა აღსრულების რიგითობას. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მოსაზრებით, თბილისის სააღსრულებო ბიურო მომავალში დაარღვევს აღნიშნული ნორმით დადგენილ წესს, იმ შემთხვევაში, თუ განახორციელებს იმ ქმედებას, რომლისგან თავის შეკავებაც არის მოთხოვნილი მოპასუხის მიმართ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 30 სექტემბრის განჩინებით (მომხსენებელი მოსამართლე: ვ. როინიშვილი), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 29.05.2020წ. №28/პლ-2020 დადგენილებით მოსამართლე ვ. როინიშვილი დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, რის გამოც მის წარმოებაში არსებული საქმეები საკასაციო სასამარ-

თლოს მოსამართლეებზე განაწილდა შემთხვევითი განაწილების პრინციპით საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით. მოცემული საქმე 2020 წლის 23 ივნისს დაენერა მოსამართლე მ. ვაჩაძეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ნოემბრის განჩინებით შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 23 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...ის“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, შპს „...ის“ სასარჩელო მოთხოვნის მიზანია თბილისის სააღსრულებო ბიუროსთვის ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების დავალება, კერძოდ, მოპასუხემ შპს „ი...ში“ მოვალე ი. ნ-ას საკუთრებაში არსებული 30% წილის რეალიზაცია აუქციონზე არ განახორციელოს შპს „...ის“ გარდა სხვა კრედიტორების სასარგებლოდ №A17023772, №A17014065, №A17012268, №A17008079, №A17004467, №A17003694, №A17003698, №A17003699, №A17003697, №A17003696, №A17004284, №A17009182 და №A16134645 სააღსრულებო საქმეებზე. კასატორის მითითებით, მათი სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ შპს „...ის“ მოვალეს – ი. ნ-ას მემკვიდრეობის მიღებამდე გააჩნდა საკუთრებაში 30%-იანი წილი შპს „ი...ში“. ამასთან ერთად, ი. ნ-ას მიმართ შპს „...ის“ აღსრულებას ითხოვდა როგორც პირადი მოვალის მიმართ, ხოლო სხვა სააღსრულებო საქმეებში, სადაც კრედიტორები არიან საქმეში ჩართული მესამე პირები, ი. ნ-ა წარმოდგენილი იყო როგორც მამის – ა. ნ-ს მემკვიდრე, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო მამის სამკვიდრო ქონების $\square$ ნაწილი, მათ შორის, 15%-იანი წილი შპს „ი...ში“. საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელის მიერ მითითებულ სააღსრულებო საქმეებზე განხორციელდა ყადაღის რეგისტრაცია მოვალე ი. ნ-ას საკუთრებაში არსებულ შპს „...ს“ 45%-იან წილზე, საიდანაც 15% მოვალეს მიღებული ჰქონდა მამკვიდრებლისგან, ხოლო 30% წილს ფლობდა სამკვიდროს გახსნამდე.

საკაცაციო სასამართლოს მითითებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება სანოტარო აქტი. დასახელებული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო; ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში აგრეთვე ახორციელებს კერძო აღმასრულებელი, რომელიც მე-14⁶ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არის ფიზიკური პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას – სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. აღნიშნული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე; ხოლო მე-14⁷ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კერძო აღმასრულებლის მიერ აღსრულება ხორციელდება კრედიტორის მიმართვისა და მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ შპს „...მა“ განცხადებით მიმართა კერძო აღმასრულებელს ნოტარიუსის მიერ გაცემული ოთხი სხვადასხვა სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, რომელთაგან ორი სააღსრულებო ფურცლის მოქმედება შეჩერებულ იქნა. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლების გაცემის საფუძველს წარმოადგენდა შპს „...სა“ და ა. ნ-სა და ი. ნ-ას შორის გაფორმებული სესხისა და თავდებობის შესახებ ხელშეკრულებები. ამდენად, მოვალეს ოთხივე შემთხვევაში ა. ნ-სთან ერთად წარმოადგენდა ი. ნ-ა. ასევე დადგენილია, რომ ა. ნ-ა ერთპიროვნულად წარმოადგენდა ხელშეკრულების მხარეს და მოვალეს

მთელი რიგი კრედიტორების – საქმეში მესამე პირებად ჩაბმული: ნ. კ-ის, ს. ჯ-ას, ი. ტ-ის, თ. მ-ის, მ. მ-ის, თ. კ-ას, შპს „ლ...“-ის, ხ. ჯ-ასა და ა. კ-ის მიმართ, თუმცა მისი გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო და კანონისმიერმა პირველი რიგის მემკვიდრეებმა – მეუღლემ, შვილებმა და დედამ თანაბარნილად საკუთრებაში მიიღეს სამკვიდრო ქონება – სამკვიდრო ქონებაში შემავალი აქტივები, ნილები სამეწარმეო საზოგადოებებში, მოთხოვნის უფლება მიუღებელ პენსიაზე, ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში განთავსებულ საბანკო ანაბარზე თანხა და სხვა არაპირადი ხასიათის უფლებები, რომელიც ჰქონდა მამკვიდრებელს მესამე პირთა მიმართ და პასივები, რომელიც მას გააჩნდა გარდაცვალების მომენტისთვის. ამდენად, აღნიშნული კრედიტორების მიმართ მამკვიდრებლისგან მიღებული აქტივის ფარგლებში ერთ-ერთ მოვალეს წარმოადგენდა ი. ნ-ს.

წარმოდგენილი სარჩელის ფარგლებში სადავოდ არის ქცეული მამკვიდრებლის ქონებრივი ვალდებულებების გამო მემკვიდრეების პასუხისმგებლობის ფარგლები. სარჩელის მიხედვით, მოპასუხის ქმედებით ილახება შპს „...ის“ ინტერესები, მას უმცირდება ქონების რეალიზაციიდან მისაღები თანხის ოდენობა და დგება რისკის ქვეშ, რომ სრულად არ იქნეს მისი მოთხოვნა დაკმაყოფილებული. შესაბამისად, შპს „...ი“ შპს „ი...ში“ მოვალე ი. ნ-ას საკუთრებაში არსებული 30% წილის რეალიზაციას აუქციონზე შპს „...ის“ გარდა სხვა კრედიტორების სასარგებლოდ (№A17023772, №A17014065, №A17012268, №A17008079, №A17004467, №A17003694, №A17003698, №A17003699, №A17003697, №A17003696, №A17004284, №A17009182 და №A16134645 სააღსრულებო საქმეებზე) სწორედ იმ მოტივით ეწინააღმდეგება, რომ საფრთხე არ შეექმნას ი. ნ-ას მიმართ წარდგენილი მისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

ამდენად, განსახილველი დავის გადაწყვეტისას შეფასება უნდა მიეცეს მამკვიდრებლის ქონებრივი ვალდებულებების გამო მემკვიდრეების პასუხისმგებლობის ფარგლებს, სამკვიდროს მიღების შემთხვევაში მემკვიდრეების რა ქონების ფარგლებში უნდა მოხდეს აღსრულება, რასაც ასევე დაუკავშირდება შესაბამისი სააღსრულებო მოქმედებების განხორციელების მოცულობის განსაზღვრაც, ვინაიდან დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებულ შემთხვევებში სააღსრულებო წარმოებები დაწყებულია ა. ნ-ს ვალდებულებების აღსრულების მიზნით, რომლის გარდაცვალების შემდეგაც სამკვიდრო ქონება მიიღო ოთხმა მემკვიდრემ, მათ შორის, ი. ნ-ამ.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მატერიალურ-სამარ-

თლებრივი უფლებამონაცვლეობის ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენს სამეკვიდრო ურთიერთობა, რა პირობებშიც, უფლებამონაცვლეობის მოცულობის დადგენის თვალსაზრისით, განსაზღვრელია სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომელიც აწესრიგებს მემკვიდრეობით-სამართლებრივ ურთიერთობებს. სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. მითითებული მუხლის საფუძველზე სამკვიდროში შედის და სამკვიდრო აქტივის წარმოადგენს, როგორც მამკვიდრებლის ქონებრივი უფლებები, ასევე ქონებრივი მოვალეობები, რომელიც მამკვიდრებელს ჰქონდა და სიცოცხლეში არ შეუსრულებია. სწორედ აღნიშნული ნორმის დანაწესი ქმნის მამკვიდრებლის ქონებრივი ვალდებულებების მის მემკვიდრეებზე გადაკისრების საფუძველს. რაც შეეხება სამკვიდრო პასივის გასტუმრების საკითხსა და მემკვიდრეების პასუხისმგებლობის ფარგლებს, განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლით, რომლის თანახმად, მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. აღნიშნული ნორმა ადგენს ორმხრივ სამართლებრივ ბალანსს, კანონმდებელი იცავს როგორც კრედიტორის ინტერესებს, მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი უფლებამონაცვლისაგან მიიღოს შესრულება, ასევე უფლებამონაცვლე პასუხს აგებს მამკვიდრებლის ვალდებულებისათვის, თუმცა მიღებული სამკვიდროსა და მისი წილის გათვალისწინებით, რაც გამოირიცხავს მემკვიდრის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებას, ასევე, ვალდებულების სრულად შეუსრულებლობას.

დასახელებულ ნორმათა საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ სამკვიდრო ქონება მოიცავს მამკვიდრებლის არა მხოლოდ უფლებებს, არამედ მოვალეობებსაც, მემკვიდრე სამკვიდროს მიღებისას, მიღებული აქტივის ფარგლებში და პროპორციულად, პასუხისმგებელია მამკვიდრებლის ვალდებულებებზეც. ამასთანავე, აღნიშნული ვალდებულებები შემოსაზღვრულია სწორედ მიღებული სამკვიდრო ქონების, ქონებრივი უფლებების ფარგლებით და არ უკავშირდება მემკვიდრის სხვა ქონებას. შესაბამისად, როდესაც ადგილი აქვს მოვალის უფლებამონაცვლეობას, რომელიც გამოწვეულია მოვალის გარდაცვალებითა და მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღებით, უფლებამონაცვლეს შეიძლება დაევალოს ვალდებულებათა მხოლოდ იმ მოცულობის შესრულება, რომელიც ტოლია ან ნაკლებია მემკვიდრეობით მიღებულ ქონებრივ უფლე-

ბებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მემკვიდრის ქონებრივი უფლებები გაუშართლებლად დაირღვევა და მას უსაფუძვლოდ დაეკისრება პასუხისმგებლობა სხვისი ქმედებისა და ვალდებულებისთვის. შესაბამისად, სააღსრულებო წარმოება, რომელიც მიმდინარეობს მამკვიდრებლის ვალდებულებების აღსრულების მიზნით, უნდა წარიმართოს სწორედ სამკვიდრო ქონების ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში, 2016 წლის 28 დეკემბრის სამკვიდრო მონუმობის მიხედვით, ა. ნ-ს გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო და კანონისმიერმა პირველი რიგის მემკვიდრეებმა – მეუღლემ, შვილებმა და დედამ თანაბარწილად საკუთრებაში მიიღეს სამკვიდრო ქონება – სამკვიდრო ქონებაში შემავალი აქტივები, ნილები სამეწარმეო საზოგადოებებში, მოთხოვნის უფლება მიუღებელ პენსიაზე, ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში განთავსებულ საბანკო ანაბარზე თანხა და სხვა არაპირადი ხასიათის უფლებები, რომელიც ჰქონდა მამკვიდრებელს მესამე პირთა მიმართ და პასივები, რომელიც მას გააჩნდა გარდაცვალების მომენტისთვის. მემკვიდრეთა განცხადებით სამკვიდრო ქონება შეფასებული იყო 1 500 000 ლარად, აქედან ი. ხ-ის წილი შეფასებული იყო 375 000 ლარად, ლ. ნ-ას წილი შეფასებული იყო 375 000 ლარად, ი. ნ-ას წილი შეფასებული იქნა 375 000 ლარად და ლ. ნ-ას წილი ასევე შეფასებული იყო 375 000 ლარად. ამდენად, საქმის მასალებით დადგენილია, რომ კანონისმიერმა პირველი რიგის მემკვიდრეებმა – მეუღლემ, შვილებმა და დედამ თანაბარწილად – $\frac{1}{4}$ - $\frac{1}{4}$ ნაწილში მიიღეს სამკვიდრო, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1484.1 მუხლის მიხედვით, თითოეულის პასუხისმგებლობა სამკვიდრო პასივის $\frac{1}{4}$ -ით უნდა განისაზღვროს. აღნიშნულზე ცალსახად და არაორაზროვნად მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1484.1 მუხლის სიტყვები – „მიღებული აქტივის ფარგლებში“, რაც კრედიტორთა და მემკვიდრეთა ინტერესების დაბალანსებით განსაზღვრავს აღსასრულებელი ქონების მოცულობას.

ამდენად, სააღსრულებო წარმოება, რომელიც მიმდინარეობს მამკვიდრებლის ვალდებულებების აღსრულების მიზნით, უნდა წარიმართოს სწორედ სამკვიდრო ქონების ფარგლებში, რაც უპირველესად გულისხმობს იმას, რომ მემკვიდრე მიღებული აქტივის პროპორციულად არის პასუხისმგებელი მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე და არ აგებს პასუხს მამკვიდრებლის იმ პასივებზე, რომელიც სცილდება მემკვიდრეობით მიღებული აქტივის ფარგლებს.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რა ფორმით არის მიღებული სამკვიდრო, რამდენად იდენტიფიცირებადია მემკვიდრეობით მიღებული ქონება, ვინაიდან, მემკვიდრეთა მიერ მამკვიდრებლის

ვალდებულებების აღსრულებისას, გარდა იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1484.1 მუხლის თანახმად, მემკვიდრეები ვალდებული არიან მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები მთლიანად დააკმაყოფილონ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად, აღსანიშნავია სამკვიდროს მიღების შემთხვევაში მემკვიდრეების რომელი ქონებიდან არის შესაძლებელი აღსრულების განხორციელება, უკავშირდება ეს კონკრეტულად მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას თუ მიღებული აქტივის ფარგლებში შესაძლებელია აღსრულება განხორციელდეს მემკვიდრის სხვა ქონებიდან, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 1484.1 მუხლი იყენებს ტერმინს – „მიღებული აქტივის ფარგლებში“ და არა – „მიღებული აქტივით“. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იმ შემთხვევაში, როდესაც სამკვიდრო ქონება გამოიხატება იდენტიფიცირებული ქონებით, რომელიც აღსრულების მომენტისთვის არსებობს და ეკუთვნის მემკვიდრეს, აღსრულება უნდა წარიმართოს სწორედ ამ ქონების მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებით და არა ამ ქონების ღირებულების ფარგლებში ნებისმიერი ქონების დაყადაღებისა და აუქციონზე გატანის გზით. სააღსრულებო მოქმედებებმა არ უნდა გამოიწვიოს მემკვიდრის საკუთრების უფლების არსებითად, გაუმართლებლად და უსაფუძვლოდ შელახვა, ამასთანავე, არ უნდა დაირღვეს პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნებიც, ვინაიდან იძულებითი აღსრულების მიზანია კრედიტორის ნამდვილი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოვალის და არა სხვა, ვალდებულებასთან კავშირში არმყოფი პირის ქონების ხარჯზე. შესაბამისად, აღსრულების პროცესი უნდა წარიმართოს უპირველესად უშუალოდ მემკვიდრეობით მიღებული ქონების მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებითა და ამონაგები თანხის კანონით დადგენილი წესით განაწილების მეშვეობით. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სამკვიდრო მემკვიდრეს გადაეცა ფულადი თანხის სახით ან აღსრულების განხორციელების დროისათვის მემკვიდრის მიერ გასხვისებულ იქნა მემკვიდრეობით მიღებული ქონება, მაშინ აღსრულება შესაძლებელია წარიმართოს მემკვიდრეობით მიღებული აქტივის ფარგლებში მემკვიდრის ქონების მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარების მეშვეობით, რაც დააბალანსებს კრედიტორისა და მემკვიდრის ინტერესებს, უზრუნველყოფილი იქნება მემკვიდრის უფლება მამკვიდრებლის ვალდებულებების აღსრულების მიზნით უპირველესად აღსასრულებლად მიეცეს უშუალოდ მემკვიდრეობით მიღებული ქონება და არ მოხდეს მემკვიდრის უფლებების გაუმართლებელი შელახვა, მისი ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება, ხოლო კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ გამოიციხავს მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობით

მიღებული ქონების გასხვისება.

ამასთან, ის თუ რა ფორმით არის მიღებული სამკვიდრო, მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, ქონების რა ფარგლებში განხორციელდება ყადაღის დადება და შემდგომ აუქციონის გზით რეალიზაცია.

განსახილველ შემთხვევაში სადავოა შპს „ი...ში“ არსებული წილის რა ფარგლებში უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება. საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს შპს-ს სანესდებო კაპიტალისა და მისი ქონების გამიჯვნაზე და მიუთითებს, რომ სანესდებო კაპიტალი არ არის საზოგადოების ქონების იდენტიური, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად, რომელიც არის მიმოქცევადი უფლება; ხოლო საზოგადოების ქონებას წარმოადგენს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ყველა ობიექტის ერთობლიობა. შპს დამოუკიდებლად აგებს პასუხს მთელი თავისი ქონებით კრედიტორების წინაშე და პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ ამ ქონებით, ხოლო შპს-ს პარტნიორები პასუხს არ აგებენ საზოგადოების ვალდებულებებზე. ამასთან, შპს-ს წილის გასხვისების ერთ-ერთ ფორმას მემკვიდრეობით გადაცემა წარმოადგენს, რაც ნესრიგდება სამემკვიდრეო სამართლით, რა დროსაც პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილი შედის სამკვიდრო მასაში და გადადის მემკვიდრეებზე.

საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ სამკვიდროს გახსნამდე ი. ნ-ას საკუთრებაში იყო შპს „...ს“ 30%-იანი წილი, მემკვიდრეობით კი ი. ნ-ამ დამატებით მიიღო შპს „...ს“ წილი. შესაბამისად, იდენტიფიცირებადია როგორც შპს „ი...ში“ სამკვიდროს გახსნამდე ი. ნ-ას საკუთრებაში არსებული წილი, ასევე – შპს „ი...ში“ მემკვიდრეობით მიღებული წილი. ამასთან, მემკვიდრეთა განცხადებით სამკვიდრო ქონება შეფასებული იყო 1 500 000 ლარად, მათ შორის, ი. ნ-ას წილი შეფასებული იქნა 375 000 ლარად, თუმცა არ დასტურდება მემკვიდრეობით ფულადი თანხის მიღების ფაქტი; საქმის მასალების მიხედვით, მემკვიდრეებმა მიიღეს სამკვიდრო, რომელიც შედგებოდა სამეწარმეო რეესტრში წილებისა და უძრავი ქონებისგან. ასეთ შემთხვევაში, აღსრულების პროცესი უნდა წარიმართოს უპირველესად უშუალოდ მემკვიდრეობით მიღებული ქონების მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებითა და ამონაგები თანხის კანონით დადგენილი წესით განაწილების მეშვეობით. იდენტიფიცირებული სამკვიდრო აქტივი გამორიცხავს როგორც მემკვიდრის მთლიანი (მათ შორის სამკვიდროს გახსნამდე საკუთრებაში არსებული) ქონების დაყადაღებას, ასევე სააღსრულებო ბიუროს შესაძლებლობას აუქციონზე უპირველესად სარეა-

ლიზაციოდ გაიტანოს სამკვიდროს გახსნამდე მემკვიდრის საკუთრებაში არსებული ქონება. საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო კოდექსის 1484.1 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, დაუშვებლად მიიჩნევს მამკვიდრებლის ვალდებულებების აღსრულებას მემკვიდრეების მთელი ქონებით; თითოეული მემკვიდრის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ როგორია თითოეული მათგანის წილის პროპორცია სამკვიდროს ღირებულებასთან და თითოეული პასუხისმგებელია მის მიერ მიღებული სამკვიდროს ღირებულების ფარგლებში.

ამასთან, ის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484.1 მუხლის საფუძველზე მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეზღუდულია და მემკვიდრეები მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესებს აკმაყოფილებენ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად, დაადასტურეს ქვედა ინსტანციის სასამართლოებმაც, თუმცა აღინიშნა, რომ მიღებული აქტივის ფარგლებში პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს აღმასრულებლის შესაძლებლობას, მოიძიოს მოვალის მთლიანი ქონება და დაადოს ყადაღა, რასაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით არ იზიარებს საკასაციო სასამართლო და მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში იდენტიფიცირებადი იყო თითოეული მემკვიდრის მიერ შპს „ი...ში“ მემკვიდრეობით მიღებული წილი. მემკვიდრეთა მთლიან ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით ქვედა ინსტანციის სასამართლოების შეფასება ეწინააღმდეგება თავად სასამართლოს მითითებას მასზედ, რომ №A17023772, №A17014065, №A17012268, №A17008079, №A17004467, №A17003694, №A17003698, №A17003699, №A17003697, №A17003696, №A17004284, №A17009182 და №A16134645 სააღსრულებო საქმეებზე გაცემული სააღსრულებო ფურცლები მათში შეტანილ ცვლილებებთან ერთად ცხადყოფდა, რომ სარეალიზაციოდ მიქცეული უნდა იქნეს მხოლოდ მამკვიდრებლისგან მიღებული ქონება კრედიტორთა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, რაც გამორიცხავდა ი. ნ-ას სხვა ქონებიდან მამკვიდრებლის კრედიტორების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების დასაბუთების წინააღმდეგობრივ ხასიათთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ, შეუსაბამობას გადაწყვეტილების დასაბუთებასა და საქმეზე დამდგარ შედეგს შორის, რომლითაც არ დაკმაყოფილდა წარმოდგენილი სარჩელი.

მოსარჩელის მითითებას სააღსრულებო ბიუროს მიერ შპს „ი...ში“ ი. ნ-ას მთლიანი წილიდან მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფ-

ფილების შესახებ ამყარებს თავად თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 4 აპრილის წერილი, რომლითაც შპს „...ის“ წარმომადგენელს განემარტა, რომ მემკვიდრეთა ვალდებულება, დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორების ინტერესები მიღებული აქტივის ფარგლებში, გულისხმობს მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილებას მემკვიდრეების საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონებიდან მემკვიდრეობით მიღებული აქტივის ღირებულების ფარგლებში. მართალია, სააღსრულებო ბიურო მიუთითებს კრედიტორთა დაკმაყოფილებაზე მემკვიდრეობით მიღებული აქტივის ღირებულების ფარგლებში, თუმცა აქვე აღნიშნავს მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილების შესაძლებლობას მემკვიდრეების საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონებიდან, რაც ბუნებრივია, ამყარებს კასატორის მითითებას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიერ დასახელებულ სააღსრულებო საქმეებზე განხორციელებულია ყადაღის რეგისტრაცია მოვალე ი. ნ-ას საკუთრებაში არსებულ შპს „...ს“ მთლიან წილზე. ამასთან, აღნიშნული წერილის შინაარსიდან სავარაუდოა, რომ სააღსრულებო ბიურო მიუთითებს მემკვიდრეების საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონებიდან კრედიტორთა დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე, თუმცა არც მითითებული წერილიდან და არც საქმის განხილვისას დადასტურებულია ი. ნ-ას მიერ ა. ნ-სგან უშუალოდ მემკვიდრეობით მიღებული აქტივით კრედიტორთა დაკმაყოფილების გამომრიცხავი გარემოებები და ი. ნ-ას საკუთრებაში არსებული სხვა ქონებიდან მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილების აუცილებლობა, რაც მაგალითისთვის გამოიხატებოდა ი. ნ-ას მიერ მემკვიდრეობით მიღებული აქტივის გასხვისებაში. არ დადგენილა, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო მასაში შემავალი ქონების რომელიმე ნაწილი გაასხვისა, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რამეთუ სწორედ სამკვიდრო მასაში არსებული ქონების გასხვისების შემთხვევაში შეიძლებოდა დაეშვა სააღსრულებო ბიუროს მემკვიდრის პირადი ქონებით პასუხისმგებლობა მამკვიდრებლის ვალდებულებების წინაშე. შპს „...ში“ ი. ნ-ას საკუთრებაში არსებული 30%-იანი წილის კავშირი სამკვიდრო მასასთან არ დასტურდება, რაც მოცემულ შემთხვევაში გამორიცხავს შპს „...ში“ მოვალე ი. ნ-ას საკუთრებაში არსებულ 30%-იან წილზე მამკვიდრებლის ქონებრივი ვალდებულებების გავრცელების შესაძლებლობას.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25¹ მუხლის მიხედვით, თანხის გადახდევინების საქმეებზე სააღსრულებო წარმოების ეტაპებია: ა) აღსრულების დაწყება; ბ) ქონებაზე ყადაღის დადება; გ) აუქციონის ჩატარება; დ) კრედიტორისათვის თანხის გადაცემა. საქმეზე განვითარებულ ქმედებათა ჯაჭვი – ი. ნ-

ას საკუთრებაში არსებულ შპს „...ს“ მთლიან წილზე ყადაღის დადება და შემდგომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 4 აპრილის წერილი ქმნის მოლოდინს სააღსრულებო წარმოების იმგვარი განხორციელებისა, რაც საფრთხეს შეუქმნის შპს „...ის“ მიერ ი. ნ-ას მიმართ წარდგენილი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 23 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...ის“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს დავეალოს ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება, კერძოდ, №A16043406 და №A16043206 სააღსრულებო საქმეებზე შპს „ი...ში“ მოვალე ი. ნ-ას საკუთრებაში არსებული 30% წილის რეალიზაცია აუქციონზე არ განახორციელოს შპს „...ის“ გარდა სხვა კრედიტორების სასარგებლოდ, რომლებიც წარმოდგენილი არიან შემდეგ სააღსრულებო საქმეებში: №A17023772, №A17014065, №A17012268, №A17008079, №A17004467, №A17003694, №A17003698, №A17003699, №A17003697, №A17003696, №A17004284, №A17009182, №A16134645.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს შპს „...ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 (100+150+300) (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 23 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს დაევალოს ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება, კერძოდ, №A16043406 და №A16043206 სააღსრულებო საქმეებზე შპს „ი...ში“ მოვალე ი. ნ-ას საკუთრებაში არსებული 30% წილის რეალიზაცია აუქციონზე არ განახორციელოს შპს „...ის“ გარდა სხვა კრედიტორების სასარგებლოდ, რომლებიც წარმოდგენილი არიან შემდეგ სააღსრულებო საქმეებში: №A17023772, №A17014065, №A17012268, №A17008079, №A17004467, №A17003694, №A17003698, №A17003699, №A17003697, №A17003696, №A17004284, №A17009182, №A16134645;

5. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს შპს „...ის“ სასარგებლოდ დაეკისროს საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებულად მიჩნევა; აღმასრულებლის ქმედების კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-221(კ-20)

22 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე**

დავის საგანი: აღმასრულებლის მოქმედების უკანონოდ ცნობა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2017 წლის 29 ნოემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ აღსრუ-

ლების ეროვნული ბიუროს მიმართ და მოითხოვა თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის – მ. ბ-ის 2017 წლის 22 სექტემბრის ქმედების (№69730 წერილი) უკანონოდ აღიარება, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 6 ნოემბრის №5206 ბრძანების ბათილად ცნობა და ამავე ბიუროსთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის №2/1637-14 გადაწყვეტილების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 21 ივნისის №2ბ/163-16 დამატებითი განჩინებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 5 მაისის №ას-938-903-2016 განჩინების აღსრულებულად ცნობის დავალება. ამასთან, მოსარჩელემ სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ იშუამდგომლა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება ადმინისტრაციულმა ორგანომ საჩივრით გაასაჩივრა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინება; შეჩერდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული №A17086450, №A17086461 და №A17117273 სააღსრულებო საქმეები და თბილისის სააღსრულებო ბიუროს აეკრძალა აღნიშნული სააღსრულებო წარმოებების ფარგლებში (№A17086450, №A17086461, №A17117273) იძულებითი სააღსრულებო მოქმედებების განხორციელება დავის საბოლოოდ დასრულებამდე.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის განჩინებით საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაება ჯ. ხ-ი.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნული გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

7. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/1637-14) ქალაქ თბილისის მერიის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; შპს „...ს“ ქალაქ თბილისის მერიის სასარგებლოდ 2011 წლის 20 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისრა საიჯარო ქირის დავალიანების – 88687,61 ლარის, პირგასამტეხლოს – 1652 ლარის, 2013 წლის 25 ნოემბრიდან ვალდებულების შესრულებამდე გადაუხდელი საიჯარო ქირის 0,01 პროცენტის, აღნაგობის საფასურის – 56977,4 ლარის, აღნაგობის საფასურის გადახდის ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლოს – 1647,9 ლარის და 2013 წლის 25 ნოემბრიდან აღნაგობის გადაუხდელი საფასურის – 0,01 პროცენტის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „...ს“ შეგებებული სარჩელი; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 20 სექტემბრის №01-4/419 ბრძანებაზე თანდართული და მხარეებს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების 10.4 და 10.5 პუნქტები და აღნაგობის ხელშეკრულების 8.4 და 8.5 პუნქტები; ქალაქ თბილისის მერიას შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა საბაგიროს ღირებულების – 200422,5 ევროს ეკვივალენტი ლარის და საზოგადოებრივი კვების ობიექტის მშენებლობისათვის განეული ხარჯის – 152020,73 ლარის გადახდა; შპს „...ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 ლარის ოდენობით; ქალაქ თბილისის მერიას შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 4610 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად; ქალაქ თბილისის მერიას შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 2500 ლარის გადახდა წარმომადგენლის მომსახურებისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურების მიზნით;

7.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 დეკემბრის განჩინების პირველი პუნქტით №2/1637-14 სამოქალაქო საქმეზე სს „...ს“ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ჯ. ბ-ი. ამავე სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებით (საქმე №2/1637-14) გასწორდა 2015 წლის 22 დეკემ-

ბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა და განჩინების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „სამოქალაქო საქმეზე №2/1637-14, სს „...ს“ (ს/ნ ...) უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნეს ჯ. ხ-ი (პ/ნ ...), მხოლოდ ქალაქ თბილისის მერიის მიმართ არსებული სს „...ს“ მოთხოვნის ნაწილში“;

7.3. „უსწორობის გასწორების შესახებ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება (საქმე №2/1637-14) შესულია კანონიერ ძალაში;

7.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/1637-14) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით კი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა;

7.5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივნისის განჩინებით (საქმე №2ბ/163-16) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება;

7.6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2016 წლის 21 ივნისის მიიღო დამატებითი განჩინება (საქმე №2ბ/163-16), რომლითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას სს „...ს“ უფლებამონაცვლე ჯ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 2500 ლარის ოდენობით;

7.7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივნისის განჩინება და 21 ივნისის დამატებითი განჩინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების/დამატებითი განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე – უარის თქმა;

7.8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 მაისის განჩინებით (საქმე №ას-938-903-2016) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივნისის განჩინება და ამავე სასამართლოს 2016 წლის 21 ივნის-

სის დამატებითი განჩინება; ჯ. ხ-ის შუამდგომლობა იურიდიული მომსახურების ხარჯის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ჯ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა საკასაციო სამართალწარმოების გამო იურიდიულ მომსახურებაზე განეული ხარჯის – 800 ლარის ანაზღაურება;

7.9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 მაისის განჩინებით (საქმე №ას-938-903-2016) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/1637-14) შევიდა კანონიერ ძალაში და საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 წლის 7 ივლისის გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი (საქმე №2/1637-14) კრედიტორის – ჯ. ხ-ის სასარგებლოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების მე-10 (ქალაქ თბილისის მერიას შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა საბაგიროს ღირებულების – 200422,5 ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა) და მე-11 (ქალაქ თბილისის მერიას შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 152020,73 ლარის გადახდა საზოგადოებრივი კვების ობიექტის მშენებლობისათვის განეული ხარჯის ასანაზღაურებლად) პუნქტების იძულებით აღსრულების მიზნით;

7.10. 2017 წლის 26 ივლისს ჯ. ხ-ის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 7 ივლისის სააღსრულებო ფურცელი (საქმე №2/1637-14) და მოითხოვა მოვალისთვის – ქალაქ თბილისის მერიისთვის სააღსრულებო ფურცლით დაკისრებული თანხის – 200422,5 ევროსა და 152020,73 ლარის იძულებით აღსრულება;

7.11. 2017 წლის 9 აგვისტოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურომ „გადაწყვეტილების შესრულების შესახებ“ შეტყობინებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და აცნობა, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია №A17086450 სააღსრულებო საქმე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 წლის 7 ივლისის გაცემული №2/1637-14 სააღსრულებო ფურცლის იძულებით აღსრულების მიზნით. ამავე შეტყობინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა წინადადება სააღსრულებო ფურცლით დაკისრებული თანხის ერთი თვის ვადაში ნებაყოფლობით გადახდის შესახებ;

7.12. 2017 წლის 29 აგვისტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა №10-01172411129 წერილით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუ-

როს და აცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილა 2017 წლის 9 აგვისტოს შეტყობინება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2017 წლის 9 აგვისტოს მიიღო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ №29.02.575 განკარგულება, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ჯ. ხ-ის სასარგებლოდ დაკისრებულ თანხას გამოაკლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბრის №2/1637-14 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ შპს „...სთვის“ დაკისრებული საიჯარო ქირისა და აღნაგობის საფასური, შესაბამისი პირგასამტეხლოთი. დარჩენილი 556020,87 ლარი კი №00021 საგადასახადო დავალებით ჩაირიცხა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯ. ხ-ის მიმართ არსებული დავალიანების სრულად დაფარვის საფუძველით, მოთხოვნილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის 2/1637-14 გადაწყვეტილების აღსრულებულად ჩათვლა. №10-01172411129 წერილს თან დაერთო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.02.575 განკარგულება და 2017 წლის 16 აგვისტოს №00021 საგადახდო მოთხოვნა;

7.13. 2017 წლის 4 სექტემბერს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელმა №A17086450-007/001 წერილით მიმართა ჯ. ხ-სა და მის წარმომადგენელს და აცნობა, რომ აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენილია ქალაქ თბილისის მერიის 2017 წლის 29 აგვისტოს №10-01172411129 წერილი თანხის ურთიერთგაქვითვის შესახებ. ამასთან, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ქალაქ თბილისის მერიის მიერ ჩარიცხულია 556020,87 ლარი. აღნიშნულთან დაკავშირებით, კრედიტორს ეთხოვა აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის, შემჭიდროვებულ ვადაში, წერილობით ეცნობებინა, ეთანხმებოდა თუ არა წერილში მოყვანილ გარემოებებს და ამცირებდა თუ არა მოვალის მიმართ მის მოთხოვნას;

7.14. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 4 სექტემბრის №A17086450-007/001 წერილის პასუხად, ჯ. ხ-ის წარმომადგენელმა 2017 წლის 8 სექტემბერს წერილით მიმართა აღმასრულებელს და აცნობა, რომ კრედიტორი არ ეთანხმებოდა წერილში მოყვანილ გარემოებებს და არ ამცირებდა მოთხოვნას მოვალის მიმართ. აღნიშნულ წერილს თან დაერთო: თბილისის

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრისა და 2016 წლის 28 ივნისის განჩინებები და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 25 ივლისის №... გადაწყვეტილება შპს „...“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ;

7.15. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივნისის განჩინების (საქმე №2/11553-2016) თანახმად, სს „...“ მიმართ შეწყდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოება; სს „...“ გამოცხადდა გაკოტრებულად და გაუქმდა საწარმოს რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 25 ივლისის №... გადაწყვეტილებით სს „...“ რეგისტრაცია გაუქმდა;

7.16. 2017 წლის 22 სექტემბერს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა – მ. ბ-მა №69730 წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურს და აცნობა, რომ სასამართლოს აღსასრულებელი გადაწყვეტილების შინაარსისა და საქმეში წარდგენილი დოკუმენტაციის დამატებით შესწავლის საფუძველზე (კრედიტორის – ჯ. ხ-ის განცხადება, №2/2/1637-14 განჩინება), თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ ვერ იქნება გათვალისწინებული 2017 წლის 29 აგვისტოს №10-01172411129 წერილში მოყვანილი არგუმენტები. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ეცნობა, რომ 2017 წლის 16 აგვისტოს ჩარიცხვით – 556020,87 ლარით დაფარულია №2/1637-14 სააღსრულებო ფურცლით დაკისრებული თანხის მხოლოდ ნაწილი – 152020,73 ლარი და 200422,50 ევროდან – 143982,37 ევროს ეკვივალენტი ლარი. ამდენად, მოვალეს ეთხოვა დარჩენილი დავალიანების ნებაყოფლობით გადახდა, მასვე განემარტა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გატარდებოდა იძულებითი აღსრულების ღონისძიებები დარჩენილი დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად;

7.17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2017 წლის 6 ოქტომბერს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის – მ. ბ-ის 2017 წლის 22 სექტემბრის ქმედება (№69730 წერილი) აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან გაასაჩივრა;

7.18. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 6 ნოემბრის №5206 ბრძანებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

8. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაი-

დან „უსწორობის გასწორების შესახებ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება (საქმე №2/1637-14) შესულია კანონიერ ძალაში, ჯ. ხ-ი შპს „...ს“ უფლებამონაცვლეს მხოლოდ ქალაქ თბილისის მერიის მიმართ არსებული მოთხოვნის ნაწილში წარმოადგენს. მერიისთვის სასამართლოს დასახელებული განჩინების ჩაბარებისა და განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის საკითხის კვლევა, მართალია, არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საკითხს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ „უსწორობის გასწორების შესახებ“ განჩინება გაასაჩივრა კერძო საჩივრით, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 იანვრის განჩინებით (საქმე №2ბ/50-19), როგორც დაუშვებელი, განუხილველი დარჩა, რაც დამატებით ადასტურებს 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის ფაქტს.

9. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ რამდენადაც ჯ. ხ-ი არ წარმოადგენს შპს „...ს“ უფლებამონაცვლეს კომპანიისთვის დაკისრებული ვალდებულებების ნაწილში, მერია არ იყო უფლებამოსილი, მოეხდინა ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვა.

10. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსზე მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ აღმასრულებლის ქმედება შეესაბამებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება.

13. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და დადგენილად მიიჩნია, რომ „უსწორობის გასწორების შესახებ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო

ქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება (საქმე №2/1637-14) შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, ჯ. ხ-ი შპს „...ს“ უფლებამონაცვლეს წარმოადგენს მხოლოდ ქალაქ თბილისის მერიის მიმართ არსებული მოთხოვნის ნაწილში, ხოლო ვალდებულების ნაწილში იგი არ წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მხარეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოთხოვნათა ურთიერთგაქვეითვის შესაძლებლობა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებას გამოიწვევდა.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განჩინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

15. კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნის დათმობით ახალ მფლობელზე გადადის მისი უზრუნველყოფის საშუალებები და მოთხოვნასთან დაკავშირებული სხვა უფლებები. მოვალეს უფლება აქვს, ახალ მფლობელს ყველა ის შესაგებელი წარუდგინოს, რაც მას თავდაპირველი მფლობელის მიმართ გააჩნდა. მოცემულ შემთხვევაში, სს „...მ“ ჯ. ხ-ს დაუთმო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ არსებული მოთხოვნა, რის საფუძველზეც ჯ. ხ-ი ავტომატურად გახდა იმ შესაგებლის ადრესატიც, რომლის წარდგენაც მერიას სანარმოს მიმართ შეეძლო. შესაბამისად, კასატორი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლზე მითითებით, მიიჩნევს, რომ უფლებამოსილი იყო, ჯ. ხ-თან ანგარიშსწორებისას მოეხდინა მოთხოვნათა ურთიერთგაქვეითვა, ვინაიდან ჯ. ხ-ი ითვლება სს „...ს“ უფლებამონაცვლედ. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს გადანყვეტილება აღსრულებულად უნდა ჩაითვალოს.

16. კასატორი, „უსწორობის გასწორების შესახებ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებასთან დაკავშირებით, მიუთითებს, რომ დასახელებული განჩინება კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებია.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ

უნდა დაკმაყოფილდეს.

19. საკასაციო პალატა აღნიშნავს, განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებულად მიჩნევა, კერძოდ, რამდენად ჰქონდა მოვალეს – თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას კრედიტორის – ჯ. ხ-ის მიმართ მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობა.

20. საკასაციო სასამართლო, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის საფუძველზე, მიუთითებს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულების სავალდებულობის უზრუნველსაყოფად კი კანონმდებლობით გათვალისწინებულია იძულებითი აღსრულების მექანიზმი, კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელმაც კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ნორმატიულად განერილი პროცედურის ზედმინევნით დაცვით, დროულად და ჯეროვნად უნდა აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება, თუკი მოვალე დაკისრებულ ვალდებულებას ნებაყოფლობით არ შეასრულებს. ამასთან, თანხის გადახდევინების საქმეებზე აღსრულება უნდა განხორციელდეს მოვალის ქონებაზე ან ამ ქონების ხარჯზე და კრედიტორს უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით გათვალისწინებული თანხა.

21. განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმე №2/1637-14) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ქალაქ თბილისის მერიის სარჩელი და შპს „...ს“ (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ცვლილების შემდეგ ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოების სახით) შეგებებული სარჩელი; მხარეებს ერთმანეთის სასარგებლოდ ფულადი ვალდებულებები დაეკისრათ.

22. დადგენილია, რომ სს „...მ“ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ მოთხოვნები ჯ. ხ-ს დაუთმო. შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 დეკემბრის განჩინების პირველი პუნქტით, ზემოაღნიშნულ სამოქალაქო საქმეზე, სს „...ს“ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ჯ. ხ-ი. ამავე სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებით კი გასწორდა დასახელებულ განჩინებაში დაშვებული უსწორობა და

განჩინების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „სამოქალაქო საქმეზე №2/1637-14, სს „...ს“ (ს/ნ ...) უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნეს ჯ. ხ-ი (პ/ნ ...), მხოლოდ ქ. თბილისის მერიის მიმართ არსებული სს „...ს“ მოთხოვნის ნაწილში“. საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებაში მიუთითა, რომ აუცილებელი იყო უფლებამონაცვლეობის ფარგლების დაკონკრეტება, რათა განჩინების არსებული შინაარსით დატოვებას სამომავლოდ გაუგებრობა არ გამოენვია.

23. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება შესულია კანონიერ ძალაში. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს არა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის უფროსის წერილი, არამედ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 იანვრის განჩინებაც, რომლითაც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

24. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 მარტის განჩინებაზე, რომლითაც მერიას უარი ეთქვა, ჯ. ხ-ი სს „...ს უფლებამონაცვლედ მიჩნეულიყო ვალდებულებების ნაწილში. სასამართლომ განმარტა, რომ ადგილი ჰქონდა მოთხოვნის დათმობას და არა ვალის გადაკისრებას.

25. მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ სამოქალაქო დავა იმგვარად წარიმართა და დასრულდა, რომ ჯ. ხ-ზე სს „...ს“ მხოლოდ მოთხოვნა გადავიდა, ფიზიკური პირი არ ყოფილა განხილული სანარმოს უფლებამონაცვლედ ვალდებულებების ნაწილში; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 5 მაისის №ას-938-903-2016 განჩინებაშიც კი ჯ. ხ-ი მოხსენიებულია როგორც სს „...ს“ უფლებამონაცვლე კრედიტორული დავალიანების ნაწილში. შესაბამისად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მიკუთვნებული თანხის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენდა სს „...“; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის დაკისრებული თანხა კი უნდა გადახდილიყო ჯ. ხ-ის სასარგებლოდ.

26. საქმეზე დადგენილია, რომ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ კრედიტორის – ჯ. ხ-ის განცხადების საფუძველზე, მოვალის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ დაიწყო სა-

აღსრულებო წარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილები-სა და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღ-სასრულებლად. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია კი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება უნდა ჩაითვალოს აღსრულებულად, ვინაი-დან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.02.575 განკარგულების საფუძველზე, სააღსრულე-ბო ფურცლით დაკისრებული თანხის (718134,12 ლარი) ნაწილი – 556020,87 ლარი ჩარიცხულ იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე. რაც შეეხება თანხის დარჩენილ ნაწილს, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექ-ტემბრის გადაწყვეტილებით სს „...საც“ დაეკისრა მერიის სასარ-გებლოდ თანხის გადახდა, თბილისის მერიამ მოახდინა ჯ. ხ-ისთვის გადასახდელი და მერიის სასარგებლოდ კომპანიისთვის დაკისრე-ბული თანხის ურთიერთგაქვითვა.

27. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქა-ლაქო კოდექსის 442-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახ-მად, ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქ-ვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვა-და, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ვალდებუ-ლებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთ-ხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვ-ნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით. ამ-რიგად, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის განხორციელების სავალ-დებულო წინაპირობაა, რომ ურთიერთობის ორივე მხარეს გააჩ-ნდეს ერთმანეთის მიმართ შეუსრულებელი ვალდებულება, ანუ ორივე ერთმანეთის მიმართ ერთდროულად უნდა იყვნენ როგორ მოვალეები, ასევე კრედიტორები. ამასთან, „ურთიერთმოთხოვნა-თა გაქვითვა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რა დროსაც, სა-მართლებრივი შედეგის დადგომისათვის სავალდებულოა ერთი პი-რის მიერ ნების გამოვლენა, ხოლო მეორე პირის მიერ მისი მილე-ბა... მისი ქმედითობა დამოკიდებულია მეორე პირის მიერ ურთი-ერთმოთხოვნათა გაქვითვის ნების მიღებასა და გასაქვითი ვალ-დებულების არასადავოობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგების და-დება შესაძლებელია მაშინ, როდესაც მხარეების მიერ აღიარებუ-ლია და სადავოდ არ არის გამხდარი ვალდებულება და მისი მოცუ-ლობა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2021 წლის 12 თებერვლის №ას-1632-2019 განჩინე-ბა).

28. განსახილველ შემთხვევაში კი, დასრულებული სამართალ-

წარმოების საფუძველზე, ჯ. ხ-ს მოთხოვნა გააჩნია მერიის მიმართ, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოს მოთხოვნა გააჩნია სს „...ს“ მიმართ. შესაბამისად, ერთდროულად ერთმანეთის მიმართ შეუსრულებელი მოთხოვნები არ არსებობს, თითოეულის მოთხოვნის ნაწილში სხვადასხვა პირია მოვალე. ამასთან, ჯ. ხ-ის კომპანიის უფლებამონაცვლედ დადგენამდე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი უშუალო მოვალის (საწარმოს) მიმართ მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის თაობაზე შეტყობინების გაგზავნის ფაქტიც არ დასტურდება. უფრო მეტიც, დღეის მდგომარეობით, სს „...ს“ გამოცხადებულია გაკოტრებულად და გაუქმებულია მისი სამენარმეო რეესტრში რეგისტრაცია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 454-ე მუხლის შესაბამისად კი, იურიდიული პირის ვალდებულება წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციის მომენტიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის საფუძველები.

29. საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას გაამახვილებს მასზე, რომ ჯ. ხ-ს სს „...ს“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლის საფუძველზე დაუთმო მოთხოვნები. ამასთანავე, სს „...ს“ ჯ. ხ-ს მოთხოვნა დაუთმო იმ მიზეზით, რომ კომპანიას ჯ. ხ-ის მიმართ სასესხო დავალიანება გააჩნდა. მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება ძალაშია და ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო ვერ შეაფასებს მის კანონიერებას, ან გადაცემული მოთხოვნის მოცულობას. ასეთ პირობებში კი, კასატორი არ იყო უფლებამოსილი, თავად შეემცირებინა ჯ. ხ-ისთვის გადასახდელი თანხა სს „...ს“ მიმართ არსებული მოთხოვნის მოცულობით.

30. საკასაციო სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის მორიგებით დასრულების აქტიური მცდელობისა და მხარეთა მორიგების მიზნით საქმის განხილვის გადადების მიუხედავად, მხარეთა შორის ვერ იქნა მიღწეული მორიგება, რაც მხარეთა ფინანსური ვალდებულებების დაბალანსებას უზრუნველყოფდა.

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებების, ჯ. ხ-ის უფლებამონაცვლედ ცნობის სამართლებრივი საფუძვლისა და ძალაში შესული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ჯ. ხ-ი არ წარმოადგენს სს „...ს“ უფლებამონაცვლეს კომპანიისთვის დაკისრებული ვალდებულებების ნაწილში. შესაბამისად, არ არსებობს მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობა და სასამართლოს გადანყევტილება აღსრულებულად ვერ ჩაითვლება. ამრიგად, მოცემულ საქმეზე მიღებული, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის კანო-

ნიერი და დასაბუთებული და მისი გაუქმების საფუძვლები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**აღსრულების ნასი გირაველობით უზრუნველყოფილი
აღიარებული საგადასახადო დავალიანებაზე
კონკრეტული მონაცემის წარუდგენლობის
შემთხვევაში**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-890-886(კ-17)

12 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ქ. ცინცაძე

დავის საგანი: საგადასახადო გირავნობა, საგადასახადო საიდუმლოება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...იმ“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ აღ-

სრულების ეროვნული ბიუროს მიმართ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 25.11.2014წ. №3090 ბრძანების ბათილად ცნობის, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებისა და აუქციონის კანონით დადგენილი ვადის დარღვევით ჩატარების შესახებ აღმასრულებლის ქმედების არამართლზომიერად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოში დავის განხილვისას საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ სსიპ შემოსავლების სამსახური და შპს „ე...ა“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.01.2016წ. გადაწყვეტილებით შპს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 18³ მუხლზე, რომლის თანახმად, სააღსრულებო წარმოების მხარესა და დაინტერესებულ პირს, რომელთა კანონიერ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს აღმასრულებლის ქმედება, უფლება აქვთ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ერთჯერადად გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. მოსარჩელეს იძულებითი აუქციონის დასრულებამდე აღმასრულებლის რაიმე ქმედება სადავოდ არ გაუხდია, აუქციონის ჩატარების დროც მხოლოდ მას შემდეგ გახდა სადავო, რაც დაბრკოლდა აუქციონზე ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის განაწილება. აღმასრულებლის რაიმე ქმედებასთან დაკავშირებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა არ მომხდარა კანონით დადგენილ 15-დღიან ვადაში, რის გამო მიმდინარე დავის ფარგლებში სასამართლო ვერ შეაფასებს აღნიშნულ ქმედებათა მართლზომიერებას. სასამართლომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-40, 50-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ თუ მოვალის ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე, რომლის იძულებითი წესით რეალიზაციასაც ითხოვს კრედიტორი, რეგისტრირებულია გირავნობის უფლება სხვა მოგირავნის/მოგირავნეების სასარგებლოდ, აღსრულების ეროვნული ბიურო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ატყობინებს მოგირავნეს/მოგირავნეებს გირავნობის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებით სააღსრულებო წარმოების დაწყების შესახებ და განუსაზღვრავს მათ მოთხოვნების წარდგენის ვადას. სარეალიზაციო ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე საგადასახადო გირავნობის უფლების არსებობისას აღსრულების ეროვნული ბიურო ზემოაღნიშნულ შეტყობინებას საგადასახადო ორგანოს არ უგზავნის,

ხოლო საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა განისაზღვრება იძულებით აუქციონის დასრულების დღისთვის საგადასახადო ორგანოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების (გადასახადის გადამხდელის დავალიანების) მიხედვით. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მოთხოვნის დასაზუსტებლად მიმართოს საგადასახადო ორგანოს. გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან პირველ რიგში დაიფარება საფასური და აღსრულების ხარჯი. თუ სარეალიზაციო ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობის უფლება, გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად, საფასურისა და აღსრულების ხარჯის დაფარვის შემდეგ, პირველ რიგში დაკმაყოფილდება საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა, მიუხედავად იმისა რომელი რიგის მოგირავნედ არის იგი რეგისტრირებული. სასამართლომ აღნიშვნა, რომ საგადასახადო ვალდებულების დაზუსტების გარეშე, მოძრავი ქონების რეალიზაციით ამოღებული თანხის კრედიტორისთვის გადარიცხვა არამართლზომიერი იქნებოდა, ამდენად, აღმასრულებელს უნდა დაედგინა საგადასახადო დავალიანების ოდენობა. საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით მოვალის ქონება დატვირთული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით. ამასთანავე, 24.06.2014წ. მონაცემებით გადასახადის გადამხდელს შპს „ე...ას“ ერიცხებოდა სალდირებული საგადასახადო დავალიანება 51 394,65 ლარის ოდენობით, ხოლო 17.10.2014წ. მდგომარეობით საგადასახადო დავალიანების ოდენობა შეადგენდა 3 087 399,93 ლარს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია შპს „ე...ას“ საგადასახადო დავალიანების უმეტესი ნაწილი წარმოიშვა შპს „...ის“ მიერ იძულებითი აღსრულების მოთხოვნის წარდგენის შემდეგ, თუმცა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა მისი წარმოშობის მომენტიდან მის სრულ გაუქმებამდე არსებობს. საგადასახადო ვალდებულების მქონე პირის მიმართ დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა საფუძვლით წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულება ცალცალკე უზრუნველყოფის ღონისძიების მიღებას არ საჭიროებს და უკვე გამოყენებული საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა მისი გამოყენების შემდეგ წარმოშობილ ვალდებულებებზეც უპირობოდ ვრცელდება მის სრულ გაუქმებამდე. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, მოძრავი ქონების რეალიზაციიდან ამოღებული თანხის განაწილება უნდა მომხდარიყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.01.2016წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.04.2017წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ შპს „...ის“ მითითება საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლზე არ ასაბუთებდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უსწორობას, რადგან სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლი ეხებოდა მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭების საკითხს, ხოლო ძალადაკარგული 21.12.2004წ. საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლის გამოყენება განსახილველ სამართალურთიერთობაზე არ იყო დასაბუთებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.04.2017წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა შპს „...ის“ მიერ. კასატორმა აღნიშნა, რომ უკანონოდ უნდა იქნეს მიჩნეული აღსრულების შედეგად შემოსული თანხის კრედიტორისათვის გადაცემაზე უარის თქმა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.03.2014წ. გადაწყვეტილებით შპს „ე...ას“ შპს „...ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 452 483,52 ლარის, პირგასამტეხლოს – 14 882,50 ლარის, ასევე 43 211,84 ლარისა და ხარჯების – 6000 ლარის ანაზღაურება. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 25.03.2014წ. გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც წარედგინა თბილისის სააღსრულებო ბიუროს, აღსრულების დასაწყებად გადახდილ იქნა საფასური – 10 331,56 ლარი. მიმდინარე სააღსრულებო წარმოების ფარგლებში მოძიებულ იქნა მოვალის საკუთრებაში მყოფი მოძრავი ქონება – გაზის კომპრესორები, მოხდა მათი აღწერა-დაყადაღება, შეფასება და აუქციონზე გატანა. აუქციონზე უძრავი ქონების შემძენი გახდა შპს „გ...ი“, რომელმაც სრულად გადაიხადა რეალიზებული ქონების ღირებულება და მის სასარგებლოდ 24.10.2014წ. გაიცა განკარგულება. აუქციონის დასრულების შემდგომ აღმასრულებელმა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მოითხოვა ინფორმაცია მოვალის აღიარებული დავალიანების რაოდენობის შესახებ. საგადასახადო ორგანოს 28.10.2014წ. წერილით აღმასრულებელს ეცობა, რომ შპს „ე...ას“ სალდირებული საგადასახადო დავალიანება შეადგენდა 3 087 399,93 ლარს მაშინ, როდესაც სააღსრულებო წარმოების დაწყების დროისთვის მოვალის საგადასახადო დავალიანება შეადგენდა მხოლოდ 51394,65 ლარს და სწორედ ამ ფარგლებში იყო გამოყენებული მოვალის ქონებაზე 2013 წელს წარმოშობილი საგადასახადო გირავნობა. სასამართლო სხდომაზე დადასტურდა, რომ მოვალის საგადასახადო დავალია-

ნების უმეტესი ნაწილი წარმოშობილია ახალი ადმინისტრაციული აქტებით. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საგადასახადო ვალდებულების მქონე პირის მიმართ დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა საფუძვლით წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულება ცალ-ცალკე უზრუნველყოფის ღონისძიების მიღებას არ საჭიროებს და უკვე გამოყენებული საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა მისი გამოყენების შემდეგ წარმოშობილ ვალდებულებებზეც უპირობოდ ვრცელდება მის სრულ გაუქმებამდე. კასატორი აღნიშნავს, რომ საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად, გირავნობის გამოყენება ხდება საგადასახადო მოთხოვნის ფარგლებში. განსახილველ შემთხვევაში საგადასახადო გირავნობის გამოყენება მოხდა იმ დროს, როდესაც მოვალის საგადასახადო დავალიანება შეადგენდა 123 358 ლარს (ნაწილის გადახდის შემდეგ აღნიშნულმა დავალიანებამ შეადგინა 51 394,65 ლარი), შესაბამისად, გირავნობის 3 087 399,93 ლარზე გავრცელება არ დაიშვება, რაც გამორიცხავს ამ ნაწილში საგადასახადო ორგანოს უპირატესობას კრედიტორთან მიმართებით. კასატორი თვლის, რომ ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული საგადასახადო კოდექსის 238-239-ე მუხლები, რის გამო მიღებულია უკანონო გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ შპს „ე...ა-ს“ სახელზე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია შემოსასვლების სამსახურის 17.10.2013წ. №00118434 შეტყობინების საფუძველზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში მყოფი 07.03.2014წ. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „ე...ა-ს“ შპს „...ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 452 483,52 ლარის გადახდა, პირგასამტეხლოს ანაზღაურება 14 882,50 ლარის ოდენობით, ასევე ყოველდღიურად 226,24 ლარის გადახდა 2013 წლის 03 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე და 6000 ლარის ანაზღაურება (სახელმწიფო ბაჟი და საადვოკატო მომსახურების ღირებულება). გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც 12.06.2014წ. წარედგინა თბილისის სააღსრულებო ბიუროს. აღმასრულებელმა დაინყო სააღსრულებო წარმოება, მოძიებულ იქნა მო-

ვალის მოძრავი ქონება, რომელიც დაყადაღდა, შეფასდა და 17.10.2014წ. გატანილ იქნა აუქციონზე. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 24.10.2014წ. განკარგულებით თანხის სრულად გადახდის შემდეგ აუქციონზე შეძენილი ქონების მესაკუთრე გახდა შპს „გ...ი“. აუქციონის დასრულების შემდგომ აღმასრულებელმა სსიპ შემოსავლების სამსახურისაგან წერილობით მოითხოვა ინფორმაცია 17.10.2014წ. მდგომარეობით მოვალის – შპს „ე...ას“ აღიარებული საგადასახადო დავალიანების ოდენობის შესახებ, თუმცა სსიპ შემოსავლების სამსახურმა აღმასრულებელს ინფორმაცია მიაწოდა მხოლოდ სალდირებულ საგადასახადო დავალიანებასთან დაკავშირებით, რომლის ოდენობაც შეადგენდა 3 087 399,93 ლარს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააღსრულებო წარმოების დაწყების მომენტისათვის შპს „ე...ას“ საგადასახადო დავალიანება 51394,65 ლარს შეადგენდა, ხოლო სააღსრულებო წარმოების დასრულების დროისათვის არსებული სალდირებული საგადასახადო დავალიანების უმეტესი ნაწილი წარმოიშვა 2014 წლის ივნისის შემდგომ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას სავალდებულო, იმპერატიული ბუნება აქვს. სასამართლო აქტების შესრულების სავალდებულობა კონსტიტუციური პრინციპია (საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის 62.1 მუხ., სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 82.2 მუხ.). საქართველოს კონსტიტუციით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სასამართლოს გადაწყვეტილების დროული, ეფექტიანი და ჯეროვანი აღსრულება, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა ვერ იქნება აბსოლუტური, რიგ შემთხვევებში არ გამოირიცხება აღსრულების შეწყვეტის, შეჩერების, გაუქმების აუცილებლობა ან/და აღსრულების პრაქტიკული შეუძლებლობა. სამართლიანი სასამართლოს უფლება შესაძლოა შეიზღუდოს დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელი და კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური საჯარო მიზნების მისაღწევად, თუმცა უფლებაში ჩარევა უნდა განხორციელდეს კანონის ნათლად ფორმულირებული წესის საფუძველზე, ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი და პროპორციული/თანაზომიერი საშუალებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.09.2016წ. №1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნ. ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §20, 25). ამდენად, კრედიტორ – შპს „...ის“ ფულადი მოთხოვნის მოვალე – შპს „ე...ას“ მიმართ დადასტურება კანონიერ ძალაში მყოფი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, იმთავითვე არ აბრკოლებდა აუქციონის შედეგად ამოღებული თანხის განაწილე-

ბაში სხვა კრედიტორთა ჩართვის, დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის, ამოღებული თანხის განაწილების დაბრკოლების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადი წესის მიხედვით, სააღსრულებო წარმოების დაწყების შემდეგ, მოვალის ქონებას ედება ყადაღა, ტარდება აუქციონი და ამოღებული თანხა გადაეცემა კრედიტორს („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25¹ მუხ.), რითაც სრულდება აღსრულების პროცესი, თუმცა შესაძლოა მოვალეს ჰყავდეს არაერთი კრედიტორი და ამასთანავე, ყადაღადაღებული ქონება გამოყენებული იყოს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად. ასეთ დროს უპირატესი კრედიტორის განსაზღვრის, ამოღებული თანხის კრედიტორთა შორის განაწილების საჭიროება დღის წესრიგში აყენებს კრედიტორთა რიგითობის დადგენის აუცილებლობას. გირავნობის საგანზე კრედიტორთა მოთხოვნის სიმრავლე უკავშირდება მოძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის სამართლიანად განაწილების პრობლემას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 50.7 მუხლის თანახმად, თუ სარეალიზაციო ყადაღადაღებულ მოძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობის უფლება, გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან, საფასურისა და აღსრულების ხარჯის დაფარვის შემდეგ, პირველ რიგში დაკმაყოფილდება საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, როგორი რიგის მოგირავენდ არის იგი რეგისტრირებული. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის 17.10.2013წ. №00118434 შეტყობინების საფუძველზე 17.10.2013წ. მარეგისტრირებელ ორგანოში აღრიცხული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა მოვალის – შპს „ე...ას“ მთელ ქონებაზე. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნულ მუხლსა და 2013წ. წარმოშობილ საგადასახადო გირავნობის უფლებაზე მითითებით მიიჩნიეს, რომ საგადასახადო მოთხოვნა უპირატესი იყო სხვა კრედიტორთა მოთხოვნებთან მიმართებით, მიუხედავად გირავნობისა და დავალიანების წარმოშობის თარიღისა, რადგან დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა საფუძველით წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულება ცალ-ცალკე უზრუნველყოფის ღონისძიების მიღებას არ საჭიროებდა და უკვე გამოყენებული საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა მისი გამოყენების შემდეგ წარმოშობილ ვალდებულებებზეც უპირობოდ ვრცელდებოდა მის სრულ გაუქმებამდე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საგადასახადო მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფის ეფექტიანი ღონისძიებების არსებობა საგადასახადო ვალდებულების შესრულების რეალურ გარანტს წარმოადგენს. გადასახადების გადახდის ეფექტი-

ანობა თავის მხრივ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესია, რადგან აღნიშნული პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ფუნქციონირებაზე, სახელმწიფოს საბიუჯეტო ინტერესზე. სახელმწიფოს უნარი შეასრულოს მისთვის დამახასიათებელი სოციალური, ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და სხვა მრავალი ფუნქცია, ძირითადად დამოკიდებულია სწორედ მის განკარგულებაში მყოფ შემოსავლის ოდენობაზე. გადასახადის გადახდის ვალდებულება ნიშნავს, რომ ყველა ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა, რომელსაც აქვს ქონება, იღებს შემოსავალს და ახორციელებს დაბეგვრას დაქვემდებარებულ ოპერაციებს, ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო რესურსის ფორმირებაში, რადგან სწორედ აღნიშნული რესურსი აძლევს სახელმწიფოს თავისი ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას. სათანადო ფინანსური რესურსების გარეშე სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირება ობიექტურად შეუძლებელია, რაც განაპირობებს გადასახადის გადახდის აუცილებელ, გარდაუვალ ხასიათს და მათი ამოღების უზრუნველყოფას სახელმწიფო იძულებით. გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში (საგადასახადო კოდექსის 6.1 მუხ.). ამასთან, მართალია გადასახადის გადამხდელისაგან ამოღებულ თანხას სახელმწიფო, პირდაპირი ფულადი ექვივალენტით არ აბრუნებს, მაგრამ იგი საგადასახადო შემოსავლების გარკვეულ ნაწილს იყენებს სხავადსხვა საჯარო მიზნების მისაღწევად: თავდაცვით, ეკონომიკურ, სოციალურ, განათლების, კულტურულ და სხვ. სფეროებში, რის შედეგადაც ამოღებული გადასახადის დიდი ნაწილი გადამხდელს არაპირდაპირ უბრუნდება, რაც ჯამში როგორც საზოგადოების ცალკეულ წევრთა კეთილდღეობას, ასევე სახელმწიფოს ფუნქციონირების სტაბილურობასა და განვითარებას ემსახურება. სწორედ გადასახადების დაწესებისა და მისი ამოღების მიზნების გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციის, როგორც მოქმედი (67.1 მუხ.), ასევე სადავო პერიოდში არსებული რედაქცია (94-ე მუხ.) შეიცავს ერთმნიშვნელოვან დათქმას გადასახადების გადახდის სავალდებულო ხასიათის შესახებ. ამდენად, გადასახადის ამოღება მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესია, რაც განაპირობებს გადასახადის გადახდის მოთხოვნის კრედიტორის – სახელმწიფოს უპირატესობას სხვა კრედიტორებთან მიმართებით. სწორედ აღნიშნულით არის განპირობებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 50.7 მუხლის მოწესრიგება, რომლის თანახმად, სარეალიზაციო ყადაღადადებულ ქონებაზე საგადასახადო გირავნობის არსებობის შემთხვევაში, სხვა მოთხოვნებთან მიმართებით უპირატესობა უზრუნველყოფილ საგადასახადო მოთხოვნას ენიჭება. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოსათვის უპი-

რატესი კრედიტორის სტატუსის მინიჭება არ გულისხმობს სხვა კრედიტორთა უფლებებისა და ინტერესების სრულ უგულებელყოფას, საგადასახადო დავალიანების ამოღებისას ადმინისტრაციული ორგანოების თვითნებობის დაშვებას. საგადასახადო პასუხისმგებლობა ეფუძნება, არა მხოლოდ გარდაუვლობის, არამედ კანონიერებისა და განსაზღვრულობის პრინციპებსაც. ამდენად, გადასახადების ამოღების უზრუნველყოფის მიზნით არსებული ნორმატიული მოწესრიგება უნდა განიმარტოს არა როგორც მოვალის ან სხვა კრედიტორის უფლებების დათრგუნვის საშუალება, არამედ სხვადასხვა სუბიექტთა ინტერესების კოორდინაციის მექანიზმი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადასახადების ამოღებისას სახელმწიფოს ფართო დისკრეცია არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი. გადასახადების დაწესება, ამოღება, მათი უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება წარმოადგენს გადამხდელის საკუთრების უფლებაში ჩარევას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28.12.2017წ. №2/8/734 გადაწყვეტილება საქმეზე „ააიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §30; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 09.11.1999წ. გადაწყვეტილება საქმეზე „ŠPAČEK, s.r.o. v. THE CZECH REPUBLIC“, §41), თუმცა გადასახადების დაწესებისა და მისი ამოღების მიზანი ახდენს ჩარევის ლეგიტიმაციას. ამასთანავე, არა მხოლოდ კონკრეტული ნორმატიული მოწესრიგება, არამედ მისი პრაქტიკული რეალიზებაც უნდა განხორციელდეს კონსტიტუციური პრინციპების გათვალისწინებით, სხვათა უფლებების მხოლოდ აუცილებლობის ფარგლებში შეზღუდვით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირის ვალდებულება გადაიხადოს სათანადო წესით შემოღებული გადასახადი, მის საგადასახადო ვალდებულებას შეადგენს (საგადასახადო კოდექსის 53.1 მუხ.). საგადასახადო ვალდებულების შესრულებად ითვლება გადასახადის თანხის დადგენილ ვადაში გადახდა (53.3 მუხ.), თუმცა სხვადასხვა მიზეზით საგადასახადო ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა არ განხორციელდეს. გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფის, ვალდებულების დარღვევისას გადაუხდელი თანხის დატვირთული ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხით დაფარვის მიზნით, საგადასახადო ორგანოს შეუძლია გამოიყენოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომელთა შორისაა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა (238.1 მუხ. „ა“ ქვ.პ.), ანუ სახელმწიფოს უფლება, საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდე-

ბული პირის ქონებიდან (239.1 მუხ.). საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის უფლება წარმოიშობა საგადასახადო დავალიანების წარმოშობასთან ერთად და მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და ვრცელდება საგადასახადო დავალიანების ფარგლებში (239.2 მუხ.). ამდენად, საგადასახადო დავალიანების წარმოშობისთანავე, წარმოიშობა საგადასახადო ორგანოს უფლება აღრიცხოს საგადასახადო გირავნობა მარეგისტრირებელ ორგანოში, სწორედ უფლებამოსილ ორგანოში აღრიცხვის შემდგომ მიიჩნევა, რომ ქონება დატვირთულია საგადასახადო გირავნობით. მოძრავ ნივთზე გირავნობის უფლების წარმოსაშობად გირავნობის უფლებათა რეესტრში დარეგისტრირების აუცილებლობაზე ახდენს მითითებას „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონიც (16.1 მუხ. „ა“ ქვ.პ., 16.2 მუხ.). ამონაწერი მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრიდან მზადდება მოძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის მოძრავ ნივთებზე და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებათა შესახებ მონაცემებს (მე-10 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში, საჯარო რეესტრში 17.10.2013წ. აღირიცხა მოვალის შპს „ე...ას“ ქონებაზე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება, რომლის წარმოშობაც მხარეთა შორის არ არის სადავო, თუმცა სადავოა უზრუნველყოფილი საგადასახადო დავალიანების, გირავნობის ფარგლები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გირავნობის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, არსს არ ცვლის კრედიტორის ვინაობა. რიგი განსხვავებები კერძო-სამართლებრივ და საჯარო-სამართლებრივ გირავნობას შორის (მაგ: კერძო-სამართლებრივი, მათ შორის, კანონისმიერი, გირავნობის წარმოშობას სახელშეკრულებო ურთიერთობა უდევს საფუძვლად მაშინ, როდესაც საგადასახადო გირავნობა ადმინისტრაციული აქტისა და რეგისტრაციის საფუძველზე წარმოიშობა; სამოქალაქო გირავნობა შესაძლოა იყოს რეგისტრირებული ან მფლობელობითი, ხოლო საგადასახადო გირავნობა ყოველთვის რეგისტრირებულია და სხვ.) არ ეხება მის ძირითად მახასიათებელს – უზრუნველყოფის კონკრეტულად განსაზღვრული ვალდებულების შესრულება, რადგან გირავნობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, გირავნობის უფლების წარმოშობა, არსებობა და შეწყვეტა დამოკიდებულია უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობაზე. გირავნობა, როგორც საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ერთ-ერთი სა-

შუალეზა, უქმდება საგადასახადო დავალიანების გაუქმებასთან ერთად (საგადასახადო კოდექსის 238.6 მუხ.). ამდენად, გირავნობა აქცესორულია, მისი არსებობა და ფარგლები უშუალოდ არის დაკავშირებული უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან, კრედიტორისა და დავალიანების წარმოშობის საფუძვლის მიუხედავად, რაც უზრუნველყოფილი მოთხოვნის კონკრეტულად განსაზღვრის საჭიროებას ქმნის. უზრუნველყოფილი მოთხოვნის განუსაზღვრელობის შემთხვევაში უზრუნველყოფის საშუალება კარგავს მისი გამოყენების ნორმატიულ მიზანს. გირავნობის გამოყენების მიზანი არა მხოლოდ ვალდებულების შეუსრულებობის შემთხვევაში თანხის იძულებით ამოღების უზრუნველყოფაში ვლინდება, არამედ იგი მნიშვნელოვანი პრევენციული ფუნქციის მატარებელიცაა. გადამხდელისათვის ცნობილია, რომ უზრუნველყოფილი ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების შემთხვევაში იგი შეძლებს იძულებითი ღონისძიებების თავიდან აცილებას, რაც ვალდებულების შესრულების სტიმულირებას ახდენს. უკეთეს მხარისათვის უცნობია კონკრეტული ვალდებულება, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც საგადასახადო გირავნობა იქნა გამოყენებული, მაშინ იგი ვეღარ ახდენს ვალდებულების შესრულებას, გადასახადის იძულებითი ამოღებისაკენ მიმართული ქმედებების თავიდან აცილებას და გირავნობაც მხოლოდ ერთგვარ რეპრესიულ შინაარსს ინარჩუნებს. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ ერთხელ წამოშობილი საგადასახადო გირავნობა უპირობოდ ვრცელდება შემდგომში ნებისმიერი საფუძვლით წარმოშობილ საგადასახადო დავალიანებაზე და არსებობს საგადასახადო დავალიანების (მისი ფართო გაგებით) სრულ გაუქმებამდე, მოკლებულია რაიმე სახის სამართლებრივ დასაბუთებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გირავნობის უფლების გამოყენება ხორციელდება კონკრეტული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, უზრუნველყოფილი საგადასახადო დავალიანების გარდა გადასახადის გადამხდელს შესაძლოა წარმოემუშავს საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც პირობითად ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: ერთ შემთხვევაში ვალდებულებები შესაძლოა წარმოშობილი იყოს არსებული საგადასახადო მოთხოვნისაგან განსხვავებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებით, ხოლო მეორე შემთხვევაში – ვალდებულებები შესაძლოა უშუალოდ უკავშირდებოდეს უზრუნველყოფილ საგადასახადო დავალიანებას, მაგ.: საურავი და ჯარიმები. აღნიშნულ საგადასახადო ვალდებულებათა გამიჯვნა მნიშვნელოვანია საგადასახადო გირავნობის ფარგლების განსაზღვრის მიზნით. საგადასახადო გირავნობა მართალია მჭიდროდ არის

დაკავშირებული უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან და მის გარეშე არ არსებობს, მაგრამ შესაძლოა ყოველთვის არ შემოიფარგლოს თავდაპირველი მოთხოვნით, გირავნობა ახდენს აგრეთვე ძირითად მოთხოვნასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფასაც, თუმცა ძირითადი საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, მისი შეუსრულებლობის გამო დაკისრებული ჯარიმისა და საურავის გადახდევინების და არა განსხვავებული საფუძვლით წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას გულისხმობს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საგადასახადო ორგანო არ არის შეზღუდული ერთი აქტით დარიცხული რამდენიმე სახის გადასახადის უზრუნველყოფა ერთობლივად მოახდინოს ან მიიღოს გადაწყვეტილება სხვადასხვა ადმინისტრაციული აქტებით განხორციელებული დარიცხვების მიმართ ერთობლივი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. ამასთანავე, ახალი საგადასახადო დავალიანების წარმოშობა, მისი უზრუნველყოფის მიზნით უფლებამოსილი ორგანოს მიერ რაიმე ახალი აქტის მიუღებლობა არ იწვევს ახალ საგადასახადო დავალიანებაზე წარსულში სხვა საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების ავტომატურად გამოყენების შესაძლებლობას. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საგადასახადო ვალდებულების მქონე პირის მიმართ დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა საფუძვლით წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულება ცალ-ცალკე უზრუნველყოფის ღონისძიების მიღებას არ საჭიროებს და უკვე გამოყენებული საგადასახადო გირავნობა მისი გამოყენების შემდეგ წარმოშობილ ვალდებულებებზეც უპირობოდ ვრცელდება მის სრულ გაუქმებამდე. ასეთი მოსაზრების მიხედვით, საგადასახადო დავალიანების დაფარვის, უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს ექნება შესაძლებლობა არ გააუქმოს უზრუნველყოფის, მოცემულ შემთხვევაში საგადასახადო გირავნობის გამოყენების შესახებ აქტები, ვინაიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ პირს წარმოეშობა ახალი საგადასახადო დავალიანება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საგადასახადო ორგანო ვალდებულია საგადასახადო დავალიანების იძულებით გადახდევინება განახორციელოს კანონით დაშვებული ფორმით, კანონით დადგენილი პროცედურით. საგადასახადო კოდექსით იძულებითი ღონისძიებების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ არსებული დავალიანების გადასახდევინებლად და არა სამომავლო დავალიანების გადახდევინების მიზნით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი ახალი, განსხვავებული საგადასახადო დავალი-

ანების დადგენა წარმოშობს საგადასახადო გირავნობის რეგისტრაციის უფლებას და არა საგადასახადო გირავნობას (საგადასახადო კოდექსის 239.1 მუხ.). საგადასახადო გირავნობის რეგისტრაციას არ აქვს მხოლოდ დეკლარაციული მნიშვნელობა, მას აქვს უფლებანარმოშობი დანიშნულება, ამასთანავე, გირავნობა არ არის უზრუნველყოფის აბსტრაქტული საშუალება, იგი საგადასახადო ორგანოს კონკრეტული მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფას ახდენს, რის გამო ყოველი ახალი დავალიანება უზრუნველყოფის ინდივიდუალური საშუალების გამოყენებას საჭიროებს. კრედიტორის – სსიპ შემოსავლების სამსახურის უფლება გამოიყენოს გირავნობა ვალდებულების წარმოშობისთანავე, არ ნიშნავს გირავნობის ავტომატურად წარმოშობას, აუცილებელია, რომ უფლებამოსილი ორგანოს – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ აღნიშნული უფლება რეალიზებულ იქნეს. საგადასახადო ორგანოს საგადასახადო კოდექსით მინიჭებული აქვს უზრუნველყოფის არაერთი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა (238.1 მუხ.), ამასთან, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების რიგითობას ირჩევს საგადასახადო ორგანო (238.2 მუხ.), შესაძლოა, კონკრეტულ შემთხვევაში, ორგანომ არც მიიჩნიოს მიზანშეწონილად დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად საგადასახადო გირავნობის გამოყენება და მიმართოს უზრუნველყოფის სხვა საშუალებას, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში უფრო ეფექტიანი იქნება. ამდენად, საგადასახადო დავალიანების წარმოშობა იმთავითვე წარმოშობს არა გირავნობას, არამედ საგადასახადო ორგანოს უფლებას გირავნობის გამოყენებაზე. უფლების წარმოშობა და მისი რეალიზაცია კი არ არის იდენტური ცნებები. უკეთეს სსიპ შემოსავლების სამსახური არ მოახდენს აღნიშნული უფლების რეალიზაციას, შესაძლოა დავალიანების წარმოშობაც და მისი ანაზღაურებაც გირავნობის უფლების გამოყენების გარეშე განხორციელდეს. ამდენად, საგადასახადო დავალიანების არსებობა იმთავითვე არ ადასტურებს კონკრეტული დავალიანების უზრუნველყოფას საგადასახადო გირავნობით, რის გამო ყოველი ახალი დავალიანების წარმოშობისას საგადასახადო ორგანომ უნდა გამოხატოს ცალსახა ნება კონკრეტულ შემთხვევაში გირავნობის გამოყენების საჭიროებაზე, რაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი აქტის გამოცემით. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები ხორციელდება სწორედ უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010წ. №994 ბრძანებით დამტკიცებული „ნესის“ 38.1 მუხ.), რის შემდეგაც, საგადასახადო გირავნობის უფლების გამოყენების

შესახებ შეტყობინება ეგზავნება ორ სუბიექტს: მარეგისტრირებელ ორგანოს, რომელიც ახდენს საგადასახადო გირავნობის რეგისტრაციაში გატარებას და გადასახადის გადამხდელს/ვალდებულ პირს, რომლის ქონებაზეც ხდება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება (239.3 მუხ.). ამასთანავე შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას გამოცემის საფუძვლის შესახებ (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010წ. №994 ბრძანებით დამტკიცებული „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესის“ 40.3 მუხ. „დ“ ქვ.პ.), რაც გულისხმობს საგადასახადო გირავნობის წარმოშობის შესახებ გადანყვეტილებასა და იმ საგადასახადო დავალიანებაზე მითითებასაც, რომლის უზრუნველსაყოფადაც ხდება საგადასახადო გირავნობის გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში პირს არ ექნება შესაძლებლობა გაარკვიოს გირავნობის წარმოშობის მართლზომიერება, მიიღოს გადანყვეტილება მის საჩივრებასთან დაკავშირებით და მოახდინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებების რეალიზაცია (მაგ.: თავად მოახდინოს ქონების რეალიზაცია საგადასახადო დავალიანების დასაფარად, იშუამდგომლოს შემოსავლების სამსახურის უფროსთან უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე (სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 239.9 მუხ., „ბ“ ქვ.პ., 238.7 მუხ. „ა“ ქვ.პ) და სხვ.). ის, რომ კანონი ითვალისწინებს საგადასახადო დავალიანების წარმოშობისთანავე საგადასახადო გირავნობის წარმოშობის შესაძლებლობას, არ გამორიცხავს საგადასახადო გირავნობის წარმოშობის მიზნით ადმინისტრაციული აქტის გამოცემისა და მარეგისტრირებელ ორგანოში აღრიცხვის საჭიროებას, კანონით განსაზღვრული აბსტრაქტულ-გენერალური მონესრიგება საჭიროებს მისი კონკრეტულ-ინდივიდუალური შემთხვევისადმი მისადაგებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მეშვეობით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ ის არის კანონის მოთხოვნების ცალკეულ შემთხვევებსა და კონკრეტულ პირებზე გავრცელების საშუალება. ამდენად, ყოველი კონკრეტული დავალიანების წარმოშობა ქმნის ცალკეული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და აღნიშნულის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, საგადასახადო გირავნობის რეგისტრაციის მოთხოვნით მარეგისტრირებელი ორგანოსთვის ახალი შეტყობინების გაგზავნის საჭიროებას. გასათვალისწინებელია

აგრეთვე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს პრაქტიკის მიხედვით საგადასახადო გირავნობა, როგორც წესი, გადასახადის გადამხდელის მთელ ქონებაზე რეგისტრირდება, აღნიშნული უფრო მეტად წარმოშობს საგადასახადო გირავნობით საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლების დადგენის საჭიროებას, რადგან საგადასახადო გირავნობის რეგისტრაციის უფლება სწორედ საგადასახადო დავალიანების ფარგლებში წარმოიშობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საგადასახადო გირავნობა არის ერთი მხრივ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, ხოლო მეორე მხრივ საკუთრების ობიექტის უფლებრივი ტვირთი. საკუთრების სოციალური ფუნქციის ერთ-ერთი გამოვლინება, სწორედ გადასახადის გადახდის უზრუნველყოფაა. საგადასახადო გირავნობა წარმოადგენს საკუთრების სამართლებრივი დატვირთვის ფორმას და მნიშვნელოვნად ზღუდავს პირის უფლებას, სამართლებრივი ტვირთის გარეშე, შეუფერხებლად განკარგოს საკუთარი ქონება. ცალკეულ შემთხვევაში, გირავნობის არათანაზომიერმა გამოყენებამ შესაძლოა არა მხოლოდ ქონების განკარგვის შეზღუდვა გამოიწვიოს, არამედ – შეაფერხოს გადასახადის გადამხდელის ესა თუ ის საქმიანობა, უარყოფითად აისახოს მიმდინარე საწარმოო პროცესებზე და შეუქმნას მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები. შეზღუდვის მაღალი ინტენსივობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მისი მკაფიო კრიტერიუმებზე დაყრდნობით გამოყენება და იმ ფარგლებში განხორციელება, რაც აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28.12.2017წ. №2/8/734 გადაწყვეტილება საქმეზე „ააიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §42). ამდენად, გირავნობის გამოყენება ყოველთვის ხორციელდება კონკრეტულად განსაზღვრული ან გასაზღვრებადი საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული დანაწესიდან გამონაკლისს წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის 265.2 მუხლი, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს სამომავლო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გირავნობის გამოყენების შესაძლებლობას გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემომწმებისას, მაშინაც კი, როცა ჯერ არ არის დადგენილი დავალიანების არსებობა (ამასთანავე, სამომავლო მოთხოვნაზე საგადასახადო გირავნობის გამოყენება შესაძლებელია საგამონაკლისო წესით, მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო ორგანოს აქვს ინფორმაცია საგადასახადო ვალდებულების შესრულების თავის არიდების მიზნით გადამხდელის მიერ აქტივების სხვა პირისათვის მოსალოდნელი გადაცემის შესახებ). ამასთან, 265.2 მუხლის ცვლილებამდე (27.06.2018წ.) მოქმედი რედაქციით დასაშვები იყო გირავნობის გავ-

რცელდება მოვალის მთელ ქონებაზე მოსალოდნელი საგადასახადო დავალიანების სავარაუდო ოდენობის მიუხედავად. აღნიშნული მოწესრიგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული, დადგინდა უზრუნველყოფილი საგადასახადო მოთხოვნის სავარაუდო ოდენობის განსაზღვრის საჭიროება და აღინიშნა, რომ გადასახადის ეფექტური ადმინისტრირებისა და საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზნების მიღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ საგადასახადო გირავნობის გავრცელება მოხდება სავარაუდო საგადასახადო დავალიანების ოდენობის პროპორციულად და არა გადასახადის გადამხდელის მთელ ქონებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28.12.2017წ. №2/8/734 გადაწყვეტილება საქმეზე „ააიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §45). აღნიშნული გადანაცვტილების აღსრულების მიზნით ნორმა (საგადასახადო კოდექსის 265.2 მუხ.) ჩამოყალიბდა განსხვავებულად და ამჟამად მოქმედი რედაქციის მიხედვით, საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემონმების დასრულების შემდეგ გამოყენებული საგადასახადო გირავნობის მოცულობა შეუსაბამოს დარიცხულ საგადასახადო დავალიანებას ამ დავალიანების ოდენობის თანაზომიერად (პროპორციულად), იმ აქტივის/აქტივის ნაწილის მითითებით, რომელზედაც ვრცელდება საგადასახადო გირავნობის უფლება (გასათვალისწინებელია, რომ კერძო-სამართლებრივი გირავნობით მხარეთა ნებით სამომავლო უფლების უზრუნველყოფის დაშვების დროსაც, ხელშეკრულებაში კონკრეტული მითითება უნდა მოხდეს სამომავლო უფლებაზე და უნდა განხორციელდეს აღნიშნული უფლების იდენტიფიცირებისათვის საჭირო გარემოებებზე მითითება). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფილი საგადასახადო დავალიანებისა და საგადასახადო გირავნობის მოცულობის შესაბამისობის საჭიროება მით უფრო არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო დავალიანების ოდენობა ცნობილია. გირავნობა, რომლის ქონებაზე გავრცელების ფარგლებიც უცნობია ან რომლით უზრუნველყოფილი საგადასახადო ვალდებულებაც შესაძლოა განუსაზღვრელად გაიზარდოს, არა მხოლოდ ქონების მესაკუთრის უფლებების არსებით შეზღუდვას ახდენს, არამედ არღვევს მესამე პირთა ინტერესებსაც, რომელთაც არ შეუძლიათ მოიპოვონ ინფორმაცია ნივთის რეალური უფლებრივი ტვირთის შესახებ, რაც თავის მხრივ აბრკოლებს ნივთის სამოქალაქო ბრუნვაში სრულფასოვნად ჩართვის შესაძლებლობას. სამოქალაქო ბრუნვის გამჭვირვალობის ინტერესებიდან გამომდინარე, ქონებაზე სანივთო უფლების არსებობა ცხა-

დად შესამჩნევი უნდა იყოს მესამე პირებისათვის. საგადასახადო გირავნობის საჯარო ხასიათი შესაძლებლობას ანიჭებს მესამე პირებს, მოიპოვონ ზუსტი ინფორმაცია ნივთის უფლებრივი ტვირთის თაობაზე და შემდეგ, საკუთარი რისკის გათვალისწინებით, გადაწყვიტონ ამ ნივთთან მიმართებით ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობა. ამდენად, განსაზღვრულობის პრინციპიდან გამომდინარე, საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნა უნდა იყოს კონკრეტულად განსაზღვრული ან ობიექტურად განსაზღვრებადი, სწორედ აღნიშნულის გამო, საგადასახადო კოდექსის 239.2 მუხლი შეიცავს ცალსახა დათქმას ქონებაზე საგადასახადო გირავნობის მხოლოდ საგადასახადო დავალიანების ფარგლებში გავრცელების შესახებ. ამასთანავე, საგადასახადო დავალიანება გულისხმობს არა ზოგადად, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი საფუძვლით წარმოშობილ საგადასახადო დავალიანებას, არამედ კონკრეტულ დავალიანებას, რომლის უზრუნველსაყოფადაც კონკრეტული აქტივით ხორციელდება უზრუნველყოფის ღონისძიების – გირავნობის გამოყენება.

განსახილველ შემთხვევაში შპს „...ის“ 12.06.2014წ. განცხადების საფუძველზე მოვალე შპს „ე...ას“ მიმართ დაიწყო სააღსრულებო საქმის წარმოება. სსიპ შემოსავლების სამსახურის 25.06.2014წ. №21-05/44703 მიმართვის თანახმად, 24.06.2014წ. მდგომარეობით შპს „ე...ას“ დავალიანება შეადგენდა 51394,56 ლარს, ხოლო აღმასრულებლისათვის გაგზავნილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 16.09.2014წ. წერილის მიხედვით სსიპ შემოსავლების სამსახურის 17.10.2013წ. №00118434 შეტყობინების საფუძველზე მარეგისტრირებელმა ორგანომ 17.10.2013წ. შპს „ე...ას“ მთელ ქონებაზე განახორციელა საგადასახადო გირავნობის წარმოშობის რეგისტრაცია, ამასთანავე, წერილში არ იყო მითითება საგადასახადო გირავნობის წარმოშობის შესახებ სხვა შეტყობინების რეესტრში წარდგენასთან დაკავშირებით. სააღსრულებო წარმოების ფარგლებში ჩატარდა იძულებითი აუქციონი, განხორციელდა მოვალის ქონების რეალიზაცია, მყიდველმა სრულად გადაიხადა შეძენილი ქონების ღირებულება, რის შემდეგაც აღმასრულებელმა საგადასახადო ორგანოდან გამოითხოვა ინფორმაცია მოვალის აღიარებული საგადასახადო დავალიანების შესახებ, თუმცა სსიპ შემოსავლების სამსახურმა წარადგინა მხოლოდ რიცხული სალდირებულის დავალიანების შესახებ მონაცემები, რის გამო აღმასრულებელმა არ მოახდინა ამოღებული თანხის განაწილება. აღმასრულებლის აღნიშნული ქმედებები მართლზომიერად იქნა მიჩნეული სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 25.11.2014წ. სადავო ბრძანებით. სწორედ აღნიშნული ბრძანების და ამდენად, ამო-

ღებული თანხის განაწილების დაყოვნების კანონიერების შეფასება შეადგენს განსახილველი დავის საგანს. საკასაციო პალატა თვლის, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად განმარტეს საგადასახადო გირავნობის სამართლებრივი ბუნება, მისი წარმოშობის საფუძველი და ფარგლები, ამასთანავე არ გამოიკვლიეს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 50.7 მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, თუ სარეალიზაციო ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობის უფლება, გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად პირველ რიგში დაკმაყოფილდება საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა, გულისხმობს საგადასახადო ორგანოს არა ნებისმიერი სახის მოთხოვნის, არამედ საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესად დაკმაყოფილების საჭიროებას, თუმცა არც სააღსრულებო ორგანოს და არც ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ დაუდგენიათ საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი საგადასახადო მოთხოვნის ფარგლები. ის, რომ მოვალეს პირადი აღრიცხვის ბარათზე ერიცხება კონკრეტული დავალიანება, იმთავითვე არ გულისხმობს აღნიშნული დავალიანების სრული ოდენობის საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 50.4 მუხლში, მართალია მითითება ხდება საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრის საჭიროებაზე, თუმცა აღნიშნული მონესრიგება ეხება სარეალიზაციო მოძრავ ქონებაზე საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი დავალიანების და არა ზოგადად საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევას. ამდენად, დადგენას საჭიროებს საგადასახადო გირავნობის გავრცელების ფარგლები იძულებითი აუქციონის დასრულების დღისთვის არსებული მონაცემების მიხედვით („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 50.4 მუხ.). „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი არ ახდენს დათქმას საგადასახადო გირავნობის წარმოშობის კონკრეტულ პერიოდზე, ნივთის რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხის განაწილებისათვის გადამწყვეტია საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობა (50.4, 50.7 მუხ.), თუმცა ნორმატიულად არ არის გამორიცხული თანხის განაწილების პროცესში რამდენიმე, მათ შორის, სააღსრულებო წარმოების დაწყების შემდგომ წარმოშობილი საგადასახადო გირავნობის არსებობის გათვალისწინება. სააპელაციო პალატას არ გამოუკვლევია მოვალის ქონება დატვირთული იყო მხოლოდ 17.10.2013წ. წარმოშობილი საგადასახადო გირავნობით, თუ არსებობდა მოგვიანებით, თუნდაც სააღსრულებო წარმოების დაწყე-

ბის შემდეგ იძულებით აუქციონზე ქონების რეალიზაციამდე წარმოშობილი საგადასახადო გირავნობაც. არ დადგენილა აგრეთვე საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ზუსტი ოდენობა, არ შეფასებულა საგადასახადო გირავნობის წარმოშობისა და აღნიშნული უფლების განხორციელების, დავალიანების გადახდევინების ნორმატიული წინაპირობები.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ საგადასახადო გირავნობის წარმოსაშობად ნორმატიულად არ არის დადგენილი აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის აუცილებლობა, უფრო მეტიც, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010წ. №994 ბრძანებით დამტკიცებული „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესის“ 39.2 მუხლის მიხედვით, უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან განსხვავებით, საგადასახადო გირავნობის უფლების გამოყენება შესაძლებელია მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა საგადასახადო დავალიანება, თუმცა ერთმანეთისაგან გამიჯვნას საჭიროებს გირავნობის უფლების წარმოშობის და მისი რეალიზაციის, გირავნობით უზრუნველყოფილი ნივთიდან საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები. მართალია, საგადასახადო გირავნობის წარმოშობის წინაპირობა არ არის აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობა, თუმცა საგადასახადო დავალიანების გასაჩივრების შემთხვევაში, დავის დასრულებამდე – საგადასახადო დავალიანების აღიარებამდე, საგადასახადო დავალიანების გადახდის ვალდებულება შეჩერებულად ითვლება (საგადასახადო კოდექსის ამჟამად მოქმედი რედაქციის 254.2 მუხ., სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 254.3 მუხ.). საგადასახადო გირავნობის უფლების გამოყენება, მართალია, შესაძლებელია იმის მიუხედავად, აღიარებულია თუ არა საგადასახადო დავალიანება, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ არაღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით შესაძლებელია საგადასახადო გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაცია. საგადასახადო გირავნობით დატვირთული ქონების დაყადაღება და რეალიზაცია ხორციელდება საგადასახადო კოდექსის 241-ე, 242-ე მუხლებით დადგენილი წესით (239.5 მუხ.). სწორედ საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლი ადგენს ყადაღადაებული ქონების რეალიზაციის წესს, ხოლო ქონებაზე ყადაღის დადება დასაშვებია მხოლოდ აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში (241.1 მუხ.). ამდენად, საგადასახადო გირავნო-

ბით დატვირთული ქონების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის პირობებში. არაღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე საგადასახადო გირავნობის რეგისტრაცია ერთგვარი პრევენციული ღონისძიებაა, რათა ქონებაზე შემდგომში (მათ შორის გასხვისების შემდეგ) საგადასახადო დავალიანების აღიარების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდეს მასზე დადგენილი წესით ყადაღის დადება და მისი რეალიზაცია. ამდენად, გირავნობით უზრუნველყოფილი საგადასახადო დავალიანების აღიარების საკითხი მნიშვნელობის მქონეა აღსრულების შედეგად ამოღებული თანხის განაწილებისას, არსებული საგადასახადო გირავნობის უფლების რეალიზაციისას, რათა კრედიტორის სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის აღსრულების დაბრკოლება არ გამოიწვიოს ისეთი საგადასახადო ვალდებულების არსებობამ, რომლის დარიცხვაც სადავოა და გასაჩივრების შემთხვევაში შესაძლოა გაუქმდეს კიდეც. საგადასახადო დავალიანება აღიარებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც მისი სისწორე, დარიცხვის მართლზომიერება სადავო აღარ არის (საგადასახადო კოდექსის 8.5 მუხ.). სააპელაციო პალატამ არ იქონია მსჯელობა არაღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით იძულებითი აღსრულების შედეგად ამოღებული თანხის განაწილების დაბრკოლების, ამოღებული თანხის მათ შორის საგადასახადო ორგანოსათვის მიკუთვნების შესაძლებლობაზე. არ იქნა გათვალისწინებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 82³.1 მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, პირველ რიგში დაკმაყოფილება არა ნებისმიერი ან უბრალოდ საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი საგადასახადო მოთხოვნა, არამედ „საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი, აღსასრულებლად წარდგენილი მოთხოვნები“. ამასთანავე, გასათვალისწინებელია საგადასახადო გირავნობის დანიშნულება, – საგადასახადო მოთხოვნის აღიარებამდე, თანხის იძულებით ამოღებამდე გამორიცხოს გადამხდელის ქონების აღსრულების ფარგლებიდან გადინების შესაძლებლობა, შენარჩუნდეს ნივთზე უფლებრივი ტვირთი, მისი გასხვისების მიუხედავად. ამდენად, დადგენას საჭიროებს სწორედ გირავნობით უზრუნველყოფილი აღიარებული საგადასახადო დავალიანების შესახებ მონაცემები.

საქმის მასალებით, კერძოდ, თბილისის სააღსრულებო ბიუროს წერილებით (24.10.2014წ., 29.10.2014წ.) სიპო შემოსავლების სამსახურის მიმართ, დასტურდება, რომ მოვალეს (შპს „ე...ა“) დაკისრებული აქვს თანხის გადახდა შპს „...ის“ და სხვა კრედიტორების სასარგებლოდ, რასთან დაკავშირებითაც არსებობს რამდენიმე სა-

აღსრულებო საქმე (№AA 14042028; A 14035220; A 14054239), ამ სა-
აღსრულებო საქმეების აღსრულების მიზნით იქნა რეალიზებული
იძულებით საჯარო აუქციონზე მოვალის ყადაღადადებული მოძ-
რავი ქონება. დავის გადაწყვეტა საჭიროებს ყველა კრედიტორის
მოთხოვნების ოდენობების დადგენას, აღნიშნულს არ უარყოფს
ის გარემოება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უმეტეს ნაწილს შეად-
გენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-
სამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული
განჩინება არ არის დასაბუთებული, განჩინების დასაბუთება იმ-
დენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის
შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნ-
ქტის თანახმად განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს
ქმნის. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ
სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები და არ მოახდინა
მათი სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც არსებობს სსკ-
ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახალი განხილ-
ვისათვის დაბრუნების საფუძველი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სსიპ შემოსავლების სამსახუ-
რის მოსაზრებას, სააღსრულებო წარმოების მიზნებისათვის აღია-
რებული საგადასახადო დავალიანების რაოდენობის შესახებ ინ-
ფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევასთან დაკავშირებით, რადგან,
მართალია, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდე-
ლის შესახებ მიღებული ინფორმაცია საგადასახადო საიდუმლოე-
ბას განეკუთვნება, თუმცა საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს
ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირე-
ბული ინფორმაცია გადასცეს აღსრულების ეროვნულ ბიუროს „სა-
აღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული
გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში (საგადასახადო კო-
დექსის 39.1 მუხ., 39.2 მუხ. „ე“ ქვ.პ.). განსახილველ შემთხვევაში,
აღმასრულებლის მიერ საგადასახადო ორგანოდან გადასახადის გა-
დამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების შესახებ
ინფორმაციის გამოთხოვა სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი
გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მიმდინარე სააღსრულე-
ბო წარმოების დასრულებას, აუქციონზე ნივთის რეალიზაციის შე-
დეგად ამონაგები თანხის განაწილების მიზანს ემსახურებოდა, ამ-
დენად, სსიპ შემოსავლების სამსახურს ეკისრებოდა მოთხოვნილი
ინფორმაციის სააღსრულებო ბიუროსათვის მიწოდების ნორმატი-
ული ვალდებულება. საგადასახადო ორგანოებში საგადასახადო სა-
იდუმლოების დაცვა კანონმდებლობის (საგადასახადო კოდექსის
39-ე მუხ., საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010წ. №996

ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის მე-2 თავი) თანახმად, ემყარება საგადასახადო ორგანოს ვალდებულებას არ გაახმაუროს გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ინფორმაცია და ამ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია. საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების საერთო მოცულობა შემოსავლების სამსახურს ისედაც აქვს უკვე მიწოდებული სასამართლოსათვის. ინფორმაცია, რომელმაც დაკარგა კონფიდენციალობა, გამოყვანილია საგადასახადო საიდუმლოების სფეროდან (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 21.01.1999წ. გადაწყვეტილება საქმეზე „ფრესოზი (Fressoz) და როარი (Roar) საფრანგეთის წინააღმდეგ“, §53, §54). სზაკ-ის 42-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს მასალები იმ საქმეზე, რომელშიც საჯარო დანესებულება მხარეს წარმოადგენს, საყოველთაოდ ხელმისაწვდომია, რაც გამჭვირვალობის უფრო ფართო მასშტაბს ქმნის. აღიარებული საგადასახადო დავალიანება საერთო საგადასახადო დავალიანების შემადგენელი ნაწილია. „გადასახადის ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 9.2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონფიდენციალურ ინფორმაციას არ განეკუთვნება საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების და ქონებაზე დადებული ყადაღის შესახებ ინფორმაცია. „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების გამოქვეყნებას საგადასახადო ორგანოს მიერ. გარდა ამისა შპს „ე...ა-ს“ ქონების საგადასახადო გირავნობის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, რომლის მონაცემები საჯაროა. სსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, საქმე განიხილება ღია სხდომაზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს, დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე. ამასთანავე, იმ პირს, რომლის მონაცემებს ეხება ინფორმაცია, კერძოდ, შპს „ე...ა-ს“ არ გაუპროტესტებია მისი საერთო საგადასახადო დავალიანების საგადასახადო ორგანოს მიერ სასამართლოსთვის მიწოდება, არ მოუთხოვია აღიარებული საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოების დაცვა ან/და დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა (მესა-

მე პირი საერთოდ არ გამოცხადებულა ქვედა ინსტანციის სასამართლო სხდომებზე). ის გარემოება, რომ ინფორმაცია საიდუმლოა და საჯარო დაწესებულებას მისი გასაჯაროება ეკრძალება, არ გამორიცხავს დაინტერესებული პირის უფლებას მოითხოვოს აღნიშნული ინფორმაცია. სზაკ-ის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საიდუმლოების დაცვაში კანონმდებელი იყენებს ღირებულებათა შეფასების მეთოდს, პროპორციულობას, პრიორიტეტთა გარკვეულ სისტემას, მოქმედებს უკიდურესი აუცილებლობის პრინციპი: ნაკლები სოციალური ღირებულება უფრო მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულების დაცვას ეწირება. ინფორმაციის მომთხოვნ პირს ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს ინფორმაციის მიღების ინტერესის პრიორიტეტულობა ინფორმაციის კონფიდენციალობის ინტერესზე (საიდუმლოების დაცვის საკითხში პროპორციულობაზე იხ., მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 25.04.2006წ. გადაწყვეტილება საქმეზე „დამანი (Dammann) შვეიცარიის წინააღმდეგ“ (§49); 27.03.1996წ. გადაწყვეტილება „გუდვინი (Goodwin) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, §45, §46). სზაკ-ის 99.2 მუხლის თანახმად, თუ დოკუმენტის გაცნობის ინტერესი აღემატება საიდუმლოების დაცვის ინტერესს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაინტერესებულ მხარეს წარედგინება საქმის ის მასალებიც, რომლებიც შეიცავს საიდუმლოებას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის თანახმად, ყველა სახელმწიფო ორგანო და საბანკო დაწესებულება ვალდებულია აღსასრულებელი მოთხოვნის ფარგლებში აღმასრულებელს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია მოვალის ქონებრივი მდგომარეობის, საბანკო ანგარიშების და მათზე დარიცხული თანხის შესახებ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 14.1 მუხლის თანახმად სასამართლოს უფლებამოსილების განსაზოგადოებას სასამართლოს მოთხოვნა და განკარგულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო ორგანოსთვის. დავის გადანაცვება საჭიროებს სალდირებული დავალიანებიდან აუქციონის დასრულების მომენტში („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის მე-4 ნაწ.) არსებული გირავნობით უზრუნველყოფილი აღიარებული საგადასახადო დავალიანების ოდენობის დადგენას, რაც საჭიროებს სასამართლოს მიერ აუქციონის დასრულების მომენტისათვის საგადასახადო გირავ-

ნობით გათვალისწინებული აღიარებული საგადასახადო დავალიანების ოდენობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვას საგადასახადო ორგანოდან. საგადასახადო ორგანოს მიერ უფლებამოსილი პირისათვის (სასამართლოს ან/და სააღსრულებო ბიუროსათვის) დადგენილ ვადაში გირავნობით უზრუნველყოფილი აღიარებული საგადასახადო დავალიანების ოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემის მიუწოდებლობა ფაქტობრივად დაადასტურებს ასეთი დავალიანების არარსებობას, რადგან სსიპ შემოსავლების სამსახური არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ისეთი წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე, რომელიც მის ხელთაა და რომლითაც საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება უნდა დადასტურდეს. ასეთ დროს სასამართლოს შეუძლია კონკრეტული გარემოების მტკიცების ტვირთი დააკისროს სწორედ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე ვალდებულ პირს (სსკ-ის 136.5 მუხ.). ამდენად, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გირავნობით უზრუნველყოფილი აღიარებული საგადასახადო დავალიანების შესახებ კონკრეტული მონაცემის წარუდგენლობის შემთხვევაში, აღსრულება უნდა განხორციელდეს ისე, როგორც არაღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში სსიპ შემოსავლების სამსახურს მიეცემა იძულებითი აღსრულების შედეგად ამოღებული თანხის განაწილების განუსაზღვრელი ვადით გადადების, სააღსრულებო წარმოების დასრულების ხელშეშლის შესაძლებლობა, რაც სხვა კრედიტორის უფლებების დაუზიანებელ შეზღუდვას გამოიწვევს.

რაც შეეხება ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას აღმასრულებლის ქმედებების კანონიერებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი არ შეიცავს პრეტენზიებს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების აღნიშნულ ნაწილთან დაკავშირებით, ხოლო საკასაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში(404.1 მუხ.).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-

რივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.04.2017წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააღსრულებო ბიუროს განკარგულების კანონიერების შემოწმება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმთო

№ბს-545(კ-20)

25 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 31 დეკემბერს ზ. ჭ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2018 წლის 03 დეკემბრის №A16067314-014/001 განკარგულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით მისი სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ცვლილება შევიდა 2016 წლის 12 ივლისს ნოტარიუს ე. შ-ის მიერ გაცემულ №160767965 სააღსრულებო ფურცელში, კერძოდ გადაუხდელი პროცენტი განისაზღვრა 1 645 აშშ დოლარის ოდენობით. მო-

სარჩელის განმარტებით, მისი შვილისაგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებაზე მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება, რომელიც შეჩერებული იყო სამოქალაქო სარჩელის წარდგენისა და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო. ზ. ჭ-ის განმარტებით, სამოქალაქო საქმის განხილვისას იგი აცხადებდა, რომ მზად იყო შეესრულებინა ვალდებულება, თუმცა იპოთეკარმა აირჩია იძულებითი გზა და კვლავ განახლდა სააღსრულებო წარმოება. მოსარჩელის მითითებით, ისე გაიმართა აუქციონი, რომ მას არანაირი ინფორმაცია და შეტყობინება არ მიუღია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაერთო ლ. ხ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 08 თებერვლის განჩინებით ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაერთო მ. ს-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2018 წლის 03 დეკემბრის №A16067314-014/001 განკარგულება, რაც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურომ და ლ. ხ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროსა და ლ. ხ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველ პუნქტზე, 25-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე, 73-ე, 74-ე და 76-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააღსრულებო წარმოების შეჩერებისა და განახლების თაობაზე, ზ. ჭ-ე სათანადოდ ინფორმირებული არ ყოფილა. საქმეში არსებულ დოკუმენტებში ფიქსირდებოდა ზ. ჭ-ის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სააღსრულებო წარმოების მასალით არ დასტურდებოდა, რომ კერძო აღმასრულებელი შეეცადა მოვალე პირთან დაკავშირებას ტელეფონის საშუალებით, სააღსრულებო წარმოების განახლების შესახებ ინფორმირების მიზნით. ამასთანა-

ნავე, პალატის მითითებით, სააღსრულებო წარმოების განახლების შემდეგ კერძო აღმასრულებელს არ გამოუყენებია სსკ-ის 70-78-ე მუხლებით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა მოვალის სათანადოდ ინფორმირების მიზნით, კერძო აღმასრულებელმა შეტყობინებები გააგზავნა სააღსრულებო წარმოების დაწყების მომენტში მოვალის მისამართად დაფიქსირებულ მისამართზე (თბილისი, ...ის ქუჩა №23) და არა სააღსრულებო წარმოების განახლების შემდეგ სააღსრულებო ფურცელში დაფიქსირებულ მოვალის ახალ მისამართზე (თბილისი, ...ის, ... კვარტალი, მე-... კორპუსი, ბინა №15). სასამართლო მოსაზრებით, სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, კერძო აღმასრულებელმა მხედველობაში არ მიიღო მოვალის მიერ მისამართის შეცვლის ფაქტი და სააღსრულებო მოქმედებების განახლების შემდეგ, მოვალის ინფორმირების მცდელობა განახორციელა ძველ მისამართზე, სადაც მოვალე უკვე აღარ ცხოვრობდა. სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ სააღსრულებო საქმის მწარმოებელი პირის ვალდებულებას, სააღსრულებო პროცედურის თაობაზე წარმოების მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდოს კანონით დადგენილი წესით, არ ცვლის სხვა ორგანოში, მათ შორის, სასამართლოში მიმდინარე პროცესში პირის ჩართულობა, ამდენად, უსაფუძვლო იყო მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ზ. ჭ-ე ინფორმირებული იქნებოდა სააღსრულებო წარმოების შეჩერებისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე, ვინაიდან, სარჩელი სამოქალაქო სასამართლოში თავად ზ. ჭ-ის მიერ იყო აღძრული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის ფარგლებში კერძო აღმასრულებლისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს ვალდებულებების განსაზღვრასთან მიმართებით. კასატორმა მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14⁶ მუხლის პირველ პუნქტზე და განმარტა, რომ განსახილველ საქმეში, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სააუქციონო მომსახურება კერძო აღმასრულებლის მიმართვის საფუძველზე განახორციელა. ამდენად, აუქციონის გამართვამდე ჩატარებული მოქმედებები განხორციელდა უშუალოდ კერძო აღმასრულებლის მიერ.

კასატორმა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ სააღსრულებო წარმოების დაწყების შესახებ მოვალის ინფორმირება წარმოადგენს აღმასრულებლის ინიციატივით მოვალისათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, თუმცა აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება აღმასრულებელს არ ეკისრება. კასატორის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადება კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაპბარდა მოვალეს. სხვა დამატებითი ვალდებულება მოვალის ინფორმირებასთან დაკავშირებით კერძო აღმასრულებელსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს არ გააჩნდათ. კასატორმა აღნიშნა, რომ ზ. ჭ-ისათვის ჩაპბარებულ წინადადებაში მითითებული იყო მისი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლის საშუალებითაც იგი უფლებამოსილი იყო უწყვეტ რეჟიმში მიეღო სააღსრულებო წარმოების თაობაზე ინფორმაცია.

კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია სასამართლოს მოსაზრება მოვალის ახალი მისამართის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით, რადგან კერძო აღმასრულებლის მოქმედება – აღნიშნულ მისამართზე ვიზიტი წარმოადგენდა მოვალის ინფორმირებისაკენ მიმართულ ქმედებას. ამასთანავე, ზ. ჭ-ე თავად წარმოადგენდა მოსარჩელეს მხარეს მიმდინარე სამოქალაქო დავაში და მისთვის იმთავითვე იყო ცნობილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებისა და წარმოების განახლების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 4 მარტის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი

უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2015 წლის 12 იანვარს, ერთი მხრივ, ლ. ხ-სა და, მეორე მხრივ, გ. ტ-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. გ. ტ-მა ლ. ხ-ისგან ისესხა 35000 აშშ დოლარი აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა გ. ტ-ის საკუთრებაში არსებული 111.13 კვ.მ უძრავი ქონება, მდებარე – ქ. თბილისი, ...ის ..., კვარტალი ..., კორპუსი №6, ბინა №15. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ზ. ჭ-ე არის მამკვიდრებლის – 2015 წლის 30 დეკემბერს გარდაცვლილი შვილის – გ. ტ-ის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე (მშობელი). მემკვიდრემ მამკვიდრებლის სამკვიდრო მიიღო სრულად – სამკვიდროში შემაჯავლი აქტივებითა და პასივებით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ლ. ხ-ის მოთხოვნით 2016 წლის 12 ივლისს ნოტარიუსის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის საფუძველზეც აუქციონის გზით უნდა მომხდარიყო იპოთეკის საგნის რეალიზაცია. 2016 წლის 13 ივლისს კერძო აღმასრულებელს წარედგინა კრედიტორის – ლ. ხ-ის განცხადება იძულებითი აღსრულების მიზნით სააღსრულებო დოკუმენტის წარმოებაში მიღების შესახებ. 2016 წლის 13 ივლისს მოვალე – ზ. ჭ-ეს გაეგზავნა წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, რომლითაც მოვალეს ეცნობა, რომ კერძო აღმასრულებლის წარმოებაში იყო ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნული ფურცლის თანახმად ზ. ჭ-ეს კრედიტორის – ლ. ხ-ის სასარგებლოდ გააჩნდა შეუსრულებელი ფულადი ვალდებულება, თანახმად სამკვიდრო მონაწილისა და სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით. გადაწყვეტილების შესრულების შესახებ წინადადება ფოსტის მეშვეობით გაიგზავნა და 2016 წლის 14 ივლისს ჩაჰბარდა ზ. ჭ-ის რძალს მისამართზე – ქ. თბილისი, ...ის ქ. №23.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ივლისის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, შეჩერდა ნოტარიუს ე. შ-ის მიერ 2016 წლის 12 ივლისს გაცემული №160767965 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით, ზ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ცვლილება შევიდა 2016 წლის 12 ივლისს ნოტარიუს – ე. შ-ის მიერ გაცემულ №160767965 სააღსრულებო ფურცელში პროცენტის ნაწილ-

ში, კერძოდ, გადაუხდელი პროცენტი განისაზღვრა 1645 აშშ დოლარის ოდენობით. 2016 წლის 12 ივლისს ნოტარიუს ე. შ-ის მიერ გაცემული №160767965 სააღსრულებო ფურცელი დანარჩენ ნაწილში, დარჩა უცვლელი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 მაისის განჩინებით განმცხადებელ ლ. ხ-ის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2016 წლის 21 ივლისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და 2018 წლის 27 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 თებერვლის გადანყვეტილების საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი. კერძოდ აღმასრულებლის მიერ 2018 წლის 28 სექტემბერს და 04 ოქტომბერს მოვალეს – ზ. ჭ-ეს ქ. თბილისში, ...ის ქ. №23-ში გაეგზავნა №A16067314-007/001 ინფორმაცია სააღსრულებო საქმის წარმოების განახლების თაობაზე, თუმცა გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა. ამავდროულად მისამართზე გაიგზავნა გაფრთხილება აუქციონის დანიშვნის შესახებ, თუმცა კვლავ უშედეგოდ. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს სადავო 2018 წლის 03 დეკემბრის №A16067314-014/001 განკარგულების თანახმად, უძრავი ქონების შემძენი გახდა ლ. ხ-ი, რომელმაც უძრავი ქონება შეიძინა 98 800 ლარად და თანხა გადაიხადა სრულად.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს სწორედ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2018 წლის 03 დეკემბრის №A16067314-014/001 განკარგულების კანონიერების შემოწმება წარმოადგენს. მოსარჩელის განმარტებით, განკარგულება უკანონოა, ვინაიდან მას სათანადოდ არ მიენოდა ინფორმაცია სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისა და კონკრეტული სააღსრულებო მოქმედებების განხორციელების შესახებ. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმაც.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სააღსრულებო საქმიანობა შესაძლოა განხორციელდეს კერძო აღმასრულებლის მიერ ზემოხსენებული კანონით დადგენილი წესითა და პირობებით. განსახილველ შემთხვევაში, სააღსრულებო მოქმედებები ხორციელდებოდა კერძო აღმასრულებელ მ. ს-ის მიერ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თავდაპირველად, ზ. ჭ-ე სათანადო წესით იყო ინფორმირებული სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის შესახებ. კერძოდ, 2016 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების შესრულების შესახებ წინადადება 2016 წლის 14 ივლისს ჩაიბარა ზ. ჭ-

ის ოჯახის წევრმა – რძალმა. აღნიშნული გარემოება სადავოდ არ გაუხდია თავად მოსარჩელეს. მოსარჩელის ინფორმირებულობას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ მან 2016 წლის 20 ივლისს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანა მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ითხოვდა მიმდინარე სააღსრულებო წარმოების შეჩერებას.

ამდენად, დადგენილადაა ცნობილი ის გარემოება, რომ მოვალე – ზ. ჭ-ის მიმართ მიმდინარე სააღსრულებო წარმოება შეჩერებული იყო მის სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამო. აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 მაისის განჩინებით და 2018 წლის 27 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რის შედეგადაც განახლდა სააღსრულებო საქმის წარმოება და 2018 წლის 29 სექტემბერს კერძო აღმასრულებლის მიერ ზ. ჭ-ეს გაეგზავნა ინფორმაცია სააღსრულებო საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულების დაწყების შესახებ სააღსრულებო წარმოების მხარეთა ინფორმირება ხდება ამ მუხლის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო უწყების ჩაბარებისთვის დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილების შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ინფორმირება ხდება სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. მოვალეს ეცნობება: ა) ინფორმირებიდან 7 დღის ვადაში მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შემთხვევაში მხოლოდ კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის შესაბამისი ნაწილის, ხოლო ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში - აღსრულების საფასურის სრული ოდენობით დაკისრების შესახებ; ბ) ამ კანონის მე-18 მუხლით დადგენილი უფლებები; გ) სააღსრულებო წარმოების დაწყების სამართლებრივი შედეგები; დ) იძულებითი აღსრულებისათვის ამ კანონით გათვალისწინებული შესაძლო გასატარებელი ღონისძიებები; ე) აღსრულების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მიღების წესი და საშუალებები. მოვალეს იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ ეცნო-

ბება. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააღსრულებო წარმოების ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოვალისათვის აღსრულების დაწყების შესახებ ინფორმაციის ჩაბარებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება, და არ არის ვალდებული, დაიცვას თანამიმდევრობა. სასამართლომ დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება ჩააბაროს ასევე სასამართლოს შენობაში. თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილად და ცნობილი ის გარემოება, რომ სააღსრულებო საქმის წარმოების განახლების თაობაზე ინფორმაცია მოვალე ზ. ჭ-ეს ორჯერ – 2018 წლის 29 სექტემბერსა და 2018 წლის 04 ოქტომბერს გაეგზავნა მისამართზე – ქ. თბილისი, ...ის ქ. №23, თუმცა ადრესატის მისამართზე არ ცხოვრების გამო ჩაბარება ვერ მოხერხდა. ამასთან, შპს „ქართული სერვის ჯგუფის“ 2018 წლის 08 ოქტომბრის უკუგზავნილზე მითითებულია, რომ ადრესატის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი დაუდგენელია.

ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესრულებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე და 73-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას, რომ სააღსრულებო წარმოების განახლების შესახებ შეტყობინება უნდა გაგზავნილიყო მოვალის ახალ მისამართზე – ქ. თბილისი, ...ის ..., კვარტალი ..., კორპუსი №6, ბინა №15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს,

რომ ხსენებულ მისამართზე მდებარეობს სადავო უძრავი ქონება და იგი არ წამოადგენდა მოვალის ახალ მისამართს. აღნიშნული მისამართი სააღსრულებო წარმოების შეჩერებამდეც იყო ცნობილი კერძო აღმასრულებლისათვის. კერძოდ, 2016 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების შესრულების შესახებ წინადადება ზ. ჭ-ეს გაეგზავნა როგორც ...ის ქ. №23-ში, ისე ...ის ..., ..., კვარტალი ..., კორპუსი №6, ბინა №15-ში. საქართველოს ფოსტის უკუგზავნილის თანახმად, ვარკეთილის მისამართზე მდებარეობდა სასტუმრო და არ ცხოვრობდა ადრესატი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმასრულებელმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მიიღო გადაწყვეტილება სააღსრულებო წარმოების განახლების შესახებ შეტყობინება გაეგზავნა ქ. თბილისში, ...ის ქ. №23-ში, სადაც მოვალის ოჯახის წევრისათვის ერთხელ უფე ჩაბარებული იყო გზავნილი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს. ამდენად, ზ. ჭ-ის მიერ მისამართის შეცვლის თაობაზე ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრების გაზიარების პირობებშიც დაუსაბუთებელია დასკვნა, რომ აღმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, რადგან მისამართის შეცვლის შემთხვევაში თავად ზ. ჭ-ეს ეკისრებოდა ორგანოსათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მოვალისათვის სააღსრულებო წარმოების განახლების შესახებ შეტყობინების მეორედ გაგზავნის მომდევნო დღეს – 2018 წლის 05 ოქტომბერს კერძო აღმასრულებელი – მ. ს-ი სააღსრულებო ფურცლის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით პირადად იმყოფებოდა უძრავი ქონების მისამართზე – ქ. თბილისი, ...ის ..., ..., კვარტალი ..., კორპუსი №6, ბინა №15-ში. უძრავი ქონების აღწერა-დაყადაღების შესახებ 2018 წლის 05 ოქტომბრის აქტის თანახმად, უძრავი ქონების შიდა ინტერიერის აღწერა და დათვალიერება ვერ მოხერხდა. საქმეში წარმოდგენილი ფოტომასალის თანახმად, სადავო მისამართზე განთავსებულია სასტუმრო. ამდენად, არ დასტურდება, ის გარემოება რომ ქ. თბილისი, ...ის ..., ..., კვარტალი ..., კორპუსი №6, ბინა №15 წარმოადგენდა მოვალის ახალ საცხოვრებელს ადგილს, სადაც იგი შეძლებდა გზავნილის ჩაბარე-

ბას.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ აუქციონის დანიშვნის შესახებ გაფრთხილება მოვალე ზ. ჭ-ეს კვლავ ქ. თბილისში, ...ის ქ. №23-ში გაეგზავნა, რაც კვლავ წარუმატებლად დასრულდა.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ფაქტობრივ საფუძველს მოკლებულია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მითითება, რომ სააღსრულებო წარმოების ფარგლებში არ მომხდარა ზ. ჭ-ესთან ტელეფონის საშუალებით დაკავშირების მცდელობა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საქმეში წარმოდგენილია სატელეფონო აქტები, რომლებიც ადასტურებს, რომ აუქციონის თაობაზე ინფორმირების მიზნით, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი 2018 წლის 16 და 19 ნოემბერს მისთვის ცნობილი ოთხი სხვადასხვა სატელეფონო ნომრის მეშვეობით ცდილობდა დაკავშირებოდა მოვალეს, თუმცა ზ. ჭ-ესთან ან მისი ოჯახის ისეთ წევრთან, რომელიც მას ინფორმაციას გადასცემდა, კავშირი ვერ შედგა. აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით, დაუსაბუთებელია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მითითება, რომ აღმინისტრაციული ორგანოს არ გამოუყენებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით გათვალისწინებული ყველა შესაძლო შესაძლებლობა მოვალის სათანადოდ ინფორმირების მიზნით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის“ 25-ე მუხლის მე-8 ნაწილი ცალსახად ადგენს, რომ მოვალეს იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ ეცნობება. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლები შეიცავს გზავნილის ჩაბარების ალტერნატიული შესაძლებლობების ჩამონათვალს და არ ავალდებულებს სასამართლოს (განსახილველ შემთხვევაში – კერძო აღმასრულებელს) ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთვის ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურებისთვის (უბნის ინსპექტორებისთვის), გზავნილის ჩაბარების უზრუნველყოფის დავალება წარმოადგენს აღმასრულებლის უფლებამოსილებას და არა მის ვალდებულებას. მართალია, სააღსრულებო წარმოების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოვალის ინფორმირებულობის საკითხი, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს აღმასრულებლისათვის ისეთი მოქმედების შესრულების დავალების საფუძველს, რომელიც აღემატება კანონმდებლობით განსაზ-

ღვრულ მის მოვალეობებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მითითება, რომ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს აღნიშნული შესაძლებლობები პირის მოსაძიებლად, აღმასრულებელს აღჭურავს უფლებით, თუმცა არ აკისრებს მას ვალდებულებას (იხ. სუსგ №ბს-551-538(3კ-14), 29.10.2015წ.). განსახილველ შემთხვევაში აღმასრულებელმა შეასრულა მასზე კანონმდებლობით დაკისრებული მოთხოვნები, კერძოდ: ფოსტის მეშვეობით გზავნილის პირველ შემთხვევაში ჩაუბარებლობის შემდგომ, მეორედ გააგზავნა კორესპონდენცია მისთვის ცნობილ მისამართზე, თუმცა უშედეგოდ. ამასთანავე, აღმასრულებელი პირადად იმყოფებოდა მოვალის მისთვის ცნობილ მეორე მისამართზე. საქმის მასალებით დასტურდება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მოვალესთან ტელეფონის საშუალებით დაკავშირების არაერთი მცდელობა. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ზ. ჭ-ე სათანადო წესით იყო ინფორმირებული სააღსრულებო წარმოების დაწყების თაობაზე. გადანყვეტილების შესრულების შესახებ წინადადება მოვალეს ჩაჰბარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. აღსანიშნავია, რომ სააღსრულებო წარმოება შეჩერებული იყო თავად ზ. ჭ-ის შუამდგომლობის საფუძველზე. ამდენად, მას უნდა ჰქონოდა წარმოების განახლების მოლოდინი. აღნიშნულის მიუხედავად, მას აღმასრულებლისათვის არ უცნობებია ფაქტობრივი ადგილსამყოფელი ან/და მისამართის შეცვლის შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ ემყარება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო განკარგულების მიღებისას კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი, რაც სადავო განჩინების გაუქმებისა და ზ. ჭ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობას წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო

ხარჯების განაწილებასაც. განსახილველ შემთხვევაში, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 150 და 300 ლარის ოდენობით. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ზ. ჭ-ეს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 450 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ზ. ჭ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ზ. ჭ-ეს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასარგებლოდ დაეკისროს მის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 (150+300) ლარის ანაზღაურება;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აღსრულების გიუროს განკარგულების კანონიერების შემოწმება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-648(უს-22)

20 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-
მოყენება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. გ-მა 2017 წლის 27 ოქტომბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მო-
პასუხეების – სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მის საკუთ-
რებაში არსებულ შემდეგ ავტომანქანებზე: „...“, სახელმწიფო ნომ-
რით ..., „...“, სახელმწიფო ნომრით ..., „...“, სახელმწიფო ნომრით ...
და „...“, სახელმწიფო ნომრით ..., სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 12 სექტემბრის №...,
№..., №... და №... გირავნობის მოწმობების ბათილად ცნობა, მათი
რეგისტრაცია მოსარჩელის სახელზე უფლებრივად უნაკლო მდგო-
მარეობაში და სახელმწიფოსთვის სადავო მანქანების გადაცემის
დროს გირავნობის უფლებების არარსებობის აღიარება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2017 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, მოცემული
ადმინისტრაციული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგ-
ზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2018 წლის 16 თებერვლის განჩინებით, საქართვე-
ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-
2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ სს „... ბან-
კი“ და შპს „...“.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიის 2018 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით ს. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. გ-მა. აპელანტმა 2019 წლის 22 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარადგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, ასევე იშუამდგომლა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 18 სექტემბრის №..., №..., №..., №... გირავნობის მონმობების მოქმედების შეჩერების თაობაზე. ამასთანავე, მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საკუთრების უფლება არის აღიარებული და დაცული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ივლისის განჩინებით, ს. გ-ის შუამდგომლობა, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 18 სექტემბრის №..., №..., №..., №... გირავნობის მონმობების მოქმედების შეჩერების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ს. გ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 3 სექტემბრის განჩინებით კერძო საჩივარზე დადგინდა ხარვეზი, რომლითაც საჩივრის ავტორს მოთხოვნის დაზუსტება დაევალა. მასვე მიეთითა, დაეზუსტებინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ივლისის განჩინებას კერძო საჩივრით ასაჩივრებდა თუ საჩივრით. 2022 წლის 13 მაისს ს. გ-მა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და წარადგინა დაზუსტებული საჩივარი.

საჩივრის თანახმად, ეჭვქვეშ დგება გირავნობის რეგისტრაციის ფაქტის კანონიერება, რის გამოც, წინასწარ, სანამ სასამართლოს სამივე ინსტანციაში არ დასრულდება საქმის წარმოება, არ შეიძლება სასამართლომ უტყუარად მიიჩნიოს გირავნობის უფლების არსებობა და სწორედ ამიტომ უნდა მოხდეს ადმინისტრაციული აქტის კანონიერების შემოწმებამდე სადავო ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შედეგად მოსალოდნელი ზიანის მიყენების ფაქტის თავიდან არიდება, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული საბოლოო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით, მოსარჩელისთვის შემდგომში შეუძლებელი იქნება დარღვეულ უფლებებში აღდგენა

და მისი ხელყოფილი ქონების დაბრუნება.

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით დადგენილ პირობებს, ვინაიდან შეიცავს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გირავნობის მოწმობების შეჩერების შემთხვევაში, დაცული იქნება ორივე მხარის ინტერესი – სს „... ბანკის“ მოთხოვნის აღსრულება გადავადდება მხოლოდ გარკვეული ვადით, ხოლო მოსარჩელეს მიეცემა მისი უფლებების დაცვისა და პოზიციის დასაბუთების შესაძლებლობა. საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კი, აღსრულება კვლავ გაგრძელდება და კრედიტორის – სს „... ბანკის“ ინტერესები ამით არ შეილახება, ხოლო სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისას სს „... ბანკის“ მოთხოვნის აღსრულება გარანტირებული იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორმა გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებლად მიიჩნია, რის გამოც მისი გაუქმება და საჩივრის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 მაისის განჩინებით ს. გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადმოეგზავნა ზემდგომ – საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება ემსახურება დავის საგნის დაცვას იმ მიზნით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდეს დაუბრკოლებლად. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას სასამართლო გამოიყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი შეძლებს დაამტკიცოს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა რატომ გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ასევე უნდა დაასაბუთოს ამ ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების

ეტაპზე სასამართლოს უნდა გააჩნდეს ვარაუდი, რომ სარჩელი, შე-
საძლოა, დაკმაყოფილდეს. განსახილველ შემთხვევაში განმცხა-
დებელი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ითხოვს მოცემულ
საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამ-
დე სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახუ-
რების სააგენტოს 2017 წლის 18 სექტემბრის №..., №..., №..., №...
გირავნობის მონუმენტების მოქმედების შეჩერებას. ოთხივე შემთხვე-
ვაში გირავნობის საგანია ავტომობილი, მოგირავნე – სს „... ბანკი“,
დამგირავებელი – შპს „...“. გირავნობის საფუძვლებია გირავნო-
ბის ხელშეკრულებები.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გირავნობის მონუმბა
არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც დასტურდება საა-
გენტოში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის მე-4
ნაწილით განსაზღვრულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე
გირავნობის უფლების რეგისტრაციის ფაქტი. სააგენტოში მოგირავ-
ნის მიერ გირავნობის მონუმბის გაცემის მოთხოვნის მართლობიე-
რებაზე პასუხისმგებელია თვითონ მოგირავნე და არა გირავნობის
მონუმბის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო. ამასთან, გირავნო-
ბის მონუმბა ანუ გირავნობის უფლების რეგისტრაციის ფაქტი, მოგი-
რავნეს უფლებას აძლევს, საქართველოს კანონმდებლობით დადგე-
ნილი გარემოებების არსებობისას, დაინყოს სააღსრულებო წარმოე-
ბა და მოითხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკ-
მაყოფილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „სააღსრუ-
ლებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წე-
სით. ამასთან, გირავნობის მონუმბის გასაჩივრება არ იწვევს მისი აღ-
სრულების შეჩერებას, ხოლო გირავნობის მონუმბის მოქმედების შე-
ჩერება, იმავდროულად გამოიწვევს აღსრულების ქვემდებარე აქტით
(გირავნობის მონუმბის) გათვალისწინებული აღსრულების შეჩერე-
ბას. სასამართლოს მიერ აღსრულების შეჩერება, შეჩერების ვადები
იმპერატიულადაა დადგენილი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“
საქართველოს კანონის 36-ე მუხლით.

სააპელაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-
გიის 2017 წლის 7 ნოემბრის განჩინება, რომლითაც მოსარჩელე ს.
გ-ის შუამდგომლობა, საქმის დასრულებამდე აღსრულების შეჩე-
რების თაობაზე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამო-
ყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა, მხარის მიერ სადავოდ არ არის
გამხდარი. სააპელაციო პალატა, დასახელებული გარემოებების
მხედველობაში მიღების შედეგად მიაჩნევს, რომ ს. გ-ის შუამდგომ-
ლობა სსიპ გირავნობის მონუმბების მოქმედების შეჩერების თაო-
ბაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის, სათანადო ფაქ-

ტობრივი და სამართლებრივი გარემოებების არარსებობის გამო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია აგრეთვე წარმოდგენილი საჩივარი, შესაბამისად, არ არსებობს თბილისის სა-აპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ივლისის განჩინების გაუქმებისა და მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევა, რომ ს. გ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად კი, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში წარდგენილი საჩივრით სადავოდ არის გამხდარი უზრუნველყოფის ღონისძიების – გირავნობის მოწმობების მოქმედების შეჩერების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერება. აღსანიშნავია, რომ სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავი (სარჩელის უზრუნველყოფა). ამდენად, აღსრულების უზრუნველყოფა ხორციელდება სარჩელის უზრუნველყოფისთვის დადგენილი წესით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნე-

ლებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სარჩელის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებაა მოპასუხისათვის რაიმე მოქმედების განხორციელების შეზღუდვის გზით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, შესაბამისად, მისი გამოყენება მიმართული უნდა იყოს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან მისი შეუძლებლობის თავიდან აცილებისაკენ მხოლოდ დავის საგანთან დაკავშირებით და არსებული მდგომარეობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთნაირად იცავს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესებს, ანუ მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხდება მოპასუხის ინტერესების გაუთვალისწინებლად. სწორედ აღნიშნული პრინციპი უდევს საფუძვლად იმ გარემოებას, როცა კანონმდებელი უშვებს სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და არა მის სავალდებულოებას.

განსახილველ შემთხვევაში ს. გ-ის მიერ სარჩელი აღძრულია მოპასუხეების – სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიმართ, საჩივრის ავტორის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანებზე („...“, სახელმწიფო ნომრით ..., „...“, სახელმწიფო ნომრით ..., „...“, სახელმწიფო ნომრით ... და „...“, სახელმწიფო ნომრით ...) სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 12 სექტემბრის №..., №..., №... და №... გირავნობის მოწმობების ბათილად ცნობის, მოსარჩელის სახელზე უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში მათი რეგისტრაციისა და სახელმწიფოსთვის სადავო მანქანების გადაცემის დროს გირავნობის უფლების არარსებობის აღიარების მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ს. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია,

რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ №..., №..., №... და №... გირავნობის მოწმობების გაცემის საფუძველს წარმოადგენდა მოგირავნე – სს „... ბანკსა“ და დამგირავებელ – შპს „...ს“ შორის გაფორმებული 2013 წლის 10 იანვრის №..., 2015 წლის 26 ივნისის №..., 2013 წლის 30 ოქტომბრის №... და 2014 წლის 29 იანვრის №... გირავნობის ხელშეკრულებები. საგულისხმოა, რომ მითითებული გირავნობის ხელშეკრულებები ნამდვილია და იგი სადავოდ არაა გამხდარი მხარეების მიერ. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ, ავტომატურად: „...-ის“, „...-ის“, „...-ისა“ და „...-ის“ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის პირობებში, მათ აღწერილობებში მითითებულია, რომ ავტომატურად აქვთ გირავნობა სს „... ბანკს“ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე – ს. გ-ისთვის ცნობილი იყო ავტომატურად მიმართ ვალდებულების არსებობის ფაქტი. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის 15 აგვისტოს („...“, „...“ და „...“ ავტომატურადების მიმართ) და 2017 წლის 4 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტებითაც დასტურდება ავტომატურად არსებული გირავნობა. მიღება-ჩაბარების აქტები კი ხელმოწერილია მხარეების მიერ.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის საფუძველზე, განცხადებით ითხოვს მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სადავო გირავნობის მოწმობების მოქმედების შეჩერებას. სააპელაციო სასამართლოს მიერ განმცხადებლის მოთხოვნაზე უარის თქმის ძირითადი საფუძველი კი გახდა ის გარემოება, რომ სააგენტოში მოგირავნის მიერ გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნის მართლზომიერებაზე პასუხისმგებელია თვითონ მოგირავნე და არა გირავნობის მოწმობის გაცემი ადმინისტრაციული ორგანო. ამასთან, გირავნობის მოწმობა ანუ გირავნობის უფლების რეგისტრაციის ფაქტი, მოგირავნეს უფლებას აძლევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას დაიწყოს სააღსრულებო წარმოება და მოითხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას განმცხადებლის მოთხოვნის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით და ზემოთ მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად მიიჩნევს, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლი-

თაც დასტურდება სააგენტოში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258.4. მუხლით განსაზღვრულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციის ფაქტი. სააგენტოში მოგირავნის მიერ გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნის მართლზომიერებაზე პასუხისმგებელია თვითონ მოგირავნე და არა გირავნობის მოწმობის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო. ამასთან, გირავნობის მოწმობა ანუ გირავნობის უფლების რეგისტრაციის ფაქტი, მოგირავნეს უფლებას აძლევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას დაიწყოს სააღსრულებო წარმოება და მოითხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამასთან, გირავნობის მოწმობის გასაჩივრება არ იწვევს მისი აღსრულების შეჩერებას, გირავნობის მოწმობის მოქმედების შეჩერება კი, იმავდროულად გამოიწვევს აღსრულების ქვემდებარე აქტით (გირავნობის მოწმობის) გათვალისწინებული აღსრულების შეჩერებას, ხოლო სასამართლოს მიერ აღსრულების შეჩერება და შეჩერების ვადები იმპერატიულადაა დადგენილი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით.

დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორი – ს. გ-ი არ უთითებს არც ერთ კონკრეტულ გარემოებაზე, რაც საფუძვლად დაედება მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და დადასტურებს გასაჩივრებულ განჩინებაში ასახული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის არამართლზომიერებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარი დასაბუთებულია. დასტურდება, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობა, ასევე არ არსებობს გარემოებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის დაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო სასამართლო დამატებით ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 7 ნოემბრის განჩინებით, მოსარჩელე ს. გ-ის შუამდგომლობა (საქმის დასრულებამდე აღსრულების შეჩერების თაობაზე) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც განსახილველ შემთხვევაში სადავოდ არ არის გამხდარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას და მიიჩნევს, რომ ს. გ-ის საჩივარი მართებულია და არ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 197¹, 198-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ს. გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ივლისისა და ამავე სასამართლოს 2022 წლის 27 მაისის განჩინებები დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

აღსრულების ბიუროს განკარგულების კანონიერების შემოწმება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-281-279(კ-16)

22 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განკარგულების ბათილად ცნობა, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-ემ 18.03.2013წ. განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის

ლონისძიების გამოყენების, კერძოდ, ქ. ბათუმში, ...ის ქ. №.../...ის ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონებაზე ნებისმიერი სარეგისტრაციო წარმოების აკრძალვის მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.03.2013წ. განჩინებით მ. მ-ის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს აეკრძალა ქ. ბათუმში, ...ის ქ. №.../...ის ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონების გასხვისების შესახებ სარეგისტრაციო წარმოების განხორციელება, განჩინება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მ. მ-ემ 28.03.2013წ. სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების მ. ზ-ის, აღსრულების ეროვნული ბიუროს და შპს „...“-ს მიმართ აღსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.2013წ. განკარგულების ბათილად ცნობის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის და კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ის მიერ ჩატარებული სააღსრულებო წარმოების უკანონოდ ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მასსა და გ. ა-ეს შორის 04.03.2012წ. დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც მ. მ-ეს გადაეცა 40 000 აშშ დოლარი სამი თვის ვადით, თვეში 4%-ის დარიცხვით. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მ. მ-ის საკუთრებაში რიცხული, ქ. ბათუმში მდებარე უძრავი ქონება. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 27.08.2012წ. ნოტარიუს ლ. ჭ-ას მიერ იპოთეკარ გ. ა-ის მიმართვის საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი მ. მ-ის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. სააღსრულებო ფურცელი იძულებით აღსასრულებლად გადაეცა კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ეს, რომელმაც მოსარჩელის თქმით მას არ შეატყობინა იძულებითი აღსრულების ფარგლებში აუქციონის მეშვეობით მისი ქონების რეალიზების თაობაზე. არასწორია საფოსტო უკუგზავნილზე გაკეთებული აღნიშვნა, რომ ადრესატი აღნიშნულ მისამართზე (ქ. ბათუმი, ...ის ქ. №...) არ ცხოვრობს და ფართი გაქირავებულია, რადგან მოსარჩელე იმყოფებოდა ბათუმში და მუშაობდა საარჩევნო შტაბში. მოსარჩელე თვლის, რომ იძულებით აუქციონზე მისი უძრავი ქონება გაიყიდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რადგან მ. მ-ეს არ ჰქონდა ინფორმაცია სააღსრულებო წარმოების დაწყების, ქონების დაყადაღების და აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანის შესახებ, შესაბამისად, მას არ მიეცა საშუალება ვალდებულების ნებაყოფლობითი შესრულების გზით თავიდან აეცილებინა ქონების იძულებითი რეალიზაცია. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14.6, 25.6 და 25.7 მუხლებზე მითითებით მ. მ-ემ

აღნიშნა, რომ აღმასრულებელმა არ მოითხოვა საფოსტო სამსახურისგან სათანადო წესით გზავნილის ჩაბარება, მიიღო არასათანადოდ შევსებული უკუგზავნილი და დაუსაბუთებლად გამოიყენა ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ წინადადების საჯარო გამოქვეყნება. აღმასრულებელს აგრეთვე არ შეუდგენია იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აღწერა-დაყადაღების აქტი, რითაც დაარღვია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის მოთხოვნები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.07.2013წ. განჩინებით ასკ-ის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება გ. ა-ე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.02.2014წ. გადაწყვეტილებით მ. მ-ეის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მ. ზ-ეის მიერ 30.08.2012წ. შედგენილი გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ წინადადება, მ. მ-ეის იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ 31.12.2012წ. გამართული იძულებითი აუქციონის შედეგები და აღსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.2013წ. განკარგულება. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 04.04.2012წ. მ. მ-ესა და გ. ა-ეს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება 40 000 აშშ დოლარზე, სამი თვის ვადით, თვეში 4%-ის დარიცხვით, სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მ. მ-ეის კუთვნილი, ქ. ბათუმში, ...ის ქ. №.../...ის ქ. №...-ში მდებარე 55,61 კვ.მ. ფართის ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მ. მ-ეის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 27.08.2007წ. იპოთეკარმა გ. ა-ემ განცხადებით მიმართა ნოტარიუს ლ. ჭ-ას სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით. 27.08.2012წ. ნოტარიუსის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, მ. მ-ეს გადასახდელი ვალდებულება შეადგენდა სულ 52 754 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს. 27.08.2012წ. სააღსრულებო ფურცელი აღსრულების მიზნით 30.08.2012წ. წარედგინა კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ეს, რომელმაც იმავე დღეს შეადგინა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ და შპს „...“-ს მემკვიდრეობით ორჯერ გაუგზავნა მ. მ-ეს, რომელსაც გზავნილი არ ჩაბარდა, ჩაუბარებლობის მიზეზად მიეთითა, რომ ფართი გაქირავებული იყო და მ. მ-ე იქ აღარ ცხოვრობდა. 20.09.2012წ. მ. ზ-ემ ადგილზე მისვლით მოახდინა მ. მ-ეის იპოთეკით დატვირთული ქონების აღწერა და დაყადაღება, რაზეც შეადგინა შესაბამისი აქტი. მ. ზ-ემ შეადგინა ოქმი, რომელშიც აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ წინადადების მოვალისათვის ჩაბარების მიზნით გამოცხადდა მოვალის მისამართზე, სადაც გაირ-

კვა, რომ მოვალე აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს, ერთი წელია ფართი გაქირავებულია მ. დ-იზე და შენობაში ფუნქციონირებს კაფე-ბარი, მ. დ-ის განცხადებით მ. მ-ე იმყოფებოდა საზღვარგარეთ. მ. ზ-ემ მიიჩნია, რომ მ. მ-ეისათვის გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ წინადადების ჩაბარების სხვა საშუალებები ამონურული იყო და 26.09.2012წ. მიიღო განკარგულება წინადადების საჯარო გამოქვეყნების შესახებ, რომელიც 27.09.2012წ. განთავსდა ალსრულების ეროვნული ბიუროს ვებგვერდზე. მ. ზ-ეის მოთხოვნით შესრულებული 02.12.2012წ. დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის თანახმად, დაყადაღებული ფართის ღირებულებამ შეადგინა 120 000 ლარი. 31.12.2012წ. ალსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარდა იძულებითი (ონლაინ) აუქციონი, რომელზეც გატანილ იქნა მ. მ-ეის კუთვნილი უძრავი ქონება. უძრავი ქონების მესაკუთრე ალსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.2013წ. განკარგულებით გახდა კრედიტორი – გ. ა-ე. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ზ-ეის მიერ ალსრულების დაწყებისა და გადანყვებილების ნებაყოფლობით ალსრულების შესახებ წინადადების საჯარო გამოქვეყნების პერიოდში მოვალე მ. მ-ეს არ ჰქონია შეცვლილი საცხოვრებელი მისამართი და არც მისი ადგილსამყოფელი იყო უცნობი, აღმასრულებლისთვის ცნობილი იყო მოვალის მისამართი, უძრავი ნივთის მდებარეობა: ქ. ბათუმი, ...ის ქ. №.../...ის ქ. №.... საფოსტო უკუგზავნილში მითითებული იყო, რომ მოვალე მისამართზე არ იმყოფება, რაც სასამართლოს მოსაზრებით არ ნიშნავს მისთვის გზავნილის ჩაბარების შეუძლებლობას და სსკ-ის 78-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობას, რადგან, მართალია, მოვალე ფაქტობრივად არ იმყოფებოდა მისამართზე, თუმცა შეცვლილი არ ჰქონია საცხოვრებელი ადგილი, ის პერიოდულად მიდიოდა დამქირავებელთან, ამასთანავე, 2012 წლის 01 სექტემბრიდან ამავე წლის 01 ოქტომბრამდე იყო ქ. ბათუმში, №... საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ვალდებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს მხარეთა უფლებების დაცვა იმ მხრივ, რომ მხარეს დროულად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მიმდინარე საალსრულებო მოქმედებებისა და მათი სამართლებრივი შედეგების შესახებ. მ. ზ-ეის მიერ არ ყოფილა ამონურული სსკ-ის 70-78-ე მუხლებით გათვალისწინებული გზავნილის ჩაბარების შესაძლებლობა, რადგან განხორციელებულ მოქმედებებთან ერთად აღმასრულებელს უნდა გამოეყენებინა სხვა ღონისძიებებიც, კერძოდ, მ. ზ-ეს შეეძლო უფლებამოსილი ორგანოებისგან მოეთხოვა ინფორმაცია მოვალის საცხოვრებელი ადგილის,

ფაქტობრივი ადგილსამყოფლის შეცვლის ან სამუშაო ადგილის შე-
სახეზ, ასევე შეეძლო დაედგინა ნამდვილად იმყოფებოდა თუ არა
მ. მ-ე საზღვარგარეთ ან მოვალის მოძებნა დაევალებინა პოლიცი-
ის შესაბამისი განყოფილების უბნის ინსპექტორისა და ადგილობ-
რივი თვითმმართველობის ორგანოსათვის. ამდენად, სასამართლომ
ჩათვალა, რომ არასწორად იქნა გამოყენებული სსკ-ის 78-ე მუხლი
და მოვალე მ. მ-ის მიმართ სააღსრულებო მოქმედებები ხელახლა
უნდა იქნეს ჩატარებული. აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდე-
ბული იყო სრულყოფილად გამოეკვლია არსებული დოკუმენტაცი-
ის კანონშესაბამისობასთან დაკავშირებული ყველა გარემოება. სა-
ქალაქო სასამართლომ სზაკ-ის მე-60¹ მუხლის გათვალისწინებით
მიიჩნია, რომ არსებობდა აღსრულების ეროვნული ბიუროს
05.01.2013წ. განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი, რად-
გან იგი მიღებულ იქნა კანონის მოთხოვნათა დაუცველად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგიის 14.02.2014წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაა-
საჩივრეს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, გ. ა-ემ და მ. ზ-
ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 11.07.2014წ. განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვ-
ნული ბიუროს, გ. ა-ეის და მ. ზ-ეის საპელაციო საჩივრები არ დაკ-
მაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილე-
ბა. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამარ-
თლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მა-
თი სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ სსკ-ის
78-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე საჯარო შეტყობინება საპ-
როცესო კოდექსით გათვალისწინებული უკიდურესი საშუალებაა,
რომელსაც უფლებამოსილმა პირმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნ-
და მიმართოს, თუ ამოწურულია მხარის ინფორმირების სსკ-ის 73-
ე მუხლით გათვალისწინებული ყველა რესურსი. სააპელაციო პა-
ლატამ აღნიშნა, რომ გზავნილები მ. მ-ეს გაეგზავნა მისამართზე:
ქ. ბათუმი, ...ის ქ. №..., თუმცა მ. მ-ის კუთვნილი უძრავი ქონების
სრული მისამართია: ქ. ბათუმი, ...ის ქ. №.../...ის ქ. №..., ამასთან ფოს-
ტის მუშაკის ჩანაწერებით პირველ შემთხვევაში გზავნილის მიმ-
ღებად მითითებულია მ. დ-ი, როგორც „ამხანაგი“ და „საიმედო პი-
რი“, ხოლო იმავე თარიღის გზავნილის ეგზემპლარზე მითითებუ-
ლია, რომ ფართი იყო გაქირავებული და მ. მ-ე აღნიშნულ მისამარ-
თზე არ იმყოფებოდა. აღნიშნულ მისამართზე ადრესატის არყოფ-
ნის შესახებ მითითებულია აგრეთვე მეორე გზავნილზე. პალატამ
მიიჩნია, რომ ხსენებული საფოსტო დოკუმენტები არ იძლეოდა მ.
მ-ეის ადგილსამყოფლის შესახებ უტყუარ ინფორმაციას მათი ბუნ-

დოვანების და ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის გამო. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს სსკ-ის 73-74-ე მუხლების მოთხოვნებს, შესაბამისად კერძო აღმასრულებელს არ უნდა მიეჩნია საჯარო შეტყობინების გამოყენების წინაპირობები შესრულებულად და არ იყო ამონურული მხარის ინფორმირების ყველა რესურსი. ამასთანავე, სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას აღსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.2013⁶. განკარგულების კანონშესაბამობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბიუროს გააჩნდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-14⁷ მუხლის მე-8 პუნქტის დანაწესის გამოყენების ვალდებულება, რის გამოც სახეზეა სზაკ-ის მე-60¹ მუხლის საფუძველზე მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2014⁶. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, გ. ა-ემ და მ. ზ-ემ.

საკასაციო სასამართლოს 29.10.2015⁶. განჩინებით გ. ა-ეის, მ. ზ-ეის და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2014⁶. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ უფლებამოსილმა პირმა ისე გამოიყენა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უკიდურესი საშუალება – საჯარო შეტყობინება (სსკ-ის 78-ე მუხ.), რომ არ იყო ამონურული მხარის ინფორმირების სსკ-ის 73.1 მუხლით გათვალისწინებული ყველა რესურსი. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 73-ე მუხლში (მე-7 და 7¹ ნაწილებში) ასახული ქმედებები, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთვის ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურებისთვის (უბნის ინსპექტორებისთვის), გზავნილის ჩაბარების უზრუნველყოფის დავალება წარმოადგენს აღმასრულებლის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. მართალია, სააღსრულებო წარმოების სამართლებრივი შედეგი ხშირად არის უძრავი ქონების მოვალის საკუთრებიდან იძულებითი გამოსვლა და რეალიზაცია, რაც მოვალის ინტერესების დაცვის კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სააღსრულებო ქმედებების მართლზომიერად და გულისხმიერად განხორციელებას, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს აღმასრულებლისათვის ისეთი მოქმედების შესრულების დავალების საფუძველს, რომელიც აღემატება კანონმდებლობით განსაზ-

ღვრულ მის მოვალეობებს. განსახილველ შემთხვევაში აღმასრულებელმა შეასრულა მასზე კანონმდებლობით დაკისრებული მოთხოვნები, კერძოდ, ფოსტის მეშვეობით გზავნილის პირველ შემთხვევაში ჩაუბარებლობის შემდგომ, მეორედ გააგზავნა კორესპონდენცია სააღსრულებო ფურცელში მითითებულ მისამართზე, თუმცა უშედეგოდ, რის შემდეგაც დამატებით კერძო აღმასრულებელი თავად გავიდა მისამართზე. მხოლოდ აღნიშნული ქმედებების შემდეგ იქნა მიღებული განკარგულება წინადადების საჯაროდ გამოქვეყნების შესახებ. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მხოლოდ მითითებული ქმედებების (შსს ორგანოებისათვის ან თვითმმართველობის ორგანოებისათვის მიმართვა) უშედეგოების, მ.მ-ეისათვის კორესპონდენციის ჩაუბარებლობის შემთხვევაში კერძო აღმასრულებელი იქნებოდა უფლებამოსილი გამოეყენებინა სსკ-ის 78-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო გამოქვეყნება, არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას მ.მ-ეის საცხოვრებელი ადგილი იყო ქ. ბათუმი, ...ის ქ. №..., თუმცა მეორე მხრივ დაზარალებულად ცნობის შესახებ საქმეში დაცული 28.01.2013წ. დადგენილებით, ფართის დამქირავებელ მ.დ-ის და თავად მ.მ-ეის ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ 2012 წელს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მ.მ-ე იმყოფებოდა საზღვარგარეთ, ქ. ...ში. იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 76-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში პირი ვალდებულია განაცხადოს ამის შესახებ, სააპელაციო პალატას უნდა გაერკვია მ.მ-ეის მისამართზე დროებით არყოფნის პერიოდი და აღნიშნულის კავშირი აღსრულების პროცესთან. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, შეაფასოს შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.02.2016წ. გადაწყვეტილებით გ.ა-ეის, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და კერძო აღმასრულებლის – მ.ზ-ეის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 14.02.2014წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ.მ-ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მის საცხოვრებელ ადგილად უთითებდა ქ. ბათუმში, ...ის ქ. №...-ში მდებარე ფართს. ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილის შემთხვევაში, მ.მ-ეს უნდა მიეთითებინა იგი. მ.მ-ეის სხვა მისამართი აღ-

მასრულებლისთვის უცნობი იყო, ხოლო ოფიციალურ დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართზე გზავნილი ვერ ჩაბარდა მ. მ-ეის აღნიშნულ მისამართზე არყოფნის გამო. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების თანახმად, დადგენილ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იპოთეკარის მოთხოვნით ნოტარიუსი გასცემდა სააღსრულებო ფურცელს. ამდენად, მ. მ-ეს უნდა ჰქონოდა სააღსრულებო წარმოების მოლოდინი. აღნიშნულის მიუხედავად, მ. მ-ეს კრედიტორისათვის არ უცნობებია მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. საქმის მასალებით ასევე დადგენილად იქნა ცნობილი, რომ გზავნილების ორჯერ გაგზავნის შემდეგ კერძო აღმასრულებელი მ. ზ-ე 20.09.2012წ. გამოცხადდა მოვალის მისამართზე: ...ის/...ის ქ. №.../..., შეადგინა აღწერა-დაყადაღების აქტი და სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ ოქმი, რომლებშიც მიეთითა, რომ ფართში განთავსებულია კაფე-ბარი, მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფებოდა, ფართი გაქირავებულია მ. დ-იზე, რომლის განმარტებით მ. მ-ეს საქართველოში საცხოვრებელი ადგილი არ აქვს, იგი იმყოფება საზღვარგარეთ და ქირის მისაღებად თავად უკავშირდება დამქირავებელს. აღნიშნულის შემდგომ 26.09.2012წ. მ. ზ-ემ მიიღო განკარგულება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე წინადადების საჯაროდ გამოქვეყნების შესახებ. წინადადება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 27.09.2012წ.. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 73-ე მუხლით სასამართლოს (მოცემულ შემთხვევაში – აღმასრულებელს) შეუძლია უფლებამოსილი ორგანოდან გამოითხოვოს ინფორმაცია მოვალის საცხოვრებელი ადგილის, ფაქტობრივი ადგილსამყოფლის ან სამუშაო ადგილის შესახებ, მუხლი აღჭურავს აღმასრულებელს უფლებით, თუმცა არ აკისრებს მას ვალდებულებას. მონესრიგების დისპოზიციური ხასიათი გამორიცხავს სააღსრულებო ქმედების გაუქმების შესაძლებლობას, რადგან თუ აღმასრულებლის მიერ შესრულებულია კანონით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნები, მინიჭებული დამატებითი უფლებამოსილებების გამოუყენებლობა არ ქმნის სააღსრულებო ქმედებების გაუქმების წინაპირობებს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აუქციონის გამართვამდე თითქმის ორი თვით ადრე კერძო აღმასრულებელი მ. ზ-ე ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა მოვალე მ. მ-ეის წარმომადგენელს ა. ბ-ას და მიანოდა მას ინფორმაცია იძულებითი აღსრულების მიმდინარეობის და თანმდევი სამართლებრივი შედეგების შესახებ. სატელეფონო საუბრის დროისათვის 08.10.2012წ. მინდობილობის თანახმად ა. ბ-ა უკვე იყო მ. მ-ეის წარმომადგენელი. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კერძო აღმასრულებ-

ლის მხრიდან სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებისას დაცული იქნა მოვალისათვის აღსრულების დაწყების შესახებ ინფორმაციისა და გადანაცვტილების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე წინადადების ჩაბარებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, შესაბამისად, კერძო აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო მასალების აღსრულების ეროვნულ ბიუროში აუქციონის ჩატარების მიზნით წარდგენისას არ არსებობდა ხარვეზის დადგენის თაობაზე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული გადანაცვტილების მიღების საფუძველი, რაც საბოლოოდ, სააღსრულებო ბიუროს მიერ ჩატარებული აუქციონის კანონიერებაზე მიუთითებს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.02.2016წ. გადანაცვტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა მ. მ-ეის მიერ.

კასატორმა აღნიშნა, რომ კონსტიტუციით საკუთრების უფლება დაცულია. იძულებითი აღსრულების შედეგად შესაძლებელია საფრთხის ქვეშ დადგეს მოვალის ქონებრივი უფლებები და საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე, შესაბამისად, აღსრულების დაწყების შესახებ მოვალის ინფორმირება სავალდებულოა. კასატორი მუშაობდა საარჩევნო კომისიის მდივნად და საცხოვრებელი ადგილი არ შეუცვლია. აღმასრულებელი ვალდებული იყო აღსრულების დაწყების შესახებ ეცნობებინა მოვალისათვის და ემოქმედა სსკ-ის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილის მოთხოვნებით. სააპელაციო სასამართლომ არამართებულად გაიზიარა გარემოება იმის შესახებ, რომ აღსრულების შესახებ ინფორმირებული იყო მ. მ-ეის წარმომადგენელი ა. ბ-ა, ვინაიდან აღსრულების თაობაზე მათთვის ცნობილი გახდა აუქციონის დასრულების შემდგომ, მ. მ-ეის ბინიდან გამოსახლებისას. ამასთანავე, კასატორმა მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება იმ საფუძველით, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში იხილება სამოქალაქო საქმე სააღსრულებო ფურცლის, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.08.2016წ. განჩინებით მ. მ-ეის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შეჩერდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.02.2016წ. გადანაცვტილების გაუქმების თაობაზე მ. მ-ეის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება მ. მ-ეის სარჩელისა გამო მოპასუხეების: გ.ა-ეის, ნოტარიუს ლ. ჭ-ას, მ. კ-ას, ნ. ბ-ეის და თ. ფ-ას მიმართ 04.04.2012წ. №120354610 სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, 27.08.2012წ. №120900118 სააღსრულებო ფურცლის, №120335096 მინდობილობის ბათილად ცნობის და სეს-

ხის მოცულობის დადგენის მოთხოვნით მიმდინარე სამოქალაქო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

27.05.2021წ. საკასაციო პალატაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ წარმოდგენილი იქნა 20.11.2020წ. №ას-279-2019წ. განჩინება (კასატორები: გ. ა-ე, ნოტარიუსი ლ. ჭ-ა, მოწინააღმდეგე მხარე – მ. მ-ე), რომლის თანახმად, გ. ა-ეისა და ლ. ჭ-ას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.12.2018წ. გადაწყვეტილება ნოტარიუსის მიერ 27.08.2012წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის თაობაზე.

07.06.2021წ. კასატორმა მ. მ-ემ უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.02.2016წ. გადაწყვეტილების გაუქმებით ახალი გადაწყვეტილების მიღება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.2013წ. განკარგულების გაუქმებისა და ქ. ბათუმში, პ. ...ის ქ. №...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ...) მ. მ-ეის საკუთრების უფლების დაბრუნების შესახებ. კასატორმა მიუთითა, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.11.2020წ. განჩინებით უცვლელი დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნოტარიუსის ლ. ჭ-ას 27.08.2012წ. სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის თაობაზე. სამოქალაქო საქმეზე აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება გამოორიცხავს სააღსრულებო წარმოებასა და მის შედეგს, ვინაიდან იგი ნაწარმოებია ბათილად ცნობილი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, შესაბამისად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.2013წ. განკარგულება არის უკანონო და უნდა გაუქმდეს. კასატორმა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.11.2020წ. განჩინებაზე მითითებით საქმის წარმოების განახლება მოითხოვა, რადგან აღარ არსებობს საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.06.2021წ. განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.02.2016წ. გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე მ. მ-ეის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება, საქმის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაი-

სის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.02.2016წ. გადაწყვეტილება, მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ მ. მ-ეის მიერ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 27.08.2012წ. იპოთეკარმა გ. ა-ემ განცხადებით მიმართა ნოტარიუს ლ. ჭ-ას სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით. 27.08.2012წ. ნოტარიუსის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად მ. მ-ეის გადასახდელი ვალდებულება შეადგენდა სულ 52 754 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს, დადგინდა იპოთეკის საგნის – უძრავი ქონების რეალიზაცია. 27.08.2012წ. სააღსრულებო ფურცელი აღსრულების მიზნით 30.08.2012წ. წარედგინა კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ეს, რომელმაც იმავე დღეს შეადგინა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ და შპს „...“-ს მშვეობით ორჯერ 05.09.2012წ. და 10.09.2012წ. გაუგზავნა მ. მ-ეს, რომელსაც გზავნილები არ ჩაბარდა. მ. ზ-ემ მიიჩნია, რომ მ. მ-ეისათვის გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ წინადადების ჩაბარების სხვა საშუალებები ამონურული იყო და 26.09.2012წ. მიიღო განკარგულება წინადადების საჯარო გამოქვეყნების შესახებ, რომელიც 27.09.2012წ. განთავსდა აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე. მოვალე მ. მ-ეის მიმართ მიმდინარე სააღსრულებო წარმოების ფარგლებში იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის მიზნით აუქციონი გაიმართა 31.12.2012წ., სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.2013წ. განკარგულებით აუქციონზე უძრავი ნივთის შემძენი გახდა კრედიტორი გ. ა-ე. საკასაციო პალატა მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 20.3 მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმად სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის (დედნის) გარეშე. სკ-ის 302.3¹ მუხლის მიხედვით, კრედიტორისა და მესაკუთრის წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორისთვის გადაცემა და რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული გარიგება დადასტურებული უნდა იქნეს სანოტარო წესით. „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 38.5 მუხლის თანახმად ნოტარიუსი გაცემს სააღსრულებო ფურცელს ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების ვადადამდგარი მოთხოვნის, ქონებაზე უფლების გადაცემის, აგრეთვე დაგირავებულ/იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევის

მოთხოვნის საფუძველზე. 27.05.2021წ. საკასაციო პალატაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ წარმოდგენილ იქნა 20.11.2020წ. №ას-279-2019წ. განჩინება (კასატორები: გ. ა-ე, ნოტარიუსი ლ. ჭ-ა, მოწინააღმდეგე მხარე მ. მ-ე), რომლის თანახმად, გ. ა-ეისა და ლ. ჭ-ას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.12.2018წ. გადაწყვეტილება ნოტარიუსის მიერ 27.08.2012წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის თაობაზე. აღნიშნულ სამოქალაქო საქმეზე დადგენილია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან არ იკვეთება მხარეთა ნების გამოვლენა და შეთანხმება სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე, ხოლო ნოტარიუსმა მხარეებს სანოტარო აქტში წერილობით განუმარტა სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულების ტექსტი არ აკმაყოფილებდა სპეციალური კანონის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილს, რადგან დასახელებული ნორმით განსაზღვრულ კუმულატიურ პირობებზე მხარეთა შეთანხმება არ ვლინდებოდა. სამოქალაქო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის გაფორმებულ სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებაში მკაფიოდ აქვთ შეთანხმებული სესხის ოდენობა, ვალუტის სახე (ლარის კურსთან მიმართება), სესხის ვადამდე დაბრუნების საკითხი, საამისოდ გადასახდელი პროცენტის ოდენობა, პროცენტის გადახდის ათვლის სანყისი, გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში გადასახდელი პირგასამტეხლოს სახეები. სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, ვადის გადაცილებით მიყენებული შესაძლო ზიანის, პირგასამტეხლოს, სასამართლოს და რეალიზაციის ხარჯების ასანაზღაურებლად მხარეები შეთანხმდნენ მსესხებლის უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვაზე, ამ ვალდებულების რეგისტრაციაზე კანონით დადგენილი წესით, აქვე მითითებულია, რომ მესაკუთრე აგრძელებს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებით სარგებლობას მისი რეალური ღირებულების შენარჩუნებით, ქონების ზიანისა და განადგურების არიდებით და ა.შ., თუმცა არსად არის ასახული მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციის მიზნით კრედიტორი იტოვებს უფლებას, მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე და მხარეებს განემარტათ შესაძლო სამართლებრივი შედეგები. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის მიზნით ნოტარიუსთან წარდგენილი გარიგება (სანოტარო აქტი) არ შეიცავს ასეთ წერილობით შეთანხმებას. ნოტარიუსი არ იყო უფლებამოსილი სააღსრულებო ფურცელი გაცემა მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ სანოტარო აქ-

ტი, როგორც დამოუკიდებელი აქტი, და არა კრედიტორსა და მოვალეს შორის ხელმოწერილი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, შეიცავს ჩანაწერს კრედიტორის მიერ ნოტარიუსისათვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით მიმართვის შესახებ, შესაბამისად დარღვეულია „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა, რაც სააღსრულებო ფურცლის კანონის დარღვევით გაცემაზე მიუთითებს (სკ-ის 54-ე მუხლი). სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმების საფუძველად მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 10.3 მუხლზე, რომლის მიხედვით მოქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონების იმპერატიულ ნორმებს, ბათილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს სხვაგვარ შედეგებზე. ცალკეული ჩარევები ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით აკრძალულია, თუ ეს აქტები კონკრეტული კანონის საფუძველზე არ არის გამოყენებული. სამოქალაქო სამართალში ნორმები დისპოზიციურ და იმპერატიულ ნორმებად იყოფა. დისპოზიციური სამართლის ნორმების თავისებურება მდომარეობს იმაში, რომ ისინი მოქმედებენ მაშინ, როდესაც მხარეთა მიერ საკითხი არასრულად ან საერთოდ არ არის მოწესრიგებული. დისპოზიციური ნორმების გარდა სამოქალაქო სამართალი მოიცავს ასევე იმპერატიულ ნორმებსაც, რომელთა შეცვლა მხარეებს არ შეუძლიათ. სწორედ, სკ-ის 10.3 მუხლი განსაზღვრავს იმპერატიული ნორმების მიზანს, რომელიც მდგომარეობს იმ კერძო უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაში. იმპერატიული ნორმების დაწესებით მოქმედებები, რომლებიც ამ ნორმებს ეწინააღმდეგება, ბათილია. ბათილობა არის იმპერატიული ნორმების შეუსრულებლობის შედეგი. მოქმედი კანონმდებლობით სანოტარო წესით დამოწმებულ იპოთეკის ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ იპოთეკის საგნის რეალიზაცია ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში დგინდება, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი 27.08.2012წ. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი. საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა, სსკ-ის მე-10 მუხლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სანაწმოსათვის, დაწე-

სებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მართლწინააღმდეგობა, კერძოდ, კანონით დადგენილ იმპერატიულ მოთხოვნასთან (მხარეთა შეთანხმება) ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, შესაბამისად, დგინდება 27.08.2021წ. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის კანონის იმპერატიულ დანაწესებთან შეუსაბამობა, რის გამოც სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი სააღსრულებო ფურცელი.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება სანოტარო აქტები. სანოტარო აქტში იგულისხმება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, რომელიც არის კრედიტორის კუთვნილი თანხის მოვალისაგან იძულებითი გადახდევინების შესახებ ნოტარიუსის აქტი და გაციემა კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი სააღსრულებო დოკუმენტია, რომელიც იძულებით აღსრულებას ექვემდებარება. აღსრულება დაიშვება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის დედნის საფუძველზე. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით დადგენილი წესით („ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-40 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები). მოვალეს შეუძლია სასარჩელო წესით სადავო გახადოს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, რომლის გაუქმების შემთხვევაში სააღსრულებო ფურცელს აღსასრულებელი აქტის მნიშვნელობა ეკარგება. სადავო განკარგულების გამოცემის დროისათვის მოქმედი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14⁷ მუხლის პირველი პუნქტის რედაქციის თანახმად, კერძო აღმასრულებელი ახორციელებდა აღნიშნული კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სანოტარო აქტების აღსრულებას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25.1 მუხლის დათქმიდან გამომდინარე აღსრულების დასაწყებად სავალდებულოა კრედიტორის მიერ აღმასრულებლისათვის სააღსრულებო ფურცლით

მიმართვა. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველი – ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი ბათილად იქნა ცნობილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სააღსრულებო ფურცელი არ ინვესტს სამართლებრივ შედეგს და სააღსრულებო წარმოების შედეგად გაცემული განკარგულების არამართზომიერებაზე მიუთითებს. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს კერძო აღმასრულებლის მიერ სანოტარო აქტების აღსრულების შესაძლებლობას. აღმასრულებელი იძულებითი აღსრულების მიზნით მოქმედებების შესრულებას იწყებს არა სანოტარო აქტის, არამედ ამ აქტის საფუძველზე და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცემული სააღსრულებო დოკუმენტის გადმოცემის შემდეგ. სააღსრულებო ფურცელი არის აღსრულების კანონიერად მიჩნევის უმთავრესი პირობა. იძულებით აღსრულებას ქვემდებარე აქტი და მის საფუძველზე გაცემული კანონშესაბამისი სააღსრულებო ფურცელი აღმასრულებელს ანიჭებს სააღსრულებო ფურცელში ასახული მისაღწევი შედეგის თანაზომიერი სააღსრულებო ქმედებების განხორციელების უფლებამოსილებას. ზოგადი წესის მიხედვით, სააღსრულებო მოქმედებების წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო დოკუმენტის გარეშე, ეს უკანასკნელი მოვალის მიმართ იძულების ღონისძიების გამოყენების საფუძველია. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 21.31 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დამატებით აღნიშნული უნდა იყოს აღსასრულებელი ვალდებულების სახე და მოცულობა, რითაც განისაზღვრება კრედიტორის სასარგებლოდ თანხის მოვალისათვის დაკისრების მოთხოვნა. მოცემულ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცელი არის გარკვეული მოქმედების შესრულების შესახებ იმპერატიული მითითების შემცველი სააღსრულებო დოკუმენტი, რომელიც გაიცემა კანონით გათვალისწინებული წესით. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებითი აღსრულების ორგანოები ახორციელებენ იძულებით აღსრულებას მოვალის მიერ ამ დოკუმენტის ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამდენად, სააღსრულებო ფურცელი არის იძულებითი აღსრულების საფუძველი. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და იმპერატიულობას არა მხოლოდ კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, სსკ-ის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამარ-

თლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავოდ გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი (სუსგ 28.04.2020წ. საქმე №ას-1574-2019). განსახილველ შემთხვევაში საქმეში დაცული კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლოს აქტით დადგენილია ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის უკანონობა, რომელიც საფუძვლად დაედო კერძო აღმასრულებლის მ. ზ-ეის მიერ სააღსრულებო წარმოების დაწყებას, სააღსრულებო მოქმედებების ჩატარებასა და საბოლოოდ, შედეგის სახით აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სადავო განკარგულების გამოცემას, შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი. სააღსრულებო წარმოების საფუძვლის უკანონობა გამორიცხავს ასეთი სააღსრულებო წარმოების შედეგად მიღებული განკარგულების კანონიერებას. აღნიშნულს არ ცვლის კერძო აღმასრულებლის მიერ 30.08.2012წ. შედგენილი გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადების და ზოგადად, მის მიერ ჩატარებული სააღსრულებო წარმოების მოთხოვნების დაცულობა. დადგენილია, რომ მხარეთა შორის შეთანხმების არარსებობის გამო ნოტარიუსს იმთავითვე არ გააჩნდა სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისად, სააღსრულებო წარმოება დაიწყო უკანონო სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 75.3 მუხლის თანახმად აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ქონების ფასის სრულად გადახდის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ. სააღსრულებო წარმოების დამაგვირგვინებელი ეტაპი სწორედ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაა, შემძენის მიერ უძრავი ქონების შეძენის ღირებულების გადახდის შემდეგ გაიცემა განკარგულება საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის სასამართლოს მიერ ბათილად ცნობით, სააღსრულებო აქტმა დაკარგა აღსასრულებელი აქტის მნიშვნელობა. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უკანონო სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე წარმოებული სააღსრულებო წარმოების შედეგად მიღებული განკარგულება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

კასატორი დაზუსტებულ საკასაციო საჩივარში, გარდა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის უკანონობაზე მითითებისა, კვლავ უთითებს თავდაპირველ საკასაციო საჩივარში აღნიშნულ პრეტენზიაზე. მიუხედავად იმისა, რომ კერძო აღმასრულებლის მიერ ჩატარებული სააღსრულებო მოქმედებები და-

ზუსტებული საკასაციო საჩივრიდან გამომდინარე განსახილველი დავის საგანს არ შეადგენს, კასატორი მიუთითებს, რომ სააღსრულებო წარმოების თაობაზე არ იყო ცნობილი მ. მ-ეის წარმომადგენლის ა. ბ-ასათვის, ამის შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ ბინიდან გამოსახლებისას. ამ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით პრეტენზიის კვლავ არსებობის გამო საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში დაცული სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ 21.10.2012წ. ოქმით დასტურდება, რომ კერძო აღმასრულებელი მ. ზ-ე აუქციონის გამართვამდე ორი თვით ადრე – 21.10.2012წ. 13:27 სთ-ზე ესაუბრა მოვალე მ. მ-ეის წარმომადგენელს ა. ბ-ას, რომელსაც განემარტა, რომ მოვალე მ. მ-ეის მიმართ, მიმდინარე სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, მოსალოდნელი იყო იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია, მოვალის მიერ ვალდებულების დაუყოვნებლივ შეუსრულებლობის ან მხარეთა შორის მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში. მ. მ-ემ 08.10.2012წ. გასცა №121086947 მინდობილობა 1 წლის ვადით, რომლითაც ა. ბ-ას მიენიჭა უფლებამოსილება წარმოედგინა მ. მ-ე სააღსრულებო ბიუროში ან კერძო აღმასრულებელთან მიმდინარე სააღსრულებო წარმოებისას, შესაბამისად, სატელეფონო საუბრის დროისათვის – 21.10.2012წ. ა. ბ-ა, 08.10.2012წ. მინდობილობის თანახმად, უკვე იყო მ. მ-ეის წარმომადგენელი. სსკ-ის 70-ე მუხლის მიხედვით შეტყობინება ბარდება მხარეს ან მის წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს მარწმუნებელს. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს. ამასთანავე, შეტყობინება მხარეს ან მის წარმომადგენელს შესაძლებელია ჩაბარდეს არამარტო ფოსტის, არამედ ტექნიკური საშუალების (ტელეფონის, ფაქსის) გამოყენებით, რის შესახებაც უნდა შედგეს სათანადო აქტი, რომელიც ადასტურებს პირისათვის შეტყობინების ჩაბარებას (სსკ-ის 73-ე მუხ.). ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ აუქციონის გამართვამდე თითქმის ორი თვით ადრე კერძო აღმასრულებელი მ. ზ-ე ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა მოვალე მ. მ-ეის წარმომადგენელს ა. ბ-ას და მიაწოდა მას ინფორმაცია იძულებითი აღსრულების მიმდინარეობის და თანმდევი სამართლებრივი შედეგების შესახებ.

დაზუსტებული საკასაციო საჩივრით კასატორმა დააზუსტა მოთხოვნა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 11.02.2016წ. გადაწყვეტილების გაუქმებით მოითხოვა აღსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.2013წ. განკარგულების გაუქმება და უძრავ ქონებაზე მ. მ-ეის საკუთრების უფლების დაბრუნების თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მიღება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ

სადავო განკარგულების ბათილად ცნობა თავისთავად მოიცავს ჩატარებული სააღსრულებო წარმოების უსაფუძვლობას, ამასთან, სასარჩელო მოთხოვნის აღნიშნული სახით დაზუსტება არ გულისხმობს დავის საგნის შეცვლას ან გადიდებას, რაც საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაუშვებელია (სსკ-ის 406-ე მუხ.). საქმეში დაცული ამონაწერით საჯარო რეესტრიდან ქ. ბათუმში, ...ის ქ. №.../... ...ის ქ. №...-ში მდებარე 55,61 კვ.მ. ფართზე რეგისტრირებულია გ. ა-ეის საკუთრების უფლება. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.2013წ. განკარგულება. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი დავის საგანს არ შეადგენს მარეგისტრირებული ორგანოს გადანყვეტილება მესამე პირის – გ. ა-ეის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, ასევე მოსარჩელეს მოპასუხედ არ დაუსახელებია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. დავის საგანია ამ უფლების რეგისტრაციის საფუძველი – აღსრულების ეროვნული ბიუროს განკარგულება. განსახილველი დავის საგანი არ უკავშირდება უძრავ ნივთზე მესამე პირის საკუთრების უფლების წარმოშობის მართლზომიერებას, სარჩელის საფუძველს იმთავითვე სააღსრულებო მოქმედებების უკანონოდ აღიარება წარმოადგენდა, შესაბამისად, მოცემული დავის ფარგლებში საკასაციო პალატა ვერ იქონიებს მსჯელობას რეგისტრაციის გაუქმებაზე. ამ საკითხის გადანყვეტა (საკუთრების უფლების რეგისტრაცია) მარეგისტრირებული ორგანოს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება, გ. ა-ეის სახელზე რეგისტრაციის კანონიერების საკითხი სცილდება მოცემული დავის საგნის ფარგლებს. საკუთრების უფლების რეგისტრაცია (აღდგენა) გულისხმობს მარეგისტრირებული ორგანოს მიერ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, რაც სარეგისტრაციო ორგანოსადმი პირის მიმართვას, სარეგისტრაციო წარმოების შედეგად აქტის გამოცემას საჭიროებს, ამასთან, ასეთი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შესაძლებელია შეადგენდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.12.2019წ. №487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ 23-ე მუხლით დადგენილი წესი, რომლითაც გათვალისწინებულია დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე სარეგისტრაციო დოკუმენტის გაუქმების შემთხვევაში რეგისტრაციის შესახებ გადანყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების წესი, აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს ასევე რეგისტრაციის შესახებ გადანყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, გაუქმებულ რეგისტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის შე-

საძლებლობას. მსგავს დანაწესს ითვალისწინებდა მანამდე მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.01.2010წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-17 მუხლი. ამდენად, მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგება სარეგისტრაციო დოკუმენტის გაუქმების შემთხვევაში რეგისტრაციის გაუქმებას და გაუქმებულ რეგისტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენას უკავშირებს დაინტერესებული პირის მოთხოვნას. საქმეში დაცული მასალებით მოსარჩელეს საკუთრების უფლების აღდგენის (რეგისტრაციის) მოთხოვნით მარეგისტრირებელი ორგანოსათვის არ მიუმართავს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოთხოვნა ამ ეტაპზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაბრუნების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან მოცემული დავის ფარგლებში საკასაციო პალატა ვერ შეაფასებს აღნიშნულ საკითხს, რაც ცალკე დავის საგანს წარმოადგენს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი). სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადანყვეტილება და სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მ. მ-ეის დაზუსტებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

ციულ საქმეთა პალატის 11.02.2016წ. გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 15.01.2013წ. №12048915-013/001 განკარგულება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

5. სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მ. მ-ის (პირადი №...) სასარგებლოდ დაექისროს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის, საქალაქო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 (ოთხასორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამოყენებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-516(3კ-2უს-20)

14 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 1 ივნისს ი. გ-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ.

მოსარჩელემ 2015 წლის 09 ივნისის №15044110/100454 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 27 მარტის №1423 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2018 წლის 06 ივნისის განჩინებით სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ ნ. ლ-ე და შპს „...ა“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ი. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. გ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ი. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 27 მარტის №1423 ბრძანება 2015 წლის 09 ივნისის №15044110/100454 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 91⁴, 91⁵, 91⁷ მუხლებზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ი. გ-ემ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებით მიმართა, მოპასუხე – სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა, გამარტივებული წარმოების გზით, ნ. ლ-ისა და შპს „...ას“ დავალიანების – 50 000 ლარის გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემა. ი. გ-ის მიერ სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენილ იქნა ვალის აღიარების შესახებ 2013 წლის 16 აპრილისა და 2014 წლის 12 მაისის ხელწერილები. აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 18 მაისის №15044110/96857 შეტყობინებით გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ შპს „...ასა“ და ნ. ლ-ეს ეცნობათ, რომ 2015 წლის 23 აპრილს აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ი. გ-ის განცხადების საფუძველზე, დაიწყო გამარტივებული წარმოება, ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით. აღნიშნული შეტყობინება ნ. ლ-ემ ჩაიბარა 2015 წლის 20 მაისს პირადად. შეტყობინების ჩაბარებიდან, შეტყობინებით განსაზღვრულ ვადაში, სააღსრულებო ბიუროსათვის ნ. ლ-ეს არ წარუდგენია რაიმე მოსაზრება დავალიანების თაობაზე. შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიურო აპლიკანტის მოთხოვნის უფლების შემოწმებისას დაეყრდნო დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებასა და თანდართულ წერილობით მტკიცებულებებში (ვალის აღიარების შესახებ 2013 წლის 16 აპრილისა და 2014 წლის 12 მაისის ხელწერილებში, რომელთა მეშვეობითაც აპლიკანტი ასაბუთებდა თავის მოთხოვნას).

ნას) არსებულ მონაცემებს და 2015 წლის 09 ივნისს გამოსცა №15044110/100454 ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ.

სააპელაციო პალატის მითითებით, ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის 2018 წლის 09 თებერვლის მიმართებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის ცნობილი გახდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 05 თებერვლის №1/327-18 განაჩენის შესახებ, რომლითაც ნ. ლ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19-185-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის, ასევე სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. განაჩენის თანახმად, ნ. ლ-ემ 2014-2017 წლებში, წინასწარი შეთანხმებისამებრ, 101 კრედიტორთან გააფორმა ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა თანახმად, მათთვის პირადი ვალის სახით თითქოსდა გადასახდელი ჰქონდა ჯამში 815 850 აშშ დოლარი. აღნიშნული ყალბი დოკუმენტები, ნ. ლ-ის დავალებით კრედიტორების მიერ წარდგენილ იქნა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში მათი შემდგომი აღსრულების მიზნით. ამ დოკუმენტების გამოყენებით, ხსენებული 101 კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ შპს „ო...ის“, არამედ უშუალოდ ნ. ლ-ის სახელზე რიცხული ქონებით, მათ შორის, ...ის ქ. №2/...ი №144-ში მდებარე უძრავი ქონების რეალიზაციით, რომელზეც ქონებრივი მოთხოვნის უფლება გააჩნდათ მხოლოდ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 25 ნოემბრისა და 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ პირთა წრეს, ასევე, ქ. ჟ-ას, ი. და ნ. მ-ეებსა და მ. მ-ას. ზემოაღნიშნულით, ნ. ლ-ემ 101 პირთან, მათ შორის, ი. გ-ესთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, დაამზადა და გამოიყენა ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, მოტყუებით შეეცადა დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი მიეყენებინა 1998 წლის 25 ნოემბრისა და 22 დეკემბრის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ პირთა წრეს ასევე, ქ. ჟ-ას, ი. და ნ. მ-ეებსა და მ. მ-ას. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეს არ ერთვოდა მტკიცებულება იმისა, რომ ი. გ-ის მიმართ, რომელზედაც წარმოდგენილ განაჩენში მითითებული იყო, რომ ნ. ლ-ესთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, დაამზადა და გამოიყენა ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, დანყებული იყო გამოძიება ან არსებობდა კანონიერ

ძალაში შესული განაჩენი, საქმეს ასევე არ ერთვოდა ხელწერილის სიყალბის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მითითება, რომ 2015 წლის 09 ივნისის ბრძანება №15044110/100454 დაეყრდნო ყალბ დოკუმენტებს.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ ვალის აღიარების შესახებ 2013 წლის 16 აპრილით დათარიღებულ ნ. ლ-ის ხელწერილზე, რომლითაც დასტურდებოდა, რომ შპს „....ასა“ და შპს „ო...ის“ აღორძინების მიზნით, როგორც პირადად ასევე შპს „....ას“ 98,38%-იანი წილის მფლობელმა პარტნიორმა, შპს-ს სახელით მოქალაქე ი. გ-ისაგან ისესხა 50 000 აშშ დოლარი, რომელსაც გაისტუმრებდა 2014 წლის ნოემბრისათვის, როდესაც მოხდებოდა შპს „....ას“ ქონების რეალიზაცია, რადგან აღნიშნული ვალი ეკუთვნოდა შპს „....ასა“-ს. საქმეში ასევე წარმოდგენილი იყო შპს „....ას“ დირექტორის ნა. ლ-ის ხელწერილი, რომლითაც ის ადასტურებდა, რომ შპს „....ას“ 98,38% წილის მფლობელმა პარტნიორმა ნ. ლ-ემ შპს „....ას“ აღორძინების მიზნით, შპს-ს სახელით პირადად ისესხა ი. გ-ისაგან 50 000 აშშ დოლარი. ამ თანხის გასტუმრების ვალდებულება ჰქონდა შპს „....ას“ და ნ. ლ-ეს სოლიდარულად 2014 წლის მარტის ბოლომდე.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 05 თებერვლის განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას, არ წარმოადგენდნენ ისეთ ფაქტებს, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებდა, ამასთან, აღნიშნულ განაჩენში, არ იყო მითითებული, რომ შპს „....ას“ გააჩნდა რაიმე ვალდებულება დაზარალებულთა მიმართ. შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, დაუდგენელი იყო, თუ რას დაეყრდნო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, როდესაც ვალის აღიარების შესახებ ხელწერილები შპს „....ას“ ნაწილშიც ყალბად მიიჩნია.

თბილისის სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით ცალ-ცალკე გაასაჩივრეს შპს „....ამ“, ნ. ლ-ემ და ნა. ლ-ემ და სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ. კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორი – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო მიუთითებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ ი. გ-ის მიერ, გამარტივებული წარმოების დაწყებისას, წარდგენილი დოკუ-

მენტაციის საფუძველზე მიჩნეულ იქნა, რომ ადგილი ჰქონდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს – სესხის სახით ფულადი თანხის გაცემას, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 05 თებერვლის №1/327-18 განაჩენზე დაყრდნობით, სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მიიჩნია, რომ გადახდის ბრძანებების გამოცემული იყო რესპონდენტის (ნ. ლ-ის) დანაშაულებრივი ქმედების შედეგად განპირობებული საფუძვლით. ამდენად, სახეზე იყო კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებულ იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. კასატორი აღნიშნავს, რომ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებების – აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემას საფუძვლად დაედო დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება, რამაც განაპირობა მათი ბათილად ცნობა.

კასატორის მითითებით, 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით გაუქმდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს აღარ აქვთ პრეიუდიციული ძალა, როდესაც საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი, თუმცა კასატორის მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰ მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირებით, დანაშაულის მიყენების ფაქტი პრეიუდიციის რანგშია აყვანილი ანუ მიჩნეულია ფაქტად, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, როგორც მინიმუმ, წარმოადგენს წერილობით მტკიცებულებას, რომელშიც პრეზუმირებულია ფაქტები, რომელთა გაქარწყლება მტკიცების მაღალი სტანდარტით ევალუება მოწინააღმდეგე მხარეს. კონკრეტულ შემთხვევაში, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი – სესხის სახით ფულადი თანხის გაცემა გაქარწყლდა განაჩენით. ამდენად, არ არსებობდა სესხის გაცემის, როგორც იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის ნამდვილად მიჩნევის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის ახსნა-განმარტების თანახმად, მის მიერ წამოყენებული მოთხოვნა წარმოშობილი იყო საადვოკატო მომსახურების საფუძველზე, რაც ადასტურებს გამარტივებული სააღსრულებო წარმოების ფარგლებში წარდგენილი „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ განცხადებაში და მასზე თანდართულ ხელწერილში მითითებული ვალის არარსებობას. კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატამ ყურადღებისა და დაც-

ვის მიღმა დატოვა იმ პირთა კანონიერი უფლება და ინტერესი, რომელთა დაცვის უზრუნველყოფასაც ემსახურებოდა განაჩენი.

კასატორები ნ. ლ-ე და ნა. ლ-ე აღნიშნავენ, რომ არ ყოფილან მიწვეული საქმის განხილვაზე, რის გამოც არ მიეცათ შესაძლებლობა დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია. კასატორთა განცხადებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს ყალბი მტკიცებულება. 2020 წლამდე შპს „...ას“ 98,38 წილის მფლობელი იყო ნ. ლ-ე, ხოლო შპს-ს დირექტორი ნა. ლ-ე. აღნიშნულ პერიოდში შპს „...ას“ ფინანსური საქმიანობა არ უნარმოებია. ამდენად, სიმართლეს არ შეესაბამება ის ფაქტი, რომ კომპანიის აღორძინების მიზნით ნ. ლ-ემ ი. გ-ისაგან სესხის სახით მიიღო 50 000 დოლარი, რის დაბრუნებაზეც შპს „...ასთან“ ერთად სოლიდარულად აგებდა პასუხს. კასატორთა განმარტებით, ი. გ-ე იყო ნ. ლ-ის ადვოკატი, რომელსაც რეალურად შპს „...ას“ საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციისა და მეანაბრეთა ვალის გასტუმრების სანაცვლოდ უნდა მიეღო ხელწერილით გათვალისწინებული თანხა. ხელწერილის შედგენა იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ ყადაღა დადებოდა შპს „...ასა“ და ნ. ლ-ის კუთვნილ უძრავ ქონებას და სააღსრულებო ბიუროს არ მოეხდინა კრედიტორთა სასარგებლოდ უძრავი ქონების რეალიზაცია. კასატორთა განცხადებით, ხელწერილზე გადასწორებულია მისი შედგენის თარიღი. ამდენად, მისი ნამდვილობის გადამოწმების გარეშე, მტკიცებისათვის გამოყენება დაუშვებელი იყო. ნ. და ნა. ლ-ეების განცხადებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მათთან ერთად ზიანი ადგებათ შპს „...ას“ 100%-იანი წილის ამჟამინდელ მფლობელებს – კეთილსინდისიერ შემძენებს. კასატორთა მითითებით, ი. გ-ე თალღითური გზით ცდილობს არარსებული ვალის მიღებას. აღნიშნულ ფაქტზე, მის მიმართ მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე.

კასატორი – შპს „...ას“ მითითებით სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ 2020 წლის 03 იანვრის არამატერიალურ ქონებაზე (წილზე) საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე შპს „...ასში“ ნ. ლ-ისა და თ. გ-ის კუთვნილი წილები შეძენილ იქნა შპს „უ...ის“ (ს/კ ...) მიერ, რომელიც სრულად ეყრდნობოდა საჯარო რეესტრის მიმართ მოქმედ სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციას და არ ჰქონია არანაირი ინფორმაცია სასამართლოში მიმდინარე დავის, ი. გ-ის სარჩელის შესახებ. სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა მითითებულ გარემოებებს, ასევე არ გაითვალისწინა, რომ არ დგინდებოდა შპს „...ას“ დავალიანების წარმოშობის ფაქტი. შპს „...ასს“ არანაირი შემხებლობა არ გააჩნდა ზემოაღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობასთან და არ გააჩნდა ვალდებულება ი. გ-ის მიმართ. სააპელაციო სასამართლომ

შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ დოკუმენტები – 2013 წლის პირველი აპრილისა და 2014 წლის პირველი მაისის ვალის აღიარების შესახებ ხელწერილები, რომლებსაც აღსრულების ეროვნული ბიურო დაეყრდნო აპლიკანტის მოთხოვნის უფლების შემოწმებისას, წარმოადგენდა ყალბ დოკუმენტებს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციულმა ორგანომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით მიიღო გადაწყვეტილება დავალიანების გადახდევინების შესახებ 2015 წლის 09 ივნისის ბრძანების, როგორც უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ. აგრეთვე, სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ ი. გ-ის მიმართ დაწყებულია გამოძიება იმ ხელწერილების გაყალბებასთან დაკავშირებით, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში ეყრდნობოდა აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრძანება გადახდევინების შესახებ. ამის საპირისპიროდ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ საქმეს არ ერთვოდა ი. გ-ის მიმართ გაცემული ხელწერილის სიყალბის დამადასტურებელი მტკიცებულება იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული გარემოება დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის, განაჩენით.

სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ დგინდებოდა ი. გ-ის მიმართ შპს „...ას“ დავალიანების არსებობის ფაქტი, ვინაიდან კასატორს ი. გ-ისგან სესხის სახით არ მიუღია თანხა, რაც კიდევ ერთხელ გამორიცხავდა რაიმე ვალდებულების არსებობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სისპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ლ-ისა და ნა. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნ. ლ-ის ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 ივლისის განჩინებით ნ. ლ-ისა და ნა. ლ-ის საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩა ნა. ლ-ის ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 09 სექტემბრის განჩინებით საქართვე-

ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...ას“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, ნ. ლ-ის და შპს „...ას“ საკასაციო საჩივრები და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ნოემბრის განჩინებით ი. გ-ის განცხადება/შუამდგომლობა საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ლ-ის, შპს „...ას“ და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს მოსარჩელის ი. გ-ის ნაწილში სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 27 მარტს №1423 ბრძანების კანონიერების შეფასება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აპლიკანტი ი. გ-ის 2015 წლის 23 აპრილის განცხადების საფუძველზე დაიწყო გამარტივებული წარმოება №15044110, რესპოდენტების შპს „...ასა“ და ნ. ლ-ის მიმართ. გამარტივებული წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენდა 2013 წლის 16 აპრილისა და 2014 წლის 12 მაისის ვალის აღიარების შესახებ ხელწერილები. 2013 წლის 16 აპრილით დათარიღებული ხელწერილის მიხედვით ნ. ლ-ე აღიარებდა, რომ როგორც პირადად, ისე შპს „...ას“ 98,38% წილის მფლობელი პარტნიორის სახელით ი. გ-ისაგან ისესხა 50 000 აშშ დოლარი. ი. გ-ემ 2015 წლის 13 მაისს აგრეთვე წარადგინა ნა. ლ-ის ხელწერილი, რომლის მიხედვით იგი, როგორც შპს „...ას“ დირექტორი აგრეთვე აღიარებდა ზემოხსენებული ვალის არსებობას.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2015 წლის 09 ივნისს გამოიცა დავალიანების გადახდევინების შესახებ

№150044110/100454 ბრძანება, რომლითაც ნ. ლ-ესა და შპს „...ას“ ი. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ 100.00 ლარისა და 50 000.00 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) სოლიდარულად გადახდა.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ 2018 წლის 09 თებერვალს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 05 თებერვლის №1/327-18 განაჩენი. განაჩენით დამტკიცებული იყო ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურატურის პროკურორსა და ბრალდებულ ნ. ლ-ეს შორის 2018 წლის 5 თებერვალს დადებული საპროცესო შეთანხმება. ნ. ლ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-185-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. განაჩენის თანახმად, ნ. ლ-ის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: „1996-1997 წლებში, შპს „ო...მა“, შპს „დ...ემ“ და შპს „ქ...მა“ მაღალი საპროცენტო სარგებლის დაბრუნების პირობით, მოქალაქეებისგან მოიზიდეს დიდი ოდენობის სახსრები. 1997 წლის მიწურულს, ხსენებულმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებმა შეწყვიტეს ფუნქციონირება და მოქალაქეებისთვის ვეღარ შეძლეს საპროცენტო სარგებლის დაბრუნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ მიმართ გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება. დაზარალებულებმა სარჩელით მიმართეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს შეტანილი თანხების იძულებით გადახდევინება. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 22 დეკემბრისა და ამავე წლის 25 ნოემბრის №2/2226 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დაზარალებულთა მოთხოვნა და შპს „ო...ს“, შპს „დ...ეს“ და შპს „ქ...ს“, ასევე, ფიზიკურ პირებს – ნ. ლ-ეს, თ. ... ესა და კ. ტ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ თითოეული მონაბრის დაკმაყოფილება. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება 82 კრედიტორის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო ქ. თბილისში, ...ის ქ №2/ ...ი №144-ში მდებარე, ნ. ლ-ის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაციის გზით, რომლის ღირებულებაც, აღსრულების ეროვნული ბიუროს 2016 წლის 28 დეკემბრის №03/24-0919 შეფასების დასკვნის მიხედვით, შეადგენდა 1 983 000 ლარს (შეფასების მომენტისთვის 743 000 აშშ დოლარი). გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ფართის რეალიზაციიდან ამონაგები ფულადი თანხით, უნდა დაკმაყოფილებულიყო ქ. ჟ-ა, ი. და ნ. მეები და მ. მ-ა. ამავდროულად, 1998 წლიდან მიმდინარეობდა შპს „ო...ის“ გა-

დახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმისწარმოება, რომლის ფარგლებში დაახლოებით 1900 კრედიტორის სასარგებლოდ ამავე შპს-ს უნდა გადაეხადა 700 000 აშშ დოლარზე მეტი თანხა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული კრედიტორების მოთხოვნის დაკმაყოფილება უნდა მომხდარიყო მხოლოდ შპს „ო...ის“ კუთვნილი ქონებიდან, ამავე შპს-ს ყოფილმა დირექტორმა ნ. ლ-ემ, 2014-2017 წლებში, წინასწარი შეთანხმებისამებრ, 101 კრედიტორთან გააფორმა ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა თანახმად, მათთვის პირადი ვალის სახით თითქოსდა გადასახდელი ჰქონდა ჯამში 815 850 აშშ დოლარი. აღნიშნული ყალბი დოკუმენტები, ნ. ლ-ის დავალებით კრედიტორების მიერ წარდგენილ იქნა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში მათი შემდგომი აღსრულების მიზნით. ამ დოკუმენტების გამოყენებით, ხსენებული 101 კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ შპს „ო...ის“, არამედ უშუალოდ ნ. ლ-ის სახელზე რიცხული ქონებით, მათ შორის, ...ის ქ. №2/...ი №144-ში მდებარე უძრავი ქონების რეალიზაციით, რომელზეც ქონებრივი მოთხოვნის უფლება გააჩნდათ მხოლოდ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 25 ნოემბრისა და 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ პირთა წრეს, ასევე, ქ. ჟ-ას, ი. და ნ. მ-ეებსა და მ. მ-ას. ზემოაღნიშნულით, ნ. ლ-ემ 101 პირთან, მათ შორის, ი. გ-ესთან, ერთად წინასწარი შეთანხმებით, დაამზადა და გამოიყენა ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, მოტყუებით შეეცადა დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი მიეყენებინა 1998 წლის 25 ნოემბრისა და 22 დეკემბრის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ პირთა წრისათვის, ასევე, ქ. ჟ-ას, ი. და ნ. მ-ეებსა და მ. მ-ასათვის.“

სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსის მოადგილის 2018 წლის 27 თებერვლის №13670 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, 2018 წლის 27 მარტს გამოსცა №1423 ბრძანება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოცემული „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ ბრძანებების, მათ შორის, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 09 ივნისის №15044110/100454 ბრძანების ბათილად ცნობისა და აღმასრულებლის მიერ განხორციელებული სააღსრულებო მოქმედებების გაუქმების თაობაზე. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 13 აპრილის წერილით ი. გ-ეს ეცნობა, რომ №150044110 სააღსრულებო საქმეზე შეწყდა სააღსრულებო საქმის წარმოება, საქართველოს იუს-

ტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 27 მარტის №1423 ბრძანების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁴ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოების დაწყების საფუძველია დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება, რომელიც მიზნად ისახავს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების (თუ საქმეში წარმომადგენელი მონაწილეობს) დასახელებას, პირად/საიდენტიფიკაციო ნომერს, მისამართს (ფაქტობრივ საცხოვრებელ ან/და საქმიანობის ადგილს), სხვა ცნობილ საკონტაქტო მონაცემებს; ბ) აპლიკანტის საბანკო რეკვიზიტებს; გ) აპლიკანტის მოთხოვნას; დ) დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელთა მეშვეობითაც აპლიკანტი ასაბუთებს თავის მოთხოვნას და რომლებიც ერთვის დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებას; ე) მითითებას იმის შესახებ, ითხოვს თუ არა აპლიკანტი გამარტივებული წარმოებისას განეული დამატებითი ხარჯის (რომელიც შედგება სააპლიკაციო და ყადაღის დადებისათვის გათვალისწინებული საფასურებისაგან) ანაზღაურებას; ვ) მითითებას იმის შესახებ, რომ დაყენებული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული აპლიკანტის მიერ რაიმე საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე, ან რომ მან ასეთი ვალდებულება უკვე შეასრულა; ზ) მითითებას იმის შესახებ, ითხოვს თუ არა აპლიკანტი დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებას; თ) მითითებას იმის შესახებ, ითხოვს თუ არა აპლიკანტი მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის დადებას; ი) აპლიკანტის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერას. ამავე კანონის 91⁵ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, აღსრულების ეროვნული ბიურო აპლიკანტის მოთხოვნის უფლების შემოწმებისას ეყრდნობა მხოლოდ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებასა და თანდართულ წერილობით მტკიცებულებებში არსებულ მონაცემებს.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, დავალიანების გადახდევინების შესახებ წარმოების დასაწყებად, სავალდებულო იყო – აპლიკანტის მიერ ვალდებულების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელემ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ვალის აღიარების შესახებ ხელწერილი წარუდგინა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გარდა ხსენებული ხელწერილებისა, ვალდებულების არსებობის დამადასტურებელი

სხვა მტკიცებულება წარდგენილი არ ყოფილა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ი. გ-ის მიერ წარდგენილ ხელწერილებზე არსებული თარიღები არის გადასწორებული.

საქმის მასალებით დასტურდება ის გარემოება, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2015 წლის 09 ივნისს გამოიცა დავალიანების გადახდევინების შესახებ №150044110/100454 ბრძანება, რომლითაც ნ. ლ-ესა და შპს „...ას“ ი. გ-ის სასარგებლოდ 100.00 ლარისა და 50 000.00 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) სოლიდარულად გადახდა დაეკისრათ. წინამდებარე დავის გადანყვევისათვის შეფასებას საჭიროებს დავალიანების გადახდევინების შესახებ 2015 წლის 09 ივნისის №150044110/100454 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძვლიანობა. ადმინისტრაციულმა ორგანომ ბრძანების ბათილად ცნობა დაუკავშირა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 5 თებერვლის განაჩენს, რომლის მიხედვითაც ნ. ლ-ემ აღიარა, რომ მის მიერ გაფორმებული ვალის აღიარების ხელწერილი წარმოადგენდა ყალბ დოკუმენტს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით საქმეს არ ერთვოდა უშუალოდ ი. გ-ის სასარგებლოდ ნ. ლ-ის მიერ გაცემული ხელწერილის სიყალბის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, პალატამ არ გაიზიარა მონინააღმდეგე მხარის მითითება, რომ 2015 წლის 09 ივნისის №150044110/100454 ბრძანება დაეყრდნო ყალბ დოკუმენტებს.

საკასაციო სასამართლო არ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განმარტებას და ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია, 2010 წლის 24 სექტემბერს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა სსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც მანამდე პრეიუდიციულ ძალას ანიჭებდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ, კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს ცალკეულ ფაქტებთან მიმართებით, თუმცა ხსენებული ცვლილების კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, მოხდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მტკიცებითი სტანდარტების ურთიერთგამიჯვნა. საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოება არაა დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე პრეიუდიციული ძალით, ისევე როგორც სისხლის სამართალწარმოება – სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმის შედეგზე. ამასთან, პრეიუდიციული ძალის არ ქონა არ გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული პროცესუალური აქტების მტკიცებულებად მიღებისა და მათი სხვა მტკიცებულებებ-

თან ურთიერთშეჯერებით შესაბამისი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. სასამართლოს არ ერთმევა უფლებამოსილება იმსჯელოს განაჩენზე, მისი არსებობის შემთხვევაში, როგორც წერილობით მტკიცებულებაზე და გაიზიაროს ან არ გაიზიაროს მასში ასახული ფაქტობრივი გარემოებები (სუსგ №ბს-144-141(2კ-14), 22.01.2015წ.).

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, მათ შორის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 5 თებერვლის განაჩენის გათვალისწინებით, უნდა დაედგინა და შეეფასებინა სისპაღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 09 ივნისის №15044110/100454 ბრძანების ბათილად ცნობის კანონიერება და საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეზე წარმოდგენილ განაჩენში არის პირდაპირი მითითება – ნ. ლ-ის მიერ ი. გ-ესთან და სხვა 100 პირთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების (ვალის) დამადასტურებელი დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე. ამდენად, განაჩენით დადასტურდა, 2015 წლის 09 ივნისის №15044110/100454 ბრძანების ერთადერთი საფუძვლის – ხელწერილის – დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიღების ფაქტი. მართალია, სააპელაციო სასამართლო მიუთითა უშუალოდ მოსარჩელის – ი. გ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის არ არსებობაზე, თუმცა სააპელაციო სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა შესაბამისი დოკუმენტების სიყალბის დადასტურების ფაქტი, რაც პირდაპირ კანონისმიერ საფუძველს აცლიდა 2015 წლის 09 ივნისის №15044110/100454 დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითებს, რომ დაუდგენელი იყო თუ რას დაეყრდნო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, როდესაც ვალის აღიარების შესახებ ხელწერილები შპს „...ას“ წაწილში ყალბად მიიჩნია. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ 2013 წლის 16 აპრილის ხელწერილის ფარგლებში ნ. ლ-ემ აღიარა როგორც პირადი, ისე შპს ...ას (როგორც 98.38%-იანი წილის მფლობელმა) ვალდებულების არსებობა ი. გ-ის მიმართ, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი ყველა სხვა დოკუმენტთან ერთად 2018 წლის 5 თებერვლის განაჩენის თანახმად წარმოადგენს ყალბ დოკუმენტს, შესაბამისად, გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა

შპს „...ას“ ნაწილში დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის საფუძვლების არ არსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ გადახდევინების შესახებ 2015 წლის 09 ივნისის №15044110/100454 ბრძანების გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს ქმნიდა 2013 წლის 16 აპრილის ხელწერილის ფარგლებში ნ. ლ-ის მიერ როგორც პირადი, ისე შპს „...ას“ (როგორც 98.38%-იანი წილის მფლობელმა) ვალდებულების არსებობის აღიარება ი. გ-ის მიმართ, რაც სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფარგლებში, 2018 წლის 5 თებერვლის განაჩენით დადასტურებულად მიჩნეულია ყალბ დოკუმენტად, რაც შესაბამისი აქტის ცალსახა ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

ამასთან, რაც შეეხება, აღმჭურველი აქტის (დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება) მიმართ დაინტერესებული პირის კანონიერი ნდობის საკითხს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-5 ნაწილიდან გამომდინარე, კანონიერ ნდობა არ არსებობს თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული პირის უკანონო მოქმედება. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია ის გარემოება, რომ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებას საფუძვლად დაედო ყალბი დოკუმენტი, რაც გამორიცხავს მის მიმართ კანონიერი ნდობის წარმოშობის და არსებობის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 27 მარტის №1423 ბრძანება არის კანონიერი და დასაბუთებული, რის გამოც არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით ი. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 5 თებერვლის განჩინებით ი. გ-ის შუამდგომლობა გადაწყვე-

ტილების უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა შპს „...ას“ კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე, ქ. ქუთაისი ...ის ქ. №... (ყოფილი ...) ...ის ქ. №1, მიწა 989 კვ.მ., მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა 1612 კვ.მ. ს/კ ნებისმიერი სახის სარეგისტრაციო წარმოების განხორციელება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 5 თებერვლის განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარეს ი. გ-ეს უნდა დაეკისროს კასატორების – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, შპს „...ას“ და ნ. ლ-ის სასარგებლოდ, მათ მიერ საკასაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300-300 ლარის (თითოეულზე ცალ-ცალკე) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 199¹, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. შპს „...ას“, ნ. ლ-ისა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს

საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ი. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 5 თებერვლის განჩინებით გამოყენებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა;

5. ი. გ-ეს დაეკისროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, შპს „...ას“ და ნ. ლ-ის სასარგებლოდ, თითოეულის მიერ საკასაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300-300 ლარის (ცალ-ცალკე, ჯამში – 900 ლარის) ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის აქტების კანონიერება

გადანყვითლება საქართველოს სახელით

№ბს-3-(კ-21)

14 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ტ-მა“ 2017 წლის 29 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საჩივრის უარყოფის ნაწილში, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 28 თებერვლის №841 ბრძანების, ბათილად ცნობა მოითხოვა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა № ... სააღსრულებო საქმეზე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღ-

მასრულებლის – ხ. ც-ის მიერ 2017 წლის 6 მარტის აუქციონის დანიშვნის გაუქმება და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის, მიმდინარე აღსრულების განხორციელების კანონიერების და მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლის და მოვალის სხვა ქონებათა რეალიზაციით კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე, აღსრულების შეწყვეტის დავალება.

2. შპს „ტ-მა“ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და გასაჩივრებულ ნაწილში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება მოითხოვა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, 2017 წლის 30 მარტის განჩინებით, შპს „ტ-ის“ სარჩელი მიიღო წარმოებაში და დასაშვებად ცნო.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, 2017 წლის 30 მარტის განჩინებით, იმსჯელა მოსარჩელის შუამდგომლობაზე და არ დააკმაყოფილა შპს „ტ-ის“ დირექტორის – მ. ს-ის შუამდგომლობა, გასაჩივრებული აქტის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 28 თებერვლის №841 ბრძანების (იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „ტ-ის“ საჩივარი) მოქმედების შეჩერების თაობაზე. ამავვე განჩინებით სასამართლომ განუმარტა მოსარჩელეს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 28 თებერვლის №841 ბრძანების მოქმედება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „ტ-ის“ საჩივარი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შეჩერდა ავტომატურად სარჩელის წარმოებაში მიღებით.

5. 2017 წლის 27 აპრილს შპს „ტ-მა“, დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა – შპს „ტ-ის“ საჩივრის უარყოფის ნაწილში, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 28 თებერვლის №841 ბრძანების, №... სააღსრულებო საქმეზე აუქციონის დანიშვნის შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 13 აპრილის №... განკარგულების და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 13 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

6. მოსარჩელის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ გაცემული სააღსრუ-

ლებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, ყადაღა დაედო შპს „ტ-ის“ ხუთ უძრავ ქონებას. 2016 წლის 10 აგვისტოს მოვალის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს და აცნობა, რომ შპს „მ-ოს“ მიერ მოთხოვნილ იქნა ქ. ბათუმში მდებარე მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაცია, რომლის ღირებულება, დაახლოებით, 15 000 000 ლარს შეადგენდა. განცხადებას დაურთო შპს „ი-ის“ მიერ გაცემული დასკვნა მოვალის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ქონების შეფასების შესახებ, რომლითაც ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მდებარე მიწის ნაკვეთის ღირებულება, რომელიც წარმომადგენდა კარიერს, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 აგვისტოს №136 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვრა 917 302 ლარით, რის გამოც, პირველ რიგში, აღნიშნული ქონების რეალიზაცია ითხოვა.

7. სარჩელის ავტორმა აღნიშნა, რომ სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 2016 წლის 13 დეკემბერს გარემოს ეროვნულ სააგენტოში გადააგზავნა მოთხოვნა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მდებარე შპს „ტ-ის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღორღის მოპოვებაზე გამოცხადებული აუქციონის შეჩერების მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა. აუქციონის შეჩერებით მოვალემ დაკარგა უფლება ლიცენზიის მიღებაზე, შემდგომ კი მის რეალიზაციაზე. მისივე განმარტებით, დადებული ჰქონდა ნინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც სრულად დაკმაყოფილებოდა მოსარჩელის მიმართ არსებული მოთხოვნა და აღარ დადგებოდა 635 453 ლარის დავალიანების სანაცვლოდ ქ. ბათუმში 6 284 000 ლარად შეფასებული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის საჭიროება.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ტ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. საქალაქო სასამართლოს მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 2016 წლის 27 ივნისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის თანახმად, შპს „ტ-ს“ შპს „მ-ოს“ სასარგებლოდ დაეკისრა 433 453 ლარის და პირგასამტეხლოს სახით 200 000 ლარის გადახდა. ასევე შპს „ტ-ს“ შპს „მ-ოს“ სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 2000 ლარის ოდენობით ანაზღაურება. შპს „მ-ომ“ 2016 წლის 4 ივლისს განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს და თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს 2016 წლის 27 ივნისს გაცემული №28/6771-14 სააღსრულებო ფურცლის აღსრულება მოითხოვა. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ მიღებულ იქნა კრედიტორ შპს „მ-ოს“ განცხადება აღსრულების თაობაზე, მოვალე შპს „ტ-ის“ მიმართ და საქმეს მიენიჭა №A16064532.

10. შპს „ტ-ს“, 2016 წლის 27 ივნისს გაცემული №28/6771-14 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, აღმასრულებელმა 2016 წლის 8, 15, 26 და 29 ივლისს გაუგზავნა წინადადება გადანაცვეტილების შესრულების შესახებ, ხოლო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2016 წლის 1 აგვისტოს №A16064532-011 განკარგულებით შპს „ტ-ს“ საჯარო შეტყობინების მეშვეობით ეცნობა №A16064532 სააღსრულებო წარმოების წინადადება, გადანაცვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ. შპს „ტ-ს“ განემარტა, რომ 7 დღის ვადაში ნებაყოფლობით უნდა გადაეხადა სააღსრულებო ფურცლით დაკისრებული თანხა და სააღსრულებო მომსახურების საზღაური. მოვალე გაფრთხილებულ იქნა, რომ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში განხორციელდებოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული იძულებითი მოქმედებები.

11. 2016 წლის 8 ივლისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს სტაჟიორ-აღმასრულებელმა და №A16064532 სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, მოითხოვა ყადაღის რეგისტრაცია შპს „ტ-ის“ სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: 1. ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ..., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...; 2. ზესტაფონის რაიონი, სოფელი, საკადასტრო კოდი №...; 3. ქ. ბათუმი, დაბა ..., ... შესახვევი, საკადასტრო კოდი №...; 4. წალკის რაიონი, სოფელი ... (...), საკადასტრო კოდი №...; 5. თელავი, სოფელი ..., საკადასტრო კოდი №.... სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 ივლისის მიმართვის საფუძველზე, აღსრულების ეროვნულ ბიუროს ეცნობა, რომ დასახელებულ უძრავ ნივთებზე დარეგისტრირდა ყადაღა.

12. 2016 წლის 1 აგვისტოს შპს „მ-ოს“ წარმომადგენელმა №-140 განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და ითხოვა №A16064532 სააღსრულებო საქმის (კრედიტორი – შპს „მ-ო“; მოვალე – შპს „ტ-ი“), მოვალის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შემდგომი რეალიზაციის მიზნით, აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში გადაგზავნა. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსის 2016 წლის 4 აგვისტოს №A16064532-012/001 წერილიდან ირკვევა, რომ კრე-

დიტორის განცხადების საფუძველზე და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოვალის – შპს „ტ-ის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარეობდა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზე, აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს გაეგზავნა №A16064532 სააღსრულებო წარმოების მასალები.

13. 2016 წლის 10 აგვისტოს შპს „ტ-ის“ წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა, რომ დავალიანების დაფარვის მიზნით, პირველ რიგში, განხორციელებულიყო თელავში, სოფელ ... (ს/კ №...) და ზესტაფონში, სოფელ ... (ს/კ №...) მოვალის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების აუქციონზე რეალიზაცია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რეალიზაციის შედეგად არ დაიფარებოდა კრედიტორის მოთხოვნა, მხარე გამოთქვამდა მზადყოფნას დამატებით, სხვა ქონებიდან დაეკმაყოფილებინა კრედიტორი. აღნიშნულთან დაკავშირებით, შპს „ტ-ს“ ეცნობა, რომ აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიურო მოკლებული იყო შესაძლებლობას სარეალიზაციო უძრავი ქონებების რეალიზაციის რიგითობასთან დაკავშირებით მიეღო გადაწყვეტილება.

14. მოცემულ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 17 აგვისტოს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურს და მოითხოვა ზესტაფონის რაიონში, სოფელ ... შპს „ტ-ის“ სახელზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების შეფასება. აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელს ეცნობა, რომ შპს „ტ-ის“ სახელზე ზესტაფონის რაიონში, სოფელ პირველ ...ში №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ტერიტორიის ნაწილზე მოიპოვებდნენ ინერტულ მასალას, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა ქონების ღირებულებას. ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრისათვის აუცილებელი იყო მიწის ნაკვეთზე განთავსებული ბუნებრივი რესურსების ღირებულების გათვალისწინება, რის გამოც შეფასების სამსახურმა ვერ შეაფასა აღნიშნული ქონება. სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარედგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 11 ოქტომბრის სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნა, რომლითაც ზესტაფონის რაიონში, სოფელ ... მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 143302 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 57 320 ლარით.

15. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის 2016 წლის 12 დეკემბრის №04/03-2242 დასკვნის თანახმად, შპს „ტ-ის“ საკუთრებაში არსებული ქალაქ ბათუმში, დაბა ..., ... შესახვევში მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 6 011 000.00 ლარი. მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე 2016 წლის 28 დეკემბერს ჩატარებული განმეორებითი შეფასების შედეგად, შპს „ტ-ის“ სახელზე რიცხული ბათუმში, დაბა ..., ... შესახვევში მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება შეფასდა 6 284 000 ლარად.

16. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, 2017 წლის 2 თებერვალს მოვალის საკუთრებაში რიცხულ უძრავ ნივთზე (მდებარე: ქალაქი ბათუმი, დაბა ..., შესახვევი ..., ს/კ №...) გამოცხადდა პირველი აუქციონი, რომელიც უშედეგოდ დასრულდა იმავე წლის 10 თებერვალს. სარეალიზაციო ქონებაზე 2017 წლის 10 თებერვალს გამოცხადდა პირველი განმეორებითი აუქციონი, რომელიც უშედეგოდ დასრულდა იმავე წლის 20 თებერვალს და გამოცხადდა მეორე განმეორებითი აუქციონი, რომლის დასრულების დრო იყო 2017 წლის 28 თებერვალი, 16:00 საათი. 2017 წლის 27 თებერვალს შპს „ტ-ის“ წარმომადგენელმა საჩივრით მიმართა სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა: №A16064532 სააღსრულებო საქმის შეჩერება, მათ შორის, იძულებით აუქციონზე გატანილ უძრავ ნივთზე (მდებარე: ქალაქი ბათუმი, დაბა ..., ... შესახვევი, ს/კ №...); აღსრულების განხორციელების კანონიერების და მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა; უძრავ ნივთზე აღსრულების შეწყვეტა და მოვალის კუთვნილი უძრავი ქონებების სხვაგვარი რეალიზაციის დადგენა; აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს 2016 წლის 13 დეკემბრის ... მიმართვით შეჩერებული, ღორღის მოპოვების აუქციონის წესით შეძენის უფლების აღდგენა; უძრავ ნივთზე (მდებარე: ქალაქი ბათუმი, დაბა ..., ... შესახვევი, ს/კ №...) აღსრულების მიქცევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოვალის სხვა ქონების რეალიზაციით ვერ დაიფარებოდა კრედიტორის მოთხოვნა.

17. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 28 თებერვლის №841 ბრძანებით გაუქმდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს – თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის – ხ. ც-ის მოქმედება №A16064532 სააღსრულებო საქმის ფარგლებში, უძრავ ნივთზე (მდებარე: ქალაქი ბათუმი, დაბა ..., ... შესახვევი, ს/კ №...) 2017 წლის 20 თებერვალს მეორე განმეორებითი აუქციონის გამოცხადებაზე და შეწყდა მიმდინარე აუქციონი (№..., ლოტი №...). განკარ-

გულებით განიმარტა, რომ დასადგენი იყო შენობა-ნაგებობებში განთავსებული დანადგარები წარმოადგენდა თუ არა სარეალიზაციო ქონების არსებით შემადგენელ ნაწილს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააღსრულებო მოქმედებების განსახორციელებლად აღმასრულებელს სჭირდებოდა გარკვეული პერიოდი, ხოლო აუქციონის დასრულებამდე რჩებოდა მცირე დრო, მართებული იქნებოდა სარეალიზაციო ქონებაზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე აღმასრულებლის მოქმედების გაუქმება და მიმდინარე აუქციონის შეწყვეტა.

18. 2017 წლის 28 თებერვლის №841 ბრძანებით გათვალისწინებული დავალების თანახმად, 2017 წლის პირველ მარტს, აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა, შეფასების სამსახურის თანამშრომლებსა და შპს „ტ-ის“ დირექტორთან ერთად, შეადგინა ოქმი, რომლითაც შპს „ტ-ის“ წარმომადგენლებმა დააზუსტეს პოზიცია და განმარტეს, რომ ითხოვნენ ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელზე 1000 კილოვატიანი სიმძლავრით მიერთების ღირებულების შეფასებას უძრავ ქონებასთან ერთად, სხვა პრეტენზია კი არ გააჩნდათ.

19. 2017 წლის 6 მარტს დაინიშნა აუქციონი, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2017 წლის 30 მარტს, 16:00 საათზე. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 13 აპრილის №... განკარგულებით მოვალის – შპს „ტ-ის“ საკუთრებაში რიცხული ქ. ბათუმში, დაბა ..., ... შესახვევში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (დაუზუსტებელი ფართობით: 30022.00 კვ.მ) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის (ს/კ №...) შემძენი 2017 წლის 30 მარტს დასრულებულ, იძულებით საჯარო აუქციონზე გახდა შპს „ბ-ი“ (ს/კ №...). ამავსე განკარგულებით დგინდება, რომ შპს „ბ-მა“ უძრავი ქონება შეიძინა 942 600 ლარად და თანხა გადაიხადა სრულად. აღსრულება განხორციელდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორის – შპს „მ-ოს“ სასარგებლოდ.

20. შპს „ბ-ის“ წარმომადგენელმა 2017 წლის 13 აპრილს განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა იძულებითი აღსრულების შედეგად საკუთრების უფლების რეგისტრაცია ქ. ბათუმში, დაბა ..., ... შესახვევში მდებარე უძრავ ქონებაზე. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 13 აპრილის №... გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოთხოვნა. ამავსე დღეს გაიცა ამონაწერი, რომლითაც დგინდება, რომ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მდებარე: ქ. ბათუმი, დაბა ..., ... შესახვევი, მიწის (უძრავი ქონების) ს/კ №...) მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ბ-ი“ (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის

13 აპრილის №... განკარგულება).

21. საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას სასამართლო კონტროლის გარეშე, რის გამოც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე არ იყო უფლებამოსილი შეეჩერებინა სააღსრულებო წარმოება, მხარის მოთხოვნის საფუძველზე. კანონი ითვალისწინებდა განსაკუთრებული ვითარების არსებობის პირობებში, გამოცხადებული იძულებითი აუქციონის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რაც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა. განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ დასადგენი იყო შენობა-ნაგებობებში განთავსებული დანადგარები წარმოადგენდა თუ არა სარეალიზაციო ქონების არსებით შემადგენელ ნაწილს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააღსრულებო მოქმედებების განსახორციელებლად აღმასრულებელს ესაჭიროებოდა გარკვეული დრო და აუქციონის დასრულებამდე დარჩენილი დრო არ იყო საკმარისი, ვერ მოესწრებოდა მათი განხორციელება და მართებულად გაუქმდა აღმასრულებლის მოქმედება სარეალიზაციო ქონებაზე მეორე განმეორებითი აუქციონის გამოცხადების თაობაზე და შეწყდა მიმდინარე აუქციონი.

22. მოსარჩელის სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, სასამართლომ აღნიშნა, რომ ს/კ № ... უძრავ ქონებაზე განხორციელებული კონკრეტული სააღსრულებო ღონისძიებები ემსახურებოდა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებას იძულებითი მექანიზმებით, მათ შორის, მოვალის ქონების რეალიზაციის, მოვალის და მისი ქონების მიმართ შეზღუდვების დაწესების გზით, რა დროსაც გასათვალისწინებელი იყო კრედიტორის ინტერესებიც და სააღსრულებო ბიურო მოკლებული იყო შესაძლებლობას, თვითონ მიეღო დამოუკიდებელი გადაწყვეტილება. აღნიშნული დასაბუთების საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 28 თებერვლის №841 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე.

23. №... სააღსრულებო საქმეზე აუქციონის დანიშვნის შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის

6 მარტის მოქმედების გაუქმებასთან დაკავშირებით, საქალაქო სა-სამართლომ მიუთითა, „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორ-მების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქარ-თველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძა-ნების დანართი №1-ის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, აუქ-ციონის ჩატარების თაობაზე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუ-როს ინტერნეტ-განცხადება უნდა შეიცავდეს სხვადასხვა მონა-ცემებს, მათ შორის, გასაყიდი ქონების დასახელებას, ქონების მოკ-ლე აღწერას (ლოტებად დაყოფის შემთხვევაში ლოტების მიხედ-ვით), მის ადგილმდებარეობას, გარდამავალ უფლებათა ღირებუ-ლებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასევე, მოიხმო ამავე ბრძა-ნების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და აღნიშნა, რომ იძულებითი აუქციონი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გამოცხადდა და არ არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

24. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 13 აპრილის №... განკარგულების და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული საა-გენტოს 2017 წლის 13 აპრილის №... გადანაცვეტილების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით მოთხოვნაზე სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლითაც აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ქონების ფასის სრულად გადახდის შემდეგ აღსრულე-ბის ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას აუქციონზე შე-ძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ იძულებით გამართულ აუქციონზე შპს „ბ-მა“ უძრავი ქონება შეიძინა 942 600 ლარად, თანხა გადაიხადა სრულად და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილი იყო გამოეცა განკარგულება აუქციონზე შეძენილ უძრავ ქონება-ზე საკუთრების უფლების მოპოვების შესახებ, რომლის საფუძველ-ზეც, შპს „ბ-ს“ წარმოეშვა კანონით განსაზღვრული რეგისტრაცი-ის მოთხოვნის ლეგიტიმური უფლებამოსილება, ხოლო რეგისტრა-ციის მიზნით წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტის საფუძ-ველზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებული იყო დაერეგისტრირებინა საკუთრების უფლება. ზემოაღნიშ-ნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობ-და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებული ბათილად ცნობის საფუძველი.

25. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ნოემბრის გადანაცვეტილება სააპე-ლაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ტ-მა“, რომელმაც გასაჩივრებუ-ლი გადანაცვეტილების გაუქმება და ახალი გადანაცვეტილებით სარ-

ჩელის დაკმაყოფილება მოითხოვს.

26. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 4 ნოემბრის განჩინებით შპს „ტ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება.

27. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ამასთანავე, მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

28. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 4 ნოემბრის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ტ-მა“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

29. კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას და მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

30. კასატორის განმარტებით, 2016 წლის 10 აგვისტოს, აუქციონის გამოცხადებამდე რამდენიმე თვით ადრე, შპს „ტ-ის“ წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა დავალიანების დაფარვის მიზნით, პირველ რიგში, განხორციელებულიყო მოვალის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების და მათ შორის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ... (ს/კ №...) მდებარე 86 000 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეალიზაცია, რომლის ღირებულება, შპს „ი-ის“ დასკვნით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 აგვისტოს №136 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვრა 917 302 ლარით.

31. კასატორის მითითებით, აღსრულების პროცესში, სააღსრულებო ბიურომ მხოლოდ კრედიტორის ინტერესი გაითვალისწინა და მოვალის არც ერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რამაც, საბოლოოდ, გამოიწვია 635 453 ლარის დავალიანების სანაცვლოდ, შპს „ტ-ის“ საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ... შესახვევში მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების, რომლის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა მინიმალურად 6 284 000 ლარით, იძულებით აუქციონზე რეალიზაცია. კასატორს უსაფუძვლოდ მიაჩნია იძულებით აუქციონზე შპს „ტ-ის“ კუთვნილი იმ

ქონების რეალიზაცია, რომლის საბაზრო ღირებულება ათჯერ აღემატებოდა სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებულ თანხას და მიიჩნევს, რომ ქ. ბათუმში მდებარე უძრავი ქონების აუქციონზე გატანის შემთხვევაში, მისი მაღალი ღირებულების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო უძრავი ქონების ლოტებად დაყოფა, რაც გამოორიცხავდა აღსრულების გაჭიანურებას და კრედიტორის ინტერესის შელახვას.

32. შპს „ტ-ის“ წარმომადგენელმა აგრეთვე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ №... სააღსრულებო საქმის წარმოების დროს ითხოვდნენ ქ. ბათუმში, დაბა ..., ... შესახვევში მდებარე უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის კანონიერების და მიზანშეწონილობის შესწავლას და მიმდინარე აუქციონის შეწყვეტას, რათა იძულებით რეალიზაციას დაქვემდებარებოდა მოვალის კუთვნილი სხვა უძრავი ქონება. კერძოდ, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს აცნობეს, რომ შპს „ტ-ის“ კუთვნილი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელში (ს/კ №...) მდებარე 86 000 კვ.მ მიწის ნაკვეთის ღირებულება ასევე მნიშვნელოვნად აღემატებოდა აღსრულების ქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ თანხას და ითხოვდნენ შეჩერებული ღირებულების მოპოვების ლიცენზიის, აუქციონის წესით შეძენის უფლების აღდგენას, რადგან №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ქონებაზე დადებული ჰქონდათ წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც, ლიცენზიის მოპოვების შემთხვევაში, უძრავი ქონება გასხვისდებოდა 1 000 000 ლარად, რაც სრულად უზრუნველყოფდა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. კასატორმა აღნიშნა, რომ გაურკვეველი იყო, რატომ მიენიჭა უპირატესობა და რატომ გაიყიდა იძულებით აუქციონზე ქ. ბათუმში, დაბა ..., ... შესახვევში მდებარე №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონება, რომლის ღირებულება არანაკლებ ათჯერ აღემატებოდა მოთხოვნას და რა საფუძვლით არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ მოვალის მოთხოვნა, სხვა არანაკლებ ღირებული ქონების პირველ რიგში რეალიზაციასთან დაკავშირებით.

33. კასატორის განმარტებით, დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენის მიუხედავად, სადავო ადმინისტრაციული აქტით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ განაცხადა, რომ სააღსრულებო საქმის წარმოების დროს გასათვალისწინებელი იყო კრედიტორის ინტერესი და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. აღნიშნული განმარტების გათვალისწინებით კასატორისათვის გაუგებარი იყო სააპელაციო სასამართლოს მითითება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე იმ დროს, როდესაც მხოლოდ კრედიტო-

რის ინტერესი იქნა გათვალისწინებული.

34. გარდა აღნიშნულისა, კასატორის მითითებით, 2017 წლის 27 თებერვალს წარდგენილი საჩივარი, სადავო 2017 წლის 28 თებერვლის №841 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა იმ ნაწილში, რომლითაც ითხოვდნენ: 1. №A16064532 სააღსრულებო საქმის შეჩერებას, მათ შორის, იძულებით აუქციონზე გატანილ უძრავ ნივთზე (მდებარე: ქ. ბათუმი, დაბა ..., ... შესახვევი, საკადასტრო კოდი №...); 2. ამავე ქონებაზე აღსრულების განხორციელების კანონიერების და მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლას დასახელებულ უძრავ ნივთთან მიმართებაში; 3. აღსრულების შეწყვეტას და მოვალის კუთვნილი უძრავი ქონებების სხვაგვარი რეალიზაციის დადგენას; 4. აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს 2016 წლის 13 დეკემბრის ... მიმართვით შეჩერებული ღორღის მოპოვების ლიცენზიის აუქციონის წესით შეძენის უფლების აღდგენას; 5. უძრავ ნივთზე (მდებარე: ქ. ბათუმი, დაბა ..., ... შესახვევი, საკადასტრო კოდი: №...) აღსრულების მიქცევას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოვალის სხვა ქონებათა რეალიზაციით ვერ დაიფარებოდა კრედიტორის მოთხოვნა.

35. ამასთან, კასატორის განმარტებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებდა განსაკუთრებული ვითარების არსებობის პირობებში, გამოცხადებული იძულებითი აუქციონის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რაც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენებისას ვალდებული იყო დაესაბუთებინა, როგორც განსაკუთრებული გარემოების არსებობა, ასევე გამოცხადებული აუქციონის გონივრულობა, რითაც დაიცავდა თანაზომიერების პრინციპს.

36. საკასაციო საჩივრის ავტორმა მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-18 მუხლებზე, რომლითაც განმტკიცებულია სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი და განმარტა, რომ შპს „ტ-ს“ შეეზღუდა კანონმდებლობით გარანტირებული პროცედურული უფლებები.

37. კასატორის განმარტებით, ქვედა ინსტანციის სასამართლობმა არ შეაფასეს ის გარემოება, რომ შპს „ტ-მა“ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ სარჩელი აღძრა 2017 წლის 29 მარტს – იძულებითი აუქციონის დასრულებამდე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 მარტის განჩინებით სარჩელი, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუ-

როს თავმჯდომარის 2017 წლის 28 თებერვლის №841 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარისათვის აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 6 მარტის №... სააღსრულებო საქმეზე აუქციონის დანიშვნის შესახებ მოქმედების გაუქმების დავალეზის, აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის იძულებით აუქციონზე გატანილ უძრავ ნივთზე აღსრულების განხორციელების კანონიერების და მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლის მოთხოვნით, წარმოებაში იქნა მიღებული. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30 მარტის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობაზე, მოსარჩელეს განემარტა, რომ სარჩელის წარმოებაში მიღებით შეჩერდა სადავო ადმინისტრაციული აქტის მოქმედება, რასაც უნდა გამოეწვია შემდგომი პროცედურების შეჩერება და სასამართლოს უკანონოდ უნდა ეცნო შეჩერებული ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე განხორციელებული ქმედებები, რაც სააპელაციო სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა.

38. კასატორის მითითებით, შპს „ტ-მა“ გაასაჩივრა რა 2017 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება №... სააღსრულებო საქმეზე აუქციონის დანიშვნის შესახებ და 2017 წლის №841 ბრძანება, სადავო აუქციონის დასრულების შემდგომ, 2017 წლის 4 აპრილს განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს და აცნობა, რომ სარჩელი აღძრა სასამართლოში ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რაც სასამართლოებმა ასევე შეფასების გარეშე დატოვეს.

39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 1 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ტ-ის“ საკასაციო საჩივარი.

40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 მაისის განჩინებით შპს „ტ-ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

41. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ტ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული

ციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 4 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ტ-ის“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

42. საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს.

43. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააღსრულებო სამართალი საჯარო სამართალს მიეკუთვნება, ვინაიდან მისი საგანია სასამართლო გადაწყვეტილებების და კანონით გათვალისწინებული სხვა აქტების იძულებით აღსრულების უზრუნველყოფა. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ აღსრულების ქვემდებარე აქტების იძულებითი განხორციელების კანონით დადგენილ წესს. აღსრულების მიზანი კი არის დადასტურებული, უდავოდ დადგენილი უფლების რეალურად აღდგენა, რაც განაპირობებს სახელმწიფოს ვალდებულებას – სააღსრულებო სამართლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას მოვალის უფლებებსა და თავისუფლებებში კანონისმიერი ჩარევის გზით აღასრულოს კრედიტორის მოთხოვნა – სახელმწიფოს მეშვეობით აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნა, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს სააღსრულებო კომპეტენციის გამოვლინებას. ამდენად, უდავოა, რომ როგორც სახელმწიფოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, ისევე სააღსრულებო ორგანოების, როგორც სახელმწიფოს სააღსრულებო ფუნქციის განმახორციელებელი ორგანოების მოქმედება უნდა იყოს კონსტიტუციასთან შესაბამისი და სათანადოდ უნდა იცავდეს აღსრულების წარმოების ყველა მონაწილის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

44. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ ვინაიდან იძულებითი აღსრულება, როგორც წესი, ვერ ხორციელდება უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევის გარეშე, აუცილებელია აღსრულების პროცესის ეფექტური კონტროლი წარმოების დასაწყისიდან, მის ყველა სტადიაზე. ამასვე ითხოვს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-13 მუხლი, რომლის თანახმად, ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს

სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართლებრივი საშუალებები საალსრულებო წარმოების ფარგლებში უნდა უზრუნველყოფდეს, ერთი მხრივ, არ გაჭიანურდეს იძულებითი აღსრულება და შეძლებისდაგვარად სწრაფად და სრულად განხორციელდეს კრედიტორის მოთხოვნები, ხოლო, მეორე მხრივ, მოვალეს უნდა შეეძლოს კანონით გაუთვალისწინებელი ჩარევისაგან თავის დაცვა, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით (სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი), რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ამდენად, უდავოა, რომ სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს აღსრულების პროცესში ევალება სამართლიანი ბალანსის დაცვა კრედიტორის მოთხოვნებსა და მოვალის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის.

45. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით (სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი), საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საკუთრების უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, ხოლო მისი, როგორც ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტირება და პირისთვის საკუთრების უფლებით ეფექტური სარგებლობის გარანტიების შექმნა, სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოსთვის (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32; 2007 წლის 18 მაისის №2/1/370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკუთრების უფლების გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდი-

ვიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმოების, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას. იმავდროულად, კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ბირთვს წარმოადგენს. შესაბამისად, ის არის არა მხოლოდ მესაკუთრეებს შორის ეკონომიკური კონკურენციის, არამედ – დემოკრატიული სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წყობილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინა პირობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაცული, გარანტირებული კერძო ინტერესი უზრუნველყოფს საჯარო ინტერესების დაკმაყოფილებასაც. ბუნებრივია, რაც უფრო მყარია საკუთრების უფლების სამართლებრივი გარანტიები, მით უფრო თავისუფალი და თამამია კერძოსამართლებრივი ურთიერთობები, შესაბამისად, უფრო რეალურად მიღწევადია დასახელებული საჯარო ინტერესებიც. იმავდროულად, კონკრეტული კერძო ინტერესების დაკმაყოფილებაც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დაცულ საჯარო ინტერესებზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაღიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

46. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლზე, რომლითაც ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისი სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, პირველი ოქმის პირველი მუხლი, რომლის ძირითადი ობიექტი გახლავთ ინდივიდის დაცვა სახელმწიფოს მიერ დაუსაბუთებელი ჩარევისაგან მისი საკუთრების მშვიდობიან სარგებლობაში, აგრეთვე შეიძლება მოიცავდეს პოზიტიურ ვალდებულებებს სახელმწიფოს მხრიდან, რათა მიიღოს გარკვეული ზომები, რომლებიც აუცილებელია საკუთრების უფლების დაცვისათვის. კერძოდ, როდესაც არსებობს პირდაპირი კავშირი იმ ღონისძიებებს, რომლებსაც შეიძლება მომჩივანი ლეგიტიმურად ელოდებოდეს ხელისუფლების ორგანოებისგან და მისი საკუთრების ეფექტურ გამოყენებას შორის (Öneryildiz v. Turkey, no. 48939/99, §134, 30.11.2004; PĂDURARU v. Romania, no. 63252/00, §88, 01.03.2006; Broniowski v. Poland, no. 31443/96, § 143 28.09.2005; da Sovtransavto Holding v. Ukraine,

no. 48553/99, §96, 25.07.2002). მათ შორის, ჰორიზონტალურ ურთიერთობებში შეიძლება ჩაერთოს საჯარო ინტერესი, რამაც შეიძლება გარკვეული ვალდებულებები დააკისროს სახელმწიფოს. მაგალითად, ბრონიოვსკის საქმეში (ციტირებული ზემოთ, §143) სასამართლომ დაადგინა, რომ პოზიტიური ვალდებულება პირველი ოქმის პირველი მუხლის მიხედვით, განაპირობებს სახელმწიფოს დავალდებულებას – მიიღოს აუცილებელი ღონისძიებები საკუთრების უფლებების დასაცავად (Kotov v. Russia, no. 54522/00, §109, 3.04.2012).

47. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ, რიგ შემთხვევებში, პირველი ოქმის პირველმა მუხლმა შეიძლება დააკისროს სახელმწიფოს გარკვეული აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება საკუთრების უფლების დასაცავად, მათ შორის, ისეთ შემთხვევაში, როდესაც სამართალწარმოება მიმდინარეობს ინდივიდებს ან კომპანიებს შორის (Sovtransavto Holding v. Ukraine, no. 48553/99, §96, 25.07.2002). მოცემული პრინციპი გამოყენებულ იქნა აქტიურად კერძო დებიტორების სანაღმდეგოდ აღსრულების პროცედურების კონტექსტში (Fuklev v. Ukraine, no. 71186/01, §§89-91, 7.06.2005 და Kesyane v. Russia, no. 36496/02, §§79-80, 19.10.2006; აგრეთვე Kin-Stib and Majkić v. Serbia, no. 12312/05, §84, 20.04.2010; Marčić and Others v. Serbia, no. 17556/05, §56, 30.10.2007; Matheus v. France, no. 62740/00, §68, 31.03.2005).

48. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ პირველი ოქმის პირველ მუხლთან შესაბამისობის დადგენის დროს სასამართლომ უნდა შეისწავლოს განსახილველი სხვადასხვა ინტერესი, რადგან კონვენცია შექმნილია იმ მიზნით, რომ დაიცვას უფლებები, რომლებიც „პრაქტიკული და ეფექტურია“. სასამართლომ უნდა ჩაიხედოს ზედაპირს მიღმა და გამოიძიოს გასაჩივრებული სიტუაციის რეალური მხარე (Zolotas v. Greece, no. 66610/09, §42, 29.04.2013; Tunnel Report Limited v. France, no. 27940/07, § 39, 18.11.2010).

49. საკასაციო პალატამ, განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ეყრდნობა რა საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით განმტკიცებულ საკუთრების უფლებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული განმარტებების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს „გასაჩივრებული სიტუაციის რეალური მხარე“ და დაადგინოს აღსრულების პროცესში დაიცვა თუ არა აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სამართლიანი ბალანსი კრედიტორის მოთხოვნებსა და მოვალის ფუნდამენტურ უფლებებს შორის. ასევე უნდა განსაზღვროს, შეილახა თუ არა საკუთრების უფლება დაახლოებით ათჯერ ძვირად ღირებული უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციისას, როდესაც არსებობდა უძრავი ქო-

ნების ლოტებად დაყოფის ან აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს 2016 წლის 13 დეკემბრის ... მიმართვით შეჩერებული ღორლის მოპოვების ლიცენზიის აუქციონის წესით შეძენის უფლების აღდგენის შესაძლებლობა, რასაც აღსრულების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში ითხოვდა მოვალე, შპს „ტ-ი“.

50. საკასაციო პალატა მოიხმობს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს, რომლის მიხედვით, აღსრულებას ექვემდებარება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, გარდა ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა. დასახელებული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო. აღნიშნული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კი, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას ინყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის პირველი პუნქტით, იძულებით აუქციონს ამ კანონით დადგენილი წესით ატარებს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო ან სხვა პირი მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ მოვალე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ქონების მესაკუთრედ, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს იძულებითი აუქციონის ჩატარებას. ამ შემთხვევაში იძულებითი აუქციონი ტარდება ქონებაზე ყადაღის დადებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ამ კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 2 კვირის ვადაში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „მ-ომ“ 2016 წლის 4 ივლისს განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 ივნისს გაცემული №28/6771-14 სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც შპს „ტ-ს“, შპს „მ-ოს“ სასარგებლოდ დაეკისრა 433 453 ლარის და პირგასამტეხლოს სახით 200 000 ლარის გადახდა, ასევე სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 2000 ლარის ოდენობით ანაზღაურება და გადაწყვეტილების აღ-

სრულება მოითხოვდა.

51. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25¹ მუხლით, თანხის გადახდევინების საქმეებზე სააღსრულებო წარმოების ეტაპებია: აღსრულების დაწყება, ქონებაზე ყადაღის დადება, აუქციონის ჩატარება და კრედიტორისათვის თანხის გადაცემა. იმ შემთხვევაში, თუ ქონების ღირებულება დავალიანებას მნიშვნელოვნად აღემატება, ხოლო დაყადაღებული სხვადასხვა ქონებაა, სააღსრულებო ორგანომ ის ქონება უნდა მიაქციოს სარეალიზაციოდ, რომელიც საკმარისი იქნება დავალიანების დასაფარავად და ამ მიზნით აღსრულების დაწყებიდან იძულებითი აუქციონის ჩატარებამდე უნდა გაითვალისწინოს მოვალისათვის დაკისრებული თანხის მოცულობა, შეაფასოს აუქციონზე გასატანი ქონების ღირებულება და ისე განსაზღვროს მოვალის ქონების (ქონების ნაწილის/წილის) აუქციონზე გატანის რიგითობა, რადგან სააღსრულებო სამსახური უნდა ცდილობდეს აღსრულების შედეგის მკვეთრი დისპროპორციის შემცირებას. ამასვე მიუთითებს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის „იძულებით აუქციონის ჩატარების ფორმები და წესის“ 1.1 მუხლი, რომლის თანახმად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს აუქციონის ჩატარებას და განსაზღვრავს აუქციონზე გასატან ქონებას, საჭიროების შემთხვევაში ყოფს მას ლოტებად. იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ტ-ის“ კუთვნილი ქონება (ს/კ №...) შედგებოდა რამდენიმე ობიექტისაგან, რომელიც განლაგებული იყო 30 022.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, მთლიანი ქონება სოლიდური ღირებულების იყო და მისი საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატებოდა შპს „მ-ოს“ მიმართ არსებულ დავალიანებას, შპს „ტ-ის“ საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების ნაწილის გატანა საკმარისი იყო დავალიანების გადამეტებით დასაფარავად, შესაბამისად, არსებობდა მოვალის უძრავი ქონების დაყოფის საჭიროება. ქონების ღირებულებისა და დავალიანების ოდენობის დისპროპორციის გამო, შპს „ტ-ის“ წარმომადგენლები ეჭვს გამოთქვამენ, ქ. ბათუმში, დაბა ..., ... შესახვევში მდებარე №... საკადასტრო კოდის მქონე მთელი უძრავი ქონების დაუფლების მიზნით აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით (იხ. საკასაციო საჩივარი). საქმეში დაცულია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს 2016 წლის 17 აგვისტოს წერილი №A16064532-013/001, რომლითაც შპს „ტ-ს“ ეცნობა, რომ მოთხოვნის განხილვის ეტაპზე აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიურო მოკლებული იყო შესაძლებლობას სარეალიზაციო უძრავი ქონებების რეალიზაციის რიგითობასთან დაკავში-

რებით მიეღო გადაწყვეტილება. საქმის მასალებს, ასევე ერთვის შპს „ტ-ის“ 2016 წლის 10 აგვისტოს განცხადება აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროსადმი, რომლითაც განმცხადებელი აცნობებს სააღსრულებო ბიუროს, რომ მზად იყო „სხვა უძრავი ქონებიდან“ დაეკმაყოფილებინა კრედიტორის მოთხოვნა, რომლის ღირებულება ასევე მნიშვნელოვნად აღემატებოდა მოთხოვნილ თანხას, რის დასტურად წარუდგინა შპს „ი-ის“ მიერ გაცემული ქონების შეფასების აქტი.

52. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის 2016 წლის 28 დეკემბრის №122078 დასკვნის თანახმად, შპს „ტ-ის“ სახელზე რიცხული ქ. ბათუმში, დაბა ..., ... შესახვევში მდებარე №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონების ღირებულება, კერძოდ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 30 022.00 კვ.მ დაუზუსტებული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 6971.00 კვ.მ ფართის მქონე შენობა-ნაგებობების (სახელდობრ, №1 საყარაულო და ადმინისტრაციული შენობა დაუზუსტებელი აზომვით 338 კვ.მ), №2 სასაწყობე შენობის (დაუზუსტებელი აზომვით 214 კვ.მ), №3 ერთსართულიანი შენობის (დაუზუსტებელი აზომვით 438 კვ.მ.), №4 ანგარის ტიპის სანარმოო დანიშნულების შენობის (დაუზუსტებელი აზომვით 1961 კვ.მ), №5 ანგარის ტიპის სანარმოო დანიშნულების შენობის (დაუზუსტებელი აზომვით 599 კვ.მ) №6 სანარმოო დანიშნულების კონსტრუქციული შენობის (დაუზუსტებელი აზომვით 3888 კვ.მ), №7-№8 სატრანსფორმატორო შენობების (დაუზუსტებელი აზომვით 22 კვ.მ) საბაზრო ღირებულება 6 284 000.00 ლარს (შეფასების მომენტისათვის 2 355 000.00 აშშ დოლარს) შეადგენს. დასახელებული სამართლებრივი საფუძვლების და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ბუნდოვანია თუ რა გარემოება დაედო საფუძვლად აუქციონზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მთელი ქონების გატანას, რატომ არ იყო შესაძლებელი მოვალეზე რიცხული ნაკვეთის ნაწილის ან ნაკვეთზე განლაგებული შენობებიდან ერთ-ერთის რეალიზაციით დავალიანების დაფარვა, ამასთანავე, საქმეში არ მოიპოვება და არც საკასაციო სასამართლოს ზეპირი მოსმენის სხდომაზე იქნა გაჟღერებული რაიმე დასაბუთებული არგუმენტაცია, დაყოფის შემთხვევაში ქონების ნაწილის განკარგვის შეუძლებლობის, აქტივების გაუფასურების და დარჩენილი ქონების ლიკვიდურობის შენარჩუნების შეუძლებლობის შესახებ.

53. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე, რომლის თანახმად, „სარეალიზაციო მასიდან უძრავი ქონების ცალკეული ობიექტის (ნაკვეთის ნაწილის, შენობის) გამოყოფის შესაძლებლობას არ გამორიცხავს

უძრავი ქონების ერთ საკადასტრო კოდზე რეგისტრაცია. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის ¹² პუნქტის თანახმად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, სააღსრულებო წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს მოვალის საკუთრებაში არსებული შენობისათვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის განსაზღვრის თაობაზე, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს – ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების მიზნით. უძრავი ნივთი არის სარეგისტრაციო ობიექტი („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „გ“ ქვ.პ.), რეგისტრაციაში დაინტერესებული პირის დეფინიციიდან გამომდინარე („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „ზ“ ქვ.პ.) სააღსრულებო ორგანო ასეთად უნდა იქნეს მიჩნეული, შესაბამისად, იძულებითი აუქციონის ჩატარებამდე მას გააჩნდა ერთიანი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების დაყოფის რეგისტრაციის („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 15⁴ მუხ.) მოთხოვნის უფლება“ (სუსგ №ბს-881(კ-19), 25.02.2021წ.). ამდენად, იძულებით აღსრულების პროცესში დასაშვებია არა მთლიანი ქონების, არამედ მისი ნაწილის აუქციონზე გატანა, ადეკვატური პროპორციით, სააღსრულებო ორგანო უფლებამოსილი იყო აგრეთვე განეკარგა არა მხოლოდ ერთ საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონების რეალური ნაწილი, არამედ მისი იდეალური წილიც, ვინაიდან კანონმდებლობით დასაშვებია ნივთზე, მათ შორის, უძრავ ქონებაზე რამდენიმე პირის საზიარო უფლების (საერთო საკუთრების უფლების) არსებობა, რომელიც შესაძლოა, საკადასტრო საზღვრების გამიჯვნის პროცესის გავლის გარეშეც იყოს თანასაკუთრებაში (სკ-ის 953-ე მუხ.) (სუსგ №ბს-881(კ-19), 25.02.2021წ.). საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.12.2019წ. №487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ 17.1 მუხლის თანახმად, თუ უძრავ ნივთზე საერთო საკუთრების უფლება წარმოეშობა რამდენიმე პირს, განცხადება შეიძლება წარადგინოს ნებისმიერმა თანამესაკუთრემ (ანალოგიური შინაარსის დებულებას შეიცავდა აღსრულების პერიოდში მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.01.2010წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-14 პუნქტი). მოცემულ შემთხვევაში, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მოცულობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობდა როგორც უძრავი ქონების ლოტებად დაყოფის შესაძლებ-

ლობა, ასევე, სააღსრულებო ბიუროს გააჩნდა უძრავი ქონების იდეალური წილის რეალიზაციის უფლებამოსილება, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ საზიარო საგანი გაყოფადია, უძრავი ქონების იდეალური წილის თანასაკუთრების რეგისტრაციის შემთხვევაში, შემდგომში შესაძლებელი იქნებოდა საზიარო უფლების გაუქმება რეალური წილის გამოყოფით (სკ-ის 964-ე მუხლი).

54. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული შესაძლებლობების გამოყენების გარეშე იმოქმედა სააღსრულებო ბიურომ წინამდებარე შემთხვევაში, სამართლიანად არ დააბალანსა კრედიტორისა და მოვალის ინტერესები და აღსრულების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებით ვერ აღმოფხვრა დისპროპორცია დაავალანების თანხასა და უძრავი ქონების ღირებულებას შორის. საკასაციო სასამართლოს შეფასება, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ იმოქმედა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, გამომდინარეობს არა სამართლიანობის სუბიექტური შეხედულებიდან (შეადარე BVerwGE, 42,64), არამედ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონიდან (სწმკ მე-15, 17.7 და მე-18 მუხლები) და საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლების დაცვის ვალდებულებიდან, რაც საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით განმტკიცებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის თანახმად, ყველა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულია წარმოადგენს.

55. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სოციალურ სახელმწიფოში (საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა და მე-5 მუხლი) საკუთრების გარანტიის განსაკუთრებული მნიშვნელობა გულისხმობს მესაკუთრის ხელში საკუთრების კონკრეტული არსის გარანტიას (BVerfGE 24,367(400); 38, 175 (181). კონსტიტუციურ-სამართლებრივად მისი ფუნქციაა, ძირითადი უფლების მატარებელ პირს შეუნარჩუნოს თავისუფალი სივრცე ქონებრივ-სამართლებრივ სფეროში და ამით პიროვნული განვითარებისა და ცხოვრებისეული პასუხისმგებლობის გამოვლენის შესაძლებლობა მისცეს (BVerfGE 31, 229(239)). აღნიშნული გარანტიის ფუნქცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ მატერიალურ-ქონებრივი სამართლის ჩამოყალიბებაზე, არამედ – შესაბამის საპროცესო სამართალზეც. უშუალოდ კონსტიტუციიდან გამომდინარეობს ვალდებულება, რომლის მიხედვითაც, მითითებული ძირითადი უფლების დარღვევისა თუ ხელყოფის შემთხვევებში პირისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლებრივი დაცვა (BVerfGE 24, 367(401); 35, 348(361); 37, 132(141,148). ყოველივე ეს ასევე მოიცავს სამართლიანი სამართალწარმოების მოთხოვნის უფლებასაც, რაც ქვეყანას

სამართლებრივ სახელმწიფოდ წარმოაჩენს (BVerfGE 38, 105(111); 40,95(99)). აღნიშნული მოქმედებს იძულებითი აღსრულების წარმოების ფარგლებშიც, როდესაც სახელმწიფო კრედიტორის ინტერესებიდან გამომდინარე, მასშტაბურად ზღუდავს მოვალის კონსტიტუციით დაცულ საკუთრების უფლებას. ამგვარი შეზღუდვა, თუმცა, გამართლებულია, რამდენადაც იგი ემსახურება კრედიტორის დასაბუთებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მაგრამ იმავედროულად აუცილებელია მოვალის ინტერესების დაცვა, რაც გულისხმობს მოვალის შესაძლებლობას, მოითხოვოს სამართლებრივი დაცვა ისეთ შემთხვევებში და ისეთი ღონისძიებების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია მისი საკუთრების შეუსაბამოდ დაბალ ფასად გასხვისებისაკენ (BVerfGE 46, 325).

56. საკასაციო პალატა მიუთითებს „სააღსრულებო წარმოება-თა შესახებ“ კანონის 61-ე მუხლზე, რომლითაც უძრავ ქონებაზე აღსრულებას ექვემდებარება მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და საჯარო რეესტრში შეტანილ უძრავ ქონებაზე საერთო საკუთრების წილი. იმავე კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტით, უძრავ ქონებაზე აღსრულება ხდება იძულებითი იპოთეკის რეგისტრაციით, იძულებითი აუქციონით ან სეკვესტრით (ქონების იძულებითი მართვით). „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის პირველი პუნქტით, იძულებით აუქციონს ამ კანონით დადგენილი წესით ატარებს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო ან სხვა პირი მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ მოვალე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ქონების მესაკუთრედ, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს იძულებითი აუქციონის ჩატარებას. იმავე კანონის 71-ე მუხლით, იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმები, წესი და მასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით დამტკიცებული „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების და წესის“ მე-3 მუხლის 1-3 პუნქტების თანახმად, პირველ აუქციონზე ქონების საწყისი ფასი შეადგენს ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 75%-ს. თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ქონების რეალიზაცია, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო პირველი აუქციონის დასრულებისთანავე აცხადებს პირველ განმეორებით აუქციონს. პირველი განმეორებითი აუქციონი ცხადდება იმავე ფორმით, რა ფორმითაც გამოცხადდა პირველი აუქციონი. პირველ განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი ფასი შეადგენს ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 50%-ს, ხოლო თუ

ქონების რეალიზაცია პირველ განმეორებით აუქციონზედაც არ მოხდება, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო პირველი განმეორებითი აუქციონის დასრულებისთანავე აცხადებს მეორე განმეორებით აუქციონს. მეორე განმეორებითი აუქციონი ცხადდება იმავე ფორმით, რა ფორმითაც გამოცხადდა პირველი აუქციონი. საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების განმარტებას იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო აღსრულების პროცესში მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში (აღსრულების სახის არჩევა, შეცვლა, ქონების ნატურით გადაცემა ან ქონების მოვალისათვის დაბრუნება), თუმცა იგი არ გამოირიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, გაითვალისწინოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები, მხედველობაში მიიღოს სააღსრულებო ზომის პროპორციულობა, დავალიანებასა და ქონების ღირებულებას შორის, რაც საბოლოოდ განაპირობებს გასატარებელი ღონისძიების ადეკვატურობას. დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს თანაზომიერების და კანონიერების პრინციპის უგულვებელყოფის შეცდომას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადანყვებილების მიღება ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად რამდენიმე გადანყვებილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები (სუსგ 11.04.20126. №ბს-1655-1627(კ-11)). დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაიშვება აქტის გამოცემა, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების უშეცდომოდ განსახორციელებლად სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა სამართლით, რადგან დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვა შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების და კონსტიტუციური პრინციპების პირდაპირი მოქმედების შედეგი, რაც, თავის მხრივ, გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, რომელიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლითაც სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს იუსტიცი-

ის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით დამტკიცებული „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების და წესის“ პირველი მუხლი სწორედ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზე მიუთითებს, როდესაც იძულებით აუქციონზე გასატანი ქონების განსაზღვრისას, საჭიროების შემთხვევაში, ქონების ლოტებად დაყოფის შესაძლებლობას უშვებს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესი, რომლითაც აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში, არა მხოლოდ კრედიტორს, არამედ, ასევე, სააღსრულებო ბიუროს ავალდებულებს გულისხმიერად მოექცეს მოვალეს და მის ქონებას (სუსგ №ბს-881(კ-19), 25.02.2021წ.). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები იძლევა მოვალის საკუთრებაში არსებული №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მთელი უძრავი ქონების იძულებითი აუქციონზე გატანის, როგორც აღსრულების უკიდურეს, არარელევანტურ ფორმად მიჩნევის შესაძლებლობას, რაც განაპირობა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კონსტიტუციით განმტკიცებული მართლწესრიგის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებამ, რამაც საბოლოოდ მოვალის საკუთრების უფლება დაუსაბუთებლად ხელყო.

57. აღსანიშნავია, რომ შპს „ტ-მა“ აღსრულების პროცესში საჩივრით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს და მოითხოვა №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე აღსრულების განხორციელების კანონიერების და მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა; ამ ნივთზე აღსრულების შეწყვეტა და მოვალის კუთვნილი უძრავი ქონებების სხვაგვარი რეალიზაციის დადგენა და უძრავ ნივთზე აღსრულების მიქცევა, თუ მოვალის სხვა ქონებათა რეალიზაციით ვერ დაიფარებოდა კრედიტორის მოთხოვნა. 2017 წლის 28 თებერვალს მიღებული №841 ბრძანებით, შპს „ტ-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უარის თქმის საფუძველად მითითებულ იქნა, რომ „კონკრეტული სააღსრულებო ღონისძიებები ემსახურება სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებას იძულებითი მექანიზმებით, მათ შორის, მოვალის ქონების რეალიზაციის, მოვალის და მისი ქონების მიმართ შეზღუდვის დაწესების გზით. ამ პროცესში კი გასათვალისწინებელია აგრეთვე კრედიტორის ინტერესი და აღსრულების ბიურო დამოუკიდებლად

გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს“.

58. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს თვითკონტროლის საშუალების განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს არა მხოლოდ კანონიერების, არამედ – მიზანშეწონილობის საკითხსაც. შესაბამისად, ქვემდგომი ორგანოს დისკრეციას შესაძლებელია ჩაენაცვლოს ზემდგომი ორგანოს დისკრეცია (სუსგ №ბს-1332-1317(კ-11), 28.03.2012წ.), რაც იძლევა აღსრულების პროცესის ოპტიმიზაციის შესაძლებლობას. ვალდებულების შესრულება, ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, წარმოადგენს ვალდებულებით სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის, ხოლო კრედიტორისათვის გულისხმიერი დამოკიდებულება არანაირი ნაკლის წარმოშობასთან არ არის დაკავშირებული (სუსგ №ას-1338-1376-2014, 29.01.2015წ.). ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ „კრედიტორის ინტერესზე“ დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება, ხოლო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მხრიდან, წარდგენილი საჩივრის ფარგლებში, იმავე საფუძველით, ზოგადი მითითებით, დისკრეციული უფლებამოსილების მიზანშეწონილობის შეფასების გარეშე, ასევე, საჩივრის მოთხოვნებზე მსჯელობის გარეშე, რომელიც, როგორც უკვე აღნიშნა, გამომდინარეობდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონიდან, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის № 21 ბრძანებით დამტკიცებული წესიდან და საკუთრების უფლებიდან, ქმნის დასახელებულ ნაწილში სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის (სზაკ-ის მე-5 და 60¹ მუხ.) საფუძველს, რადგან სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებულია კრედიტორისა და მოვალის ინტერესების თანაბრად გათვალისწინებით შეარჩიოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ოპტიმალური ვარიანტი და უსაფუძვლოდ, უპირატესობა არ მიანიჭოს რომელიმე მხარეს.

59. სადავო ადმინისტრაციული აქტით შპს „ტ-ს“ ასევე უარი ეთქვა №A16064532 სააღსრულებო საქმის შეჩერებაზე, იმ საფუძველით, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №1/2/596) ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის ის შინაარსი,

რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას სასამართლო კონტროლის გარეშე, რის გამოც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო ვერ შეაჩერებდა სააღსრულებო წარმოებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) „თუ ობიექტურად არსებობს გადაუდებელი, მყისიერი რეაგირების აუცილებლობა, მაშინ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩეროს მხოლოდ იმ გონივრული ვადით, რაც ობიექტურად აუცილებელია დაუყოვნებლივ სასამართლოსადმი მიმართვისათვის სასამართლოს გადაწყვეტილების მოსაპოვებლად. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ დაადგენს აღსრულების შეჩერების საჭიროებას, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება უნდა გაგრძელდეს. აღნიშნული წარმოადგენს კონსტიტუციით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებაში ჩარევის ნაკლებად მზლუდავ საშუალებას. ერთი მხრივ, კანონმდებელი ვალდებულია, მკაფიოდ განეროს იმ განსაკუთრებულ შემთხვევათა სახელმძღვანელო პრინციპები და კრიტერიუმები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება. მეორე მხრივ, სადავო ნორმებით გათვალისწინებული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მხოლოდ სასამართლომ. გამონაკლის შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დროებით შეჩერება სასამართლო კონტროლის განხორციელებას კი არ გამოორიცხავს, არამედ დროში გადაანაცვლებს მხოლოდ იმ ვადით, რაც საჭირო იქნება დაუყოვნებლივ სასამართლოსადმი მიმართვისათვის და სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნულ პროცესში სასამართლოს, როგორც ნეიტრალური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ჩართულობა მნიშვნელოვნად შეამცირებს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან თვითნებურად მოქმედების და შეცდომის დაშვების რისკებს. მეორე მხრივ კი, აღნიშნული არ იქნება დაუძლეველი ტვირთი ადმინისტრაციული ორგანოსთვის, ვინაიდან პრაქტიკაში აღნიშნული კომპეტენცია იშვიათად გამოიყენება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მას კვლავ დარჩება შესაძლებლობა მოახდინოს მყისიერი რეაგირება“. საქმის მასალებით დადგენილია, რომ №A16064532 სააღსრულებო საქმის წარმოების განმავლობაში შპს „ტ-ი“ მუდმივად ითხოვდა, არ დაეშვა სააღსრუ-

ლებო ბიუროს დავალიანებაზე მრავალჯერ ძვირადღირებული ქონების აუქციონზე გატანა, ამ მიზნის მისაღწევად წარდგენილ იქნა არაერთი განცხადება. 2017 წლის 27 თებერვალს წარდგენილი №7579 საჩივრით მოვალე ერთდროულად ითხოვდა აღსრულების საქმის წარმოების შეჩერებასა და შეწყვეტას, ხოლო 2017 წლის 28 თებერვლის №841 ბრძანებით სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, უარი უთხრა №A16064532 სააღსრულებო საქმის შეჩერებაზე, თუმცა არ ჩასწვდა საჩივრის ძირითად არსს და იმავე ბრძანებით სააღსრულებო საქმის შეწყვეტაზეც უარი, რაც თავისთავად მოვალის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, მხოლოდ კრედიტორის ზოგად ინტერესს დააფუძნა (პუნქტი 57-58).

60. საკასაციო პალატა მოიხმობს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 47-ე მუხლს, რომელიც ადგენს სააღსრულებო წარმოების ფარგლებში აღმასრულებლის მიერ ყადაღადადებული ქონების შეფასებას. ქონების აღწერის დროს, მისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესაძლებლობის შემთხვევაში, ქონების საბაზრო ღირებულება აღინიშნება ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში. თუ ქონების აღწერისას ფასების დადგენა შეუძლებელია, ქონებას ყადაღის დადების რეგისტრაციის შემდეგ შეაფასებს აღსრულების ეროვნული ბიურო ან აღსრულების ეროვნული ბიუროს დავალეებით სხვა კომპეტენტური პირი („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 47.1 და 47.2 მუხ.). საქართველოს იუსტიციის მინისტრის 06.05.2014წ. №24 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების 12.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის – შეფასების სამსახურის ერთიერთი ფუნქციაა ქონების შეფასება და დასკვნის მომზადება. როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ტ-ი“ აღსრულების ეროვნული ბიუროს წინაშე 2016 წლის 10 აგვისტოდან აყენებდა საკითხს მის საკუთრებაში არსებული „სხვა უძრავი ქონებიდან“ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. საქმეზე დადგენილია, რომ შპს „ტ-ს“ საკუთრებაში გააჩნია ზესტაფონის რაიონში, სოფელ (ს/კ №...) მდებარე 143 302.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც მოვალის მიერ სააღსრულებო ბიუროში წარდგენილი შპს „ი-ის“ ქონების შეფასების აქტით 917 302 ლარად შეფასდა. 2016 წლის 17 აგვისტოს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურს და მოითხოვა დასახელებული უძრავი ქონების შეფასება. შეფასების სამსახურის 2016 წლის 23 აგვისტოს №88179 დასკვნით აღმასრულებელს ეცნობა, რომ აღნიშნული ტერიტორიის ნაწილზე მოიპოვებდნენ ინერტულ მასალას, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა ქო-

ნების ღირებულებას, რისთვისაც აუცილებელი იყო მიწის ნაკვეთზე განთავსებული ბუნებრივი რესურსების ღირებულების გათვალისწინება, რის გამოც შეფასების სამსახურმა ვერ შეაფასა უძრავი ქონება. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ გარემოებამ (მიწის ნაკვეთზე არსებული ინერტული მასალის შეფასების შეუძლებლობამ) განაპირობა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, უძრავი ქონების შეფასების მიზნით, ექსპერტიზის დანიშვნა. სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს 2016 წლის 11 ოქტომბერს წარედგინა სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნა, რომლითაც ზესტაფონის რაიონში, სოფელ მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 143302 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 57 320 ლარით. 2016 წლის 26 ოქტომბერს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს უფროსმა აღმასრულებელმა №A16064532-015/010 წერილით აცნობა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომ სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნით, საკადასტრო კოდით №... რეგისტრირებული უძრავი ქონება შეფასდა 57 302 ლარად, ხოლო მოვალის მიერ წარდგენილ იქნა შეფასების აქტი, რომლითაც იმავე უძრავი ქონების ღირებულება განსაზღვრულია 917 302 ლარით და სთხოვა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ეცნობებინა უძრავი ქონების შეფასებისას გაითვალისწინოს თუ არა წიაღის მოცულობა. ამავე წერილით უფროსმა აღმასრულებელმა მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ იყო გათვალისწინებული ინერტული მასალა (ე.წ. ქვა, ღორღი, ქვიშა და ხრეში), შეეტანათ კორექტირება, საჭიროების შემთხვევაში დაენიშნათ ყველა საჭირო ექსპერტიზა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით და მიეწოდებინათ კორექტირებული დასკვნა. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 8 ნოემბრის №... წერილით აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსს აღმასრულებელს ეცნობა, რომ ვინაიდან არ იყო დასმული შესაბამისი კითხვა, ექსპერტის მიერ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეფასდა მხოლოდ როგორც სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იყო აღნიშნული მიწის ნაკვეთისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის შეფასება, სააღსრულებო ბიუროს უნდა მიემართა დადგენილი წესით ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. ასევე, სააღსრულებო ბიუროს ეთხოვა მიეწოდებინა დოკუმენტაცია, სადაც მითითებული იქნებოდა ინფორმაცია აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობის შესახებ

და რა რაოდენობით იყო უკვე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა.

61. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გადააგზავნა მოთხოვნილი ინფორმაცია სრულყოფილი ექსპერტიზის ჩასატარებლად, რაც ეწინააღმდეგება, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით დადგენილ აღმასრულებლის უფლება-მოვალეობებს და 2016 წლის 26 ოქტომბრის აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს №A16064532-015/010 წერილს, სადაც თავად აღსრულების ეროვნული ბიურო ითხოვს „დაენიშნათ ყველა საჭირო ექსპერტიზა“ დასახელებული უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულების განსასაზღვრად. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ არ მიიღო ყველა ზომა №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულების განსასაზღვრად და პრაქტიკულად შეფასების გარეშე დატოვა ის უძრავი ქონება, რომელზეც მოვალე ითხოვდა აღსრულებას და რომლის ღირებულება მოვალის მიერ წარდგენილი შეფასების აქტის თანახმად, მნიშვნელოვნად აღემატებოდა დავალიანების ოდენობას.

62. ასევე ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, მას შემდეგ რაც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 8 ნოემბრის №... წერილიდან შეიტყო, რომ №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების რეალურ საბაზრო ღირებულებაზე გავლენას ახდენდა მიწის ნაკვეთზე არსებული სასარგებლო წიაღისეული, 2016 წლის 13 დეკემბერს, თავისი ინიციატივით მიმართა გარემოს ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად ლიცენზიის გაცემის პროცესის შეჩერება, იმ საფუძველით, რომ ლიცენზიის გაცემა გამოიწვევდა მიწის ნაკვეთის ღირებულების შემცირებას. ლიცენზიის გაცემის შეჩერების მოთხოვნისას სააღსრულებო ბიუროს არ გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ შპს „ტემა“ 2016 წლის 15 სექტემბერს განაცხადა თანხმობა, რათა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გამოეცხადებინა აუქციონი და გაცემა ლიცენზია თავის საკუთრებაში არსებულ საკადასტრო კოდით №... რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად. ამავდროულად მიწის ნაკვეთზე, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამოსაც-

ხადებლად, მოვალემ მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2016 წლის 26 ოქტომბერსაც. მას შემდეგ, რაც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნის საფუძველზე შეჩერდა ლიცენზიის გასაცემად დაწყებული წარმოება, შპს „ტ-მა“ არაერთხელ მიმართა აღსრულების ბიუროს, რომ ნება დაერთოთ გაგრძელებულიყო ლიცენზიის გაცემის პროცესი, რაც საშუალებას მისცემდა ლიცენზიის მოპოვების შემთხვევაში აღნიშნული უძრავი ქონებიდან დაექმაცოფილებინა კრედიტორის მოთხოვნა, რის დასტურადაც წარადგინა შპს „ს...-თან“ 2017 წლის 6 იანვარს დადებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რომლითაც ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 1 000 000 ლარით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.“ ქვეპუნქტით, იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს გადახდევინება მოვალის ქონებიდან მასზე ყადაღის დადებით და ქონების გაყიდვით. ცხადია, ყადაღის, როგორც აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების მიზანია აღსრულების შეფერხების პრევენცია და იგი ქმნის კრედიტორის მოლოდინს, რომ მის სასარგებლოდ ყადაღადადებული უძრავი ქონების იძულებითი აუქციონზე გატანის შემთხვევაში სულ მცირე იმ ღირებულების მქონე იქნება, როდესაც მას ყადაღა დაედო, რაც არ დაზარალებს სასამართლო გადანაცვეტილების აღსრულებას. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს დასახელებულ ნაწილში სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებაზე მიმედიც მხოლოდ კრედიტორის ინტერესის გათვალისწინებაზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი მოთხოვნით მიმართვისას, სააღსრულებო ბიუროს უნდა დაესაბუთებინა თუ რას ემსახურებოდა ლიცენზიის გაცემის წარმოების შეჩერების მოთხოვნა. დამდგარი შედეგიდან გამომდინარე, სააღსრულებო ბიუროს აღნიშნულ მოქმედებას ჰქონდა უკუშედეგი, კერძოდ, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ვერ შეფასდა სასარგებლო წიაღისეულთან ერთად, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ქონების ღირებულება, ასევე, მოვალემ დაკარგა რეალური შესაძლებლობა მიეღო სასარგებლო წიაღისეულის საკუთარ მიწის ნაკვეთზე მოპოვების ლიცენზია, რომელიც, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად ზრდიდა უძრავი ქონების ღირებულებას, რაც, პირველ რიგში, კრედიტორის ინტერესში შედიოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნიდა შესაძლებლობას, აღნიშნული მიწის ნაკვეთის რეალიზაციის შედეგად დაქმაცოფილებულიყო კრედიტორის მოთხოვნა და მოვალის ინტერესის გათვალისწინებით, თავიდან აარიდებდა სააღ-

სრულებო ბიუროს იძულებით აუქციონზე გაეტანა ს/კ №... რეგისტრირებული, დავალიანების თანხაზე ათჯერ მეტად შეფასებული უძრავი ქონება. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებული იყო დაეცვა სამართლიანი ბალანსი კრედიტორისა და მოვალის ინტერესს შორის და უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ყადაღადადებული ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად არ უნდა აღემატებოდეს დავალიანების მოცულობას, რათა არ მოხდეს მოვალის რეალურად არსებულზე მეტი ოდენობით არაგონივრული გადახდევინება (სუსგ №ბს-881(კ-19), 25.02.2021წ.), რაც ქმნის დასახელებულ ნაწილში სადავო ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის (სზაკ-ის მე-5 და 60¹ მუხ.) საფუძველს.

63. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით „აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე...“. მართალია, კანონი სააღსრულებო წარმოების დასაწყებად კრედიტორის მიერ განცხადების წარდგენაზე მიუთითებს, თუმცა აღმასრულებელი მოქმედებას არ იწყებს, როგორც კრედიტორის წარმომადგენელი (Mandatstheorie). საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სსშკ-ის მე-4 მუხლი). იმავე კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით, აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით. სააღსრულებო ბიუროების სისტემას განსაზღვრავს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით. იმავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით სააღსრულებო ბიურო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით და სააღსრულებო ბიუროს დებულებით. სააღსრულებო ბიუროს დებულებასა და საშტატო ნუსხას ამტკიცებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საჯარო

სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელსა და აღსრულების პოლიციის სამმართველოს პოლიციის თანამშრომელზე. ამდენად, აღმასრულებელი წარმოადგენს კანონმდებლობის საფუძველზე დამოუკიდებელი მოქმედების განმახორციელებელ პირს, რომელიც საჯაროსამართლებრივ ურთიერთობაში შედის სააღსრულებო წარმოების მხარეებთან (Amtstheorie) და ვალდებულია შეაფასოს იძულებითი აღსრულების კონკრეტული ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა. აღმასრულებლის მოქმედება სააღსრულებო წარმოების მხარესა და დაინტერესებულ პირს, რომელთა კანონიერ ინტერესზეც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს აღმასრულებლის ქმედება, უფლება აქვთ, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ერთჯერადად გაასაჩივრონ (სწშკ-ის 183.1 მუხ.), რა დროსაც მოწმდება მისი მოქმედების კანონიერება (ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვის სავალდებულობა) და მიზანშეწონილობა.

64. საქმეზე დადგენილია, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2016 წლის 15 ივლისის №A 16064532-009/002 შეტყობინებით, შპს „ტ-ს“ დაევალა, სხვა ინფორმაციასთან ერთად, წარედგინა მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ჩამონათვალი. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შპს „მ-ოს“ დირექტორის, კ. გ-ას, 2016 წლის 10 ნოემბრის №191 განცხადებაზე (აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენის თარიღი 11.11.16წ., №43158), რომლითაც იგი მიმართავს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს და აცნობებს, რომ შპს „ტ-ს“ გააჩნია მოძრავი ქონება – 17 ავტოსატრანსპორტო საშუალების სახით, თუმცა აღმასრულებელთან არაერთგზის სატელეფონო კონსულტაციის შედეგად გადაწყდა, რომ აღსრულება დაენციოთ უძრავი ქონების გასხვისებით. ვინაიდან მოვალის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები მდებარეობს 5 სხვადასხვა რაიონში (ზესტაფონი, ხელვაჩაური, ბათუმი, ნალკა, თელავი) და აუქციონების ერთდროულად ჩატარება შესაძლებელი არ იყო, აღმასრულებელმა ითხოვა რეგისტრაციის არჩევა სარეალიზაციოდ გასატან ქონებებზე და მისივე რჩევით უპირატესობა მიანიჭა ხელვაჩაურში არსებულ უძრავ ქონებას, რის გამოც 2016 წლის 4 ივლისს განცხადებით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს და ითხოვა საქმის აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში გადაგზავნა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღმასრულებელი არის აღსრულების ძირითადი და სპეციალური ორგანო, რომელსაც კანონმდებელი ანიჭებს უფლებას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სააღსრულებო წარმოებას-

თან დაკავშირებული საკითხები, რისთვისაც აღმასრულებელს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები აქვს გადაცემული. აღმასრულებელს დაკისრებული აქვს სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულების ფუნქცია, რომელიც უნდა შესრულდეს კანონით განსაზღვრული, ადეკვატური და თანაზომადი საშუალებებით. ამ უფლებამოსილებებს უნდა შეესაბამებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის მონაწილეთა და სხვა ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციების ვალდებულებები. სააღსრულებო წარმოების კანონიერების შემომწმებისას, სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს კონსტიტუციურ სამართლებრივი პრინციპებისა და ძირითად უფლებათა დაცვის საკითხი. ფუნდამენტური უფლებების კონსტიტუციური გარანტია და სამართლებრივი სახელმწიფოდან გამომდინარე კონსტიტუციური პრინციპები ასევე მოქმედებს შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და განსაკუთრებით სააღსრულებო წარმოებისას. აღნიშნული წესი კი, უპირველეს ყოვლისა, ეხება უფლების შეზღუდვის თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის დაცვის ვალდებულებას (შეადარე BVerfGE, 25.07.979, 2 BvR 878/74; BVerfGE, 08.07.1976, 1 BvL 19/75, BVerfGE 42, 263). „თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60). შესაბამისად, სააღსრულებო ბიურომ (აღმასრულებელმა) უნდა მიიღოს ყველა ღონისძიება ადამიანის ძირითად უფლებათა დასაცავად, რათა გამორიცხოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევა იძულებითი აღსრულების პროცესში. აღმასრულებელი ვალდებულია მისთვის მინიჭებული უფლებებით ისარგებლოს კანონის შესაბამისად და თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაუშვას ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-9 პუნქტზე, რომლითაც თანხის გადახდევინების, უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის, ქონების გადაცემის ან სხვა ისეთი კატეგორიის საქმეებზე, როდესაც აღსრულება

უნდა განხორციელდეს მოვალის ქონებაზე ან ამ ქონების ხარჯზე, წინადადების ჩაბარებასთან ერთად (ან თუ წინადადების ჩაბარება დროულად ვერ ხდება) აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების მოძიებას, აღწერას და მასზე ყადაღის დადებას ამ კანონით დადგენილი წესით. საქმის მასალებით არ დგინდება აღმასრულებელმა რატომ არ მოიძია და შეაფასა კრედიტორის განცხადებაში აღნიშნული მოვალის კუთვნილი 17 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, ან რატომ არ შეაფასა მოვალის მიერ წარდგენილი 2017 წლის 24 თებერვლის შპს „ი-ის“ შეფასების აქტში მითითებული ისეთი უძრავი ნივთი, როგორიცაა ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა და მინის სანარმო, რომელთა საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 800 000 აშშ დოლარით და 145 100 აშშ დოლარით. აღმასრულებელი ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა ზემოაღნიშნული პრინციპები, კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლება და მოეძია მოვალის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები და სხვა მოძრავი ნივთები, აღწერა და შეეფასებინა ისინი, რაც საქმის მასალებიდან გამომდინარე, აღმასრულებელს არ განუხორციელებია. შპს „მ-ოს“ დირექტორის, კ. გ-ას, 2016 წლის 10 ნოემბრის № 191 განცხადება, ასევე ყურადსაღებია იმ მხრივ, რომ იგი მიუთითებს აღსრულების მთელი პროცესის მხოლოდ კრედიტორის სურვილისამებრ წარმართვაზე, რაზედაც თავად კრედიტორის, შპს „მ-ოს“ დირექტორი უსვამს ხაზს განცხადებაში, სადაც აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ შპს „ტ-ს“ გააჩნდა 17 სატრანსპორტო საშუალება, აღმასრულებელთან შეთანხმებით გადაწყვიტეს მოვალის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაცია და უპირატესობა მიანიჭეს ხელვაჩაურში მდებარე უძრავ ქონებას. კრედიტორის განმარტება ადასტურებს, რომ აღსრულების პროცესი წარმართა არა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, რა დროსაც მოვალის და კრედიტორის ინტერესი თანაზომიერების პრინციპის დაცვით უნდა დაბალანსდეს, არამედ კრედიტორის ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭების გზით, რა დროსაც მოვალის არაერთი თხოვნა – სხვა ქონებით მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, არ იქნა გათვალისწინებული.

65. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანების №1 დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) მეორე განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი ფასი განისაზღვრებოდა ნული ლარით. შესაბამისად, ქონების იძულებითი აუქციონის გზით რეალიზაციის მიზნით შესაძლებელი იყო სამი აუქციონის ჩატარება.

აღნიშნულ აუქციონებზე ქონების საწყისი ფასი კლებადია და უკანასკნელ, მეორე განმეორებით აუქციონზე ის ნულს შეადგენდა. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ წარმოდგენილი ამონაწერით eAuction.ge-დან და საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის განმარტებით ირკვევა, რომ მოვალის კუთვნილი, 6 284 000 ლარად შეფასებული უძრავი ქონება გატანილ იქნა მეორე განმეორებით აუქციონზე და უძრავი ქონების საწყისი ფასი განისაზღვრა 0.00 ლარით. მართალია, უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე სამჯერ გატანა ადასტურებს ფორმალურად ჯეროვანი ზომის მიღებას ქონების რეალიზაციისათვის, თუმცა ქონების ღირებულებას განსაზღვრავს მისი საბაზრო ფასი და არა ის გარემოება, გაიყიდება თუ არა იგი ორ იძულებით აუქციონზე. ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზებაზე მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორი ახდენს გავლენას. ნივთის შეძენისადმი ინტერესი შესაძლოა იცვლებოდეს დროის კონკრეტული პერიოდების ან სხვა ფაქტორების მიხედვით. შესაძლებელია ქონების აუქციონზე რეალიზება ვერ მოხერხდეს სხვადასხვა მიზეზის გამო, ასეთი შეიძლება იყოს სარეალიზაციო ნივთის მაღალი ღირებულება და სხვა (სუსგ №ბს-881(კ-19), 25.02.2021 წ.). ზოგადად, იძულებითი აუქციონის გამართვა ემსახურება მოვალის მიმართ არსებული კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზანს. ერთი პირის ქონების მეშვეობით მეორე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებისას, სახელმწიფო მოქმედებს როგორც მოთხოვნის აღმსრულებელი და არა უშუალოდ დაინტერესებული მხარე. ასევე, აღსანიშნავია, რომ ორ კერძო პირს შორის ურთიერთობის მოწესრიგებისას სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები შედარებით ფართოა, საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებასთან შედარებით (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16). იძულებითი აუქციონის საწყისი ფასის განსაზღვრით კანონმდებლის მიზანია, შექმნას მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მოვალის საკუთრების უფლების გაუმართლებლად და მომეტებულად შეზღუდვის გარეშე. აღნიშნულის მისაღწევად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ქონების იძულებით აუქციონზე მაქსიმალურად მაღალ ფასად რეალიზაცია. საკასაციო პალატა კვლავ აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლიდან გამომდინარე, სა-

აღსრულებო ბიურო ვალდებულია, დაიცვას გონივრული ბალანსი, ერთი მხრივ, ქონების მესაკუთრის, ხოლო, მეორე მხრივ, კრედიტორის ინტერესებს შორის, რათა არ მოხდეს არც ერთი მხარის უფლებრივი ინტერესის მომეტებულად შეზღუდვა და თუ დავალიანების თანხას მრავალჯერ აღემატება მოვალის ქონების ღირებულება, აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია ლოტებად დაყოს და დავალიანების თანხის პროპორციულად გაიტანოს აუქციონზე უძრავი ქონება ან გამოიყენოს უძრავი ქონების იდეალური წილის რეალიზაციის უფლებამოსილება (პუნქტი 53), რითაც თავიდან აირიდებდა მეორე განმეორებით აუქციონზე მრავალმილიონიანი უძრავი ქონების საწყისი ფასის ნული ლარით განსაზღვრას. აქვე აღსანიშნავია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (რომლის მოქმედება, პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, შეჩერდა სარჩელის წარმოებაში მიღებისთანავე (პუნქტი 4)) ბათილად ცნობის თაობაზე აღძრულ სარჩელზე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანების №1 დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მე-3 წინადადება – „მეორე განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი ფასი შეადგენს ნულ ლარს“, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/2/867 გადაწყვეტილება საქმეზე „რემზი შარაძე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“). საკასაციო სასამართლო აქვე დამატებით მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში ქონებაზე საწყისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას არ იყო გათვალისწინებული გარდამავალი უფლება. ქონების გასხვისებისას ამ ქონებაზე გარდამავალი უფლების არსებობა გულისხმობს გარკვეული სანივთო უფლებით დატვირთვას, რომელიც ამ ნივთის გასხვისების დროსაც კი მიჰყვება მას. მოცემულ შემთხვევაში აღსრულების ბიუროსათვის ცნობილი იყო გარდამავალი უფლების არსებობის შესახებ. საქმეში დაცული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს „ტ-ის საკუთრებაზე“, კერძოდ, 30022.00 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე, საერთო ფართით: 6971.00 კვ.მ 23.12.2013წ. იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე 27.12.2013წ. რეგისტრირებულია იპოთეკა, იპოთეკარი სს „ბაზისბანკი“. მიუხედავად ბანკის 19.12.2016წ. №ა, 19.12/01 წერილისა და 26.01.17წ. განცხადებით, რომელთა თანახმად, შპს „ტ-ს“ საბანკო დავალიანება არ ჰქონ-

და, საჯარო რეესტრში შპს „ტ-ის“ უძრავ ქონებაზე ირიცხებოდა იპოთეკა, რასაც შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა მის რეალიზაციაზე. ამდენად, უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის მახასიათებელი ნიშნები არ იყო სრულად გარკვეული და შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებდა. ცხადია, რომ უძრავ ნივთზე უფლებრივი ნაკლის არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ ნივთის ღირებულების თავისუფალი ბაზრის პირობებში განსაზღვრაზე, ამგვარი უფლებრივი ნაკლის არსებობის პირობებში იკლებს ნივთის ღირებულება, ასეთ პირობებში მაღალია აუქციონზე ქონების რეალიზაციის განუხორციელებლობა (შეადარეთ სუსგ №ბს-881(კ-19), 25.02.2021წ.) და იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28.05.2019წ. №2/2/867 გადაწყვეტილება, §41-46).

66. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანომ არ დაიცვა აღსრულების თანაზომიერების პრინციპი, რაც ქმნის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 28 თებერვლის №841 ბრძანების (შპს „ტ-ის“ საჩივრის უარყოფის ნაწილში), სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების №... სააღსრულებო საქმეზე აუქციონის დანიშვნის შესახებ და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 13 აპრილის №... განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს.

67. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 13 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სადავო აქტების და აღმასრულებლის მოქმედების ბათილად ცნობა, სამართლებრივ საფუძველს აცლის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

68. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს – სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს უნდა დაეკისროს სასარჩელო მოთხოვნაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, მოპა-

სუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საქალაქო, სა-
აპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათ-
ვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 650 (ექვსას ორმოცდაათი)
ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-
წილით, 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სამოქალა-
ქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 411-ე მუხლით,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ტ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 4 ნოემბრის განჩინება და მი-
ღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ტ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუ-
როს თავმჯდომარის 2017 წლის 28 თებერვლის №841 ბრძანება შპს
„ტ-ის“ საჩივრის უარყოფის ნაწილში, სსიპ აღსრულების ეროვნუ-
ლი ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 6 მარტის გადაწყვეტილე-
ბა №... სააღსრულებო საქმეზე აუქციონის დანიშვნის შესახებ, სსიპ
აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუ-
როს აღმასრულებლის 2017 წლის 13 აპრილის №... განკარგულება
და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 13
აპრილის №... გადაწყვეტილება.
5. მოპასუხეს – სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაეკის-
როს შპს „ტ-ი“-ს სასარგებლოდ მის მიერ საქალაქო, სააპელაციო
და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახ-
დილი სახელმწიფო ბაჟის 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარის ანაზ-
ღაურება.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სა-
ბოლოა და არ საჩივრდება.

დავალიანების გადახდევის შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრძანების კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-61(კ-21)

28 სექტემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: დავალიანების გადახდევის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ბ-ემ 2018 წლის 11 სექტემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ დავალიანების გადახდევის შესახებ 2018 წლის 14 აგვისტოს №... ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

სარჩელის მიხედვით, 2015 წლის 14 აპრილს გ. ბ-ესა და შპს „4...ს“ შორის დაიდო სესხის ელექტრონული ხელშეკრულება, რომლის 14.1 პუნქტის თანახმად, გამსესხებელს უფლება ჰქონდა მსესხებლის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სესხის ამოღების მიზნით, ინფორმაცია მიეწოდებინა ამავე პუნქტში მითითებული რამდენიმე კომპანიისთვის, მათ შორის, შპს „კ...ისთვის“. 2017 წლის 20 თებერვალს გაფორმებულ სესხებზე მოთხოვნის უფლების დათმობის თაობაზე შეთანხმებით, შპს „4...მა“ შპს „კ...ს“ დაუთმო მოთხოვნა 2015 წლის 14 აპრილს დადებულ სესხზე, ხოლო ამ უკანასკნელმა 2017 წლის 1 სექტემბერს ამავე სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება დაუთმო შპს „ფ...ს“, რომელმაც მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და დაიწყო გამარტივებული საქმისწარმოება სესხის ამოღების მიზნით, შესაბამისად, გამოიცა დავალიანების გადახდევის შესახებ 2018 წლის 14 აგვისტოს №... ბრძანება. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ 2015 წლის 14 აპრილის ხელშეკრულების 14.1 პუნქტიდან გამომდინარე, ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა შპს „ფ...სთვის“ მოთხოვნის დათმობის შესაძლებლობას, შესაბამისად შპს „ფ...“ არ იყო უფლე-

ბამოსილი მიემართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის, რაც ადასტურებს, რომ სადავო აქტი გამოიცა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით და სახეზეა მისი ბათილად ცნობის წინაპირობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება შპს „ფ...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი დავალიანების გადახდევინების შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 14 აგვისტოს №... ბრძანება.

საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წლის 20 თებერვლის შეთანხმებით შპს „4...მა“ 2015 წლის 14 აპრილის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება დაუთმო შპს „კ...ს“, ხოლო 2017 წლის პირველი სექტემბრის შეთანხმებით შპს „კ...მა“ ამავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება დაუთმო შპს „ფ...ს“. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შპს „4...სა“ (გამსესხებელი) და გ. ბ-ის შორის 2015 წლის 14 აპრილს გაფორმებული სესხის ელექტრონული ხელშეკრულების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსზე, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს სესხის დროულად დაფარვასთან მიმართებაში, გამსესხებელი იტოვებს უპირობო უფლებას, მსესხებლის შესახებ ან/და მსესხებელთან დაკავშირებული გამსესხებლისათვის ცნობილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს შპს „პ...ს“, შპს „მ...ს“, შპს „P...ს“, შპს „ი...ს“, შპს „დ...ს“, შპს „პრ...ს“, შპს „პრო...ს“, შპს „კ...ს“ არსებული დავალიანების ამოღების მიზნებისათვის.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁵ მუხლის მე-3 პუნქტზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ აღსრულების ეროვნულ ბიუროს აპლიკანტის განცხადების და თანდართული დოკუმენტების შინაარსობრივი მხარის შემოწმებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაედგინა, გააჩნდა თუ არა აპლიკანტს წერილობითი მტკიცებულებებით დადასტურებული ფულადი მოთხოვნა რესპონდენტის მიმართ და აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენდა თუ არა ვადამოსულ ფულად ვალდებულებას. ამასთან, სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 199-ე მუხლის პირველ ნაწილზე და

განმარტა, რომ კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს მოთხოვნის დათმობას, თუმცა ადგენს იმ საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც მოთხოვნის დათმობა დაუშვებელია. კერძოდ, მოთხოვნის დათმობა დაუშვებელია, თუ იგი ეწინააღმდეგება კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებულ შეთანხმებას. განსახილველ შემთხვევაში, 2015 წლის 14 აპრილს გაფორმებული სესხის ელექტრონული ხელშეკრულების შინაარსის გაცნობის შემდეგ, სასამართლომ დაასკვნა, რომ ვალდებულების წარმოშობის ეტაპზე მხარეები შეთანხმდნენ მოთხოვნის დათმობის სპეციალურ პირობაზე და ხელშეკრულებით ცალსახად განსაზღვრეს ის სუბიექტები, რომელთა სასარგებლოდაც კრედიტორი უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა მოთხოვნის დათმობა. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ შეთანხმებას გააჩნდა კრედიტორის უფლების შემზღუდველი ძალა და კრედიტორს მოთხოვნის დათმობის შესაძლებლობას მხოლოდ შეთანხმებაში მითითებული სუბიექტების სასარგებლოდ ანიჭებდა. ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შპს „კ...ს“, რომლის მიმართაც შპს „4...ს“ გააჩნდა მოთხოვნის დათმობის შესაძლებლობა, მოთხოვნები და უფლებები გადაეცა ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2015 წლის 14 აპრილის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვა მოთხოვნის დათმობასთან დაკავშირებით, ასევე ვრცელდებოდა შპს „კ...ზე“ და ვინაიდან მხარეთა შეთანხმება შპს „ფ...სთვის“ მოთხოვნის დათმობის შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა, არ არსებობდა აღნიშნული სუბიექტისთვის მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, შპს „ფ...ს“ მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით მისი მოთხოვნის უფლება გ. ბ-ეის მიმართ წერილობითი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა, შესაბამისად, მოპასუხის მიერ დარღვეულ იქნა აპელიკანტის განცხადების შინაარსობრივი მხარის შემონმების ვალდებულება, გ. ბ-ეის მიმართ მიმდინარე გამარტივებული წარმოების პროცესში ადგილი ჰქონდა არსებითი ხასიათის პროცედურის დარღვევას და ამ დარღვევების გათვალისწინებით მოპასუხე არ იყო უფლებამოსილი, გამოეცა ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ, შესაბამისად, სარჩელი სასამართლომ დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2020 წლის 30 ივნისის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2018 წლის 14 აგვისტოს №... ბრძანების გამოცემისას დარღვეული იყო როგორც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁵ მუხლის, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები.

სააპელაციო პალატამ მიუთითა შპს „4...სა“ (გამსესხებელი) და გ. ბ-ეს შორის 2015 წლის 14 აპრილს გაფორმებული სესხის ელექტრონული ხელშეკრულების 12.1 პუნქტზე, რომლის მიხედვით, გამსესხებელი უფლებამოსილია, მსესხებლის თანხმობის გარეშე, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს, ხოლო ხელშეკრულების 14.1 პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს სესხის დროულად დაფარვასთან მიმართებაში, გამსესხებელი იტოვებს უპირობო უფლებას, მსესხებლის შესახებ ან/და მსესხებელთან დაკავშირებული გამსესხებლისათვის ცნობილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს შპს „პ...ს“, შპს „მ...ს“, შპს „P...-ს“, შპს „ი...ს“, შპს „დ...ს“, შპს „პრ...ს“, შპს „პრო...ს“, შპს „კ...ს“ არსებული დავალიანების ამოღების მიზნებისათვის. მითითებული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მოთხოვნის უფლების დათმობის თაობაზე ხელშეკრულების მე-12 მუხლთან დაკავშირებით და განმარტა, რომ აღნიშნული მუხლი (12) ზოგადად უთითებდა უფლებამონაცვლეობაზე, ხოლო მე-14 მუხლში დაკონკრეტებული იყო, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში ვის შეიძლება გადასცემოდა მსესხებლის შესახებ არსებული ინფორმაცია დავალიანების ამოღების მიზნებისათვის. პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ უფლების დათმობა მოხდა მსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემდეგ აღნიშნული დავალიანების ამოღების მიზნით და აღნიშნულ შემთხვევაზე ხელშეკრულების მე-12 მუხლის გავრცელება ეწინააღმდეგებოდა კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებულ შეთანხმებას, ამდენად, შპს

„ფ...ს“ მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით მისი მოთხოვნის უფლება გ. ბ-ის მიმართ წერილობითი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა, შესაბამისად, არ არსებობდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ შპს „ფ...ს“ განცხადების საფუძველზე გამარტივებული წარმოების დაწყების კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობდა 2018 წლის 14 აგვისტოს №... ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. ბრძანება გამოიცა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91², 91⁴, 91⁵ მუხლებისა და 91⁷ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისად, აქტის გამოცემისას ადგილი არ ჰქონია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის დარღვევას.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად განმარტა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-14 მუხლის მიზანი და არსი, როდესაც მიუთითა, რომ მხარეები ამ მუხლით მოთხოვნის დათმობის სპეციალურ პირობაზე შეთანხმდნენ და აღნიშნული მუხლის გათვალისწინებით შეზღუდვა მოთხოვნის დათმობასთან დაკავშირებით ასევე ვრცელდებოდა შპს „კ...ზე“. დასახელებულ მუხლში აღნიშნულია, რომ თუ მსესხებელი დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს სესხის დროულად დაფარვასთან მიმართებაში, გამსესხებელი იტოვებს უპირობო უფლებებს, მსესხებლის შესახებ გასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია (პერსონალური ინფორმაცია) ზემოაღნიშნულ კომპანიებზე არსებული დავალიანების ამოღების მიზნით, რაც, კასატორის მოსაზრებით, არ გულისხმობს მოთხოვნის უფლების დათმობის შეზღუდვას და ვერ მიიჩნევა კრედიტორის უფლებამოსილების შემზღუდველ ნორმად, არამედ ადგენს კრედიტორის ცალმხრივ უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მისი სურვილისამებრ, დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად, მიმართოს კონკრეტულ სუბიექტებს. ამავედროულად, კასატორი აღნიშნავს, რომ უფლებამონაცვლებასთან მიმართებაში მოქმედებს ხელშეკრულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც კრედიტორის უფლებისა და მოთხოვნების ნებისმიერი სხვა პირისათვის გადაცემის უფლებამოსილებას ითვალისწინებს და არანაირი „შეზღუდვა“ მესამე პირის სუბი-

ექტთან მიმართებაში გათვალისწინებული არ ყოფილა; კერძოდ, აღნიშნული მუხლის მიხედვით, გამსესხებელი უფლებამოსილი იყო, მსესხებლის თანხმობის გარეშე, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცა სხვა პირისათვის. დასახელებული მუხლით გაჟღერებული მხარეთა ნების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, შპს „კ...ი“ არ იყო შეზღუდული მოთხოვნის უფლება დაეთმო შპს „ფ...სათვის“. აქედან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ ხელშეკრულებაში გამოხატული მხარეთა ნება ცალსახად მოსარჩელის სასარგებლოდ განმარტა და გადაწყვეტილება მიიღო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც არ შეუფასებია და არ განუხილავს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. სადავო ბრძანების, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს არ დაურღვევია მისი გამოცემისათვის დადგენილი წესები, რის გამოც არ არსებობდა აქტის ბათილად ცნობის ფორმალური და მატერიალური საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივნისის 3გ/574-19 განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სარჩელის უარყოფას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 მაისის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად. საკასაციო საჩივარი განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივნისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება გ. ბ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის XVII თავი ითვალისწინებს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს „სპეციალური წარმოების“, კერ-

ძოდ, გამარტივებული წარმოებისთვის დადგენილ მოწესრიგებას და ამავე კანონის 91², 91³ მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, აღნიშნული წარმოება გამოიყენება ვადამოსულ ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებულ საქმეებზე დოკუმენტურად დადასტურებული მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში. განსახილველ საქმეზე სადავოა სწორედ დავალიანების გადახდევინების შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 14 აგვისტოს №... ბრძანების კანონიერება.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁵ მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო აპლიკანტის მოთხოვნის უფლების შემოწმებისას ეყრდნობა მხოლოდ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებასა და თანდართულ წერილობით მტკიცებულებებში არსებულ მონაცემებს.

აღსანიშნავია, რომ ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წარმოება თავისი არსით აპლიკანტისთვის (კრედიტორი) პროცედურის გამარტივებას ისახავს მიზნად და აღსრულების პროცედურის ეკონომიურობასა და ეფექტურობაში ვლინდება, თუმცა მატერიალური თვალსაზრისით, ამგვარი წარმოების ფარგლებში მოთხოვნის უფლების შემოწმებას არსებითი დატვირთვა გააჩნია და მოიცავს როგორც აპლიკანტის მიერ ვალდებულების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, გულდასმით გამოიკვლიოს აპლიკანტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, პირველ რიგში კი, ყურადღება უნდა მიექცეს სახეზეა თუ არა ვადამოსული ფულადი ვალდებულება და დოკუმენტურად ადასტურებს თუ არა აპლიკანტი რესპონდენტის მიმართ მოთხოვნის უფლებას. „გამარტივებული წარმოების ფარგლებში განცხადების წარდგენისას არ ხდება სააღსრულებო ფურცლის, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს აქტის თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტის წარდგენა, რომელიც სათანადო ორგანოს მიერ გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა კონკრეტული გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად მიქცევის წინაპირობები. გამარტივებული წარმოების ფარგლებში მხარე წარადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ გააჩნია ვადამოსული ფულადი მოთხოვნა. ამდენად, ასეთი წარმოებისას მოთხოვნის არსებობა ადმინისტრაციულ თუ სასამართლო ორგანოთა მიერ გაცემული, ოფიციალური დოკუმენტით კი არ დგინდება, არამედ კერძო პირთა მიერ წარდგენილი ინფორმაციით (სუსგ 18.07.2018წ. საქმეზე №ბს-686(2კ-19)).

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „ფ...მ“ 2018 წლის 6 ივლისს დავალიანების გადახდევინების შესახებ №SP180711080/111080 განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს გ. ბ-ის მიმართ და მოითხოვა 2015 წლის 14 აპრილს შპს „4...სა“ და გ. ბ-ეს შორის დადებული სესხის ელექტრონული ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება. საქმის მასალებით ისიც დასტურდება, რომ გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ 2018 წლის 20 ივლისის №SP180711080/458906 შეტყობინებით, აპლიკანტის – შპს „ფ...ს“ მოთხოვნა გ. ბ-ის მიმართ შეადგენდა 2140.42 ლარს. სადავო არაა ის გარემოება, რომ 2018 წლის 20 ივლისის გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ №SP180711080/458906 შეტყობინებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁷ მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, რესპონდენტ გ. ბ-ეს ეცნობა 2018 წლის 06 ივლისს აღსრულების ეროვნულ ბიუროში დაწყებული გამარტივებული წარმოების თაობაზე, რაც მოსარჩელეს პირადად ჩაჰბარდა 2018 წლის 28 ივლისს. იმის გათვალისწინებით, რომ ჩაბარების დღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გ. ბ-ეს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁷ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოქმედებათაგან არც ერთი განუხორციელებია, მათ შორის, არ გამოუყენებია უფლება, წარედგინა წერილობითი პროტესტი აპლიკანტის მოთხოვნის წინააღმდეგ (თუ არ ეთანხმებოდა მოთხოვნას), აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 2018 წლის 14 აგვისტოს გამოსცა №... გასაჩივრებული ბრძანება, რომლითაც მოსარჩელეს დაეკისრა დავალიანების გადახდა 2140.42 ლარის ოდენობით შპს „ფ...ს“ მიმართ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „ფ...მ“ მოთხოვნის დასასაბუთებლად აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგინა 2015 წლის 14 აპრილის სესხის ელექტრონული ხელშეკრულება, 2017 წლის 20 თებერვლისა და ამავე წლის 1 სექტემბრის მოთხოვნის დათმობის შესახებ შეთანხმებები, რაც სააპელაციო პალატამ არ მიიჩნია მოთხოვნის უფლების დამადასტურებელ მტკიცებულებებად, იმ დასაბუთებით, რომ ვალდებულების წარმოშობის ეტაპზე მხარეები შეთანხმებული იყვნენ მოთხოვნის დათმობის სპეციალურ პირობაზე და ხელშეკრულებით ცალსახად განსაზღვრული ჰქონდათ ის სუბიექტები, რომელთა სასარგებლოდაც კრედიტორი უფლებამოსილი იყო განუხორციელებინა მოთხოვნის დათმობა, რომელთა ჩამონათვალი შპს „ფ...“ არ ფიქსირდებოდა, შესაბამისად, არ არსებობდა აღნიშნული სუბიექტისთვის მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი საფუძველი.

საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ 2015 წლის 14 აპრილს შპს „4...სა“ (გამსესხებელი) და გ. ბ-ეს (მსესხებელი) შორის გაფორმებული სესხის ელექტრონული ხელშეკრულების საფუძველზეც გამსესხებელმა მსესხებელს გადასცა 650 ლარი 30 დღის ვადით, რაც ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი არ ყოფილა. ამავე ხელშეკრულებით, განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები, მათ შორის, ხელშეკრულების მე-12 მუხლის (უფლებამონაცვლება) თანახმად, გამსესხებელი უფლებამოსილი იყო, მსესხებლის თანხმობის გარეშე ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები დაეთმო მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისათვის, ხოლო მსესხებელი, გამსესხებლის წერილობითი თანხმობის გარეშე არ იყო უფლებამოსილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები გადაეცა ან ვალდებულებები გადაეკისრებინა სხვა პირისათვის. ამავე მუხლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა გავრცელდა ორივე მხარის უფლებამონაცვლებზე.

მითითებული ხელშეკრულების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს სესხის დროულად დაფარვასთან მიმართებაში, გამსესხებელი იტოვებს უპირობო უფლებას, მსესხებლის შესახებ ან/და მსესხებელთან დაკავშირებული გამსესხებლისათვის ცნობილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს შპს „პ...ს“, შპს „მ...ს“, შპს „P...ს“, შპს „ი...ს“, შპს „დ...ს“, შპს „პრ...ს“, შპს „პრო...ს“, შპს „კ...ს“ არსებული დავალიანების ამოღების მიზნებისათვის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ. ამავე კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). მოვალესთან შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მოვალის პატივსაღები ინტერესი. ამრიგად, სამოქალაქო სამართალში მოქმედი სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოთხოვნის მფლობელის მიერ მისი განკარგვა და ზოგადი წესის მიხედვით მოვალის თან-

ხმოზა ამისთვის კრედიტორს არ ესაჭიროება, რადგან „მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება ინვევს კრედიტორის, როგორც უფლებამოსილი პირის ცვლილებას და არა მოთხოვნის შინაარსის ცვლილებას. მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი საფუძველი შესაძლებელია იყოს ნასყიდობა, ჩუქება ან მხარეთა შორის ნებისმიერი შეთანხმება“ (ლ. თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; ნიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, გვ. 182, თბილისი, 2018 წ.).

ზოგადი წესისგან არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, რადროსაც შესაძლებელია, მოთხოვნის დათმობის დაუშვებლობა გამომდინარეობდეს ვალდებულების არსიდან, კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმებიდან, ან კანონიდან. „მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევებში თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს მესამე პირი. დასახელებული ნორმა ადგენს მოთხოვნის დათმობის ნამდვილობის კრიტერიუმებს და მის გამომრიცხველ გარემოებად მიიჩნევა შემდეგი: მოთხოვნის დათმობა ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს; გარიგება ეწინააღმდეგება კანონს; ცედეტისა (მოთხოვნის მფლობელის) და ცესიონერის (მოთხოვნის მიმღების) ნება ეწინააღმდეგება მოთხოვნის თავდაპირველი მფლობელისა და მოვალის შეთანხმებას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, შეთანხმება ნამდვილია, თუკი არსებობს მოვალის პატივისადები ინტერესი“ (სუსგ 16.09.2016წ. საქმეზე №ას-683-654-2016). მნიშვნელოვანია, რომ კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმებით, მოვალის პატივისადები ინტერესით მოთხოვნის დათმობის შეზღუდვისას, აუცილებელია დასტურდებოდეს ამგვარი ინტერესის არსებობა, რაც მისი სადავოობისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს.

ზემოაღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ 2015 წლის 14 აპრილს შპს „4...სა“ და გ. ბ-ეს შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულების მე-12 მუხლით განსაზღვრული პირობა წარმოადგენს მოთხოვნის დათმობის შესახებ შეთანხმებას, რაც ექცევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლით დადგენილი რეგულაციის ფარგლებში.

რაც შეეხება არსებული დავალიანების ამოღების მიზნებისათვის გამსესხებლის მიერ კონკრეტულ პირებზე მსესხებელთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის შესახებ მხარეთა შეთანხმების საკითხს (ხელშეკრულების 14.1 მუხლი), საკასაციო პალატა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზების, მათ შორის, მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გამოხატული ნების გონივრული და ობიექტური განსჯის შედეგად მიიჩნევს, რომ

ამგვარი შეთანხმება ექცევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის ფარგლებში, რომლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხელშეკრულების 14.1 მუხლში არსებული შეთანხმება ემსახურება პრობლემური აქტივების ეფექტურად მართვის მიზანს და არ წარმოადგენს ხელშეკრულების მე-12 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის დათმობის შესახებ შეთანხმების შემზღუდავ ჩანაწერს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების მე-12 მუხლით არსებული მხარეთა შეთანხმება უფლებამონაცვლეობაზე ამავე ხელშეკრულების 14.1 მუხლით არსებული შეთანხმებისაგან დამოუკიდებელ პირობას წარმოადგენს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მოთხოვნის დათმობის შემზღუდველ გარემოებასთან დაკავშირებით ენინააღმდეგება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნამდვილ შინაარსს. ამდენად ცალსახაა, რომ შპს „ფ...ს“ გ. ბ-ეის მიმართ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნა, მისი ზუსტი აღნიშვნითა და მოვალის იდენტიფიცირებით, შეძენილი აქვს 2017 წლის 1 სექტემბერს შპს „კ...თან“ დადებული შეთანხმებით და მხარეთა შეთანხმება მოთხოვნის დათმობის საგანზე არ იძლევა გამოვლენილი ნების სხვაგვარად განმარტების შესაძლებლობას.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ფ...ს“ გააჩნდა დოკუმენტურად დადასტურებული მოთხოვნის უფლება რესპონდენტის მიმართ, ამასთან, მოსარჩელის მიერ არ წარდგენილა წერილობითი პროტესტი აპლიკანტის მოთხოვნის წინააღმდეგ, რაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁴, 91⁵, 91⁹ მუხლების შინაარსის შესაბამისად, ქმნიდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამარტივებული წარმოების დაწყების საფუძველს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა შორის სადავო არ არის გამარტივებული წარმოებისათვის დადგენილი პროცედურული მოთხოვნების დარღვევა, რაც ასევე გამორიცხავს სადავოდ ქცეული დავალიანების გადახდევინების შესახებ 2018 წლის 14 აგვისტოს №... ბრძანების ბათილობის ფაქტობრივი ან სამართლებრივი წინაპირობების არსებობას. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტი-

ლება გ. ბ-ეის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალი გადაწყვეტილება, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ვინაიდან, მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებით მიღებულია ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი – ჯამში 450 (150+300) ლარის ოდენობით, მისი გადახდა უნდა დაეკისროს მოსარჩელე გ. ბ-ეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. ბ-ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. გ. ბ-ეს (პ/ნ...) სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს (ს/6205263873) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სარჩელის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის ღონისძიების – გირავნობის მონეშების მოქმედების შეჩერების გამოყენებაზე შარის თქმის კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-648(უს-22)

20 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-
მოყენება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. გ-მა 2017 წლის 27 ოქტომბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მო-
პასუხეების – სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მის საკუთ-
რებაში არსებულ შემდეგ ავტომანქანებზე: „...“, სახელმწიფო ნომ-
რით ..., „...“, სახელმწიფო ნომრით ..., „...“, სახელმწიფო ნომრით ...
და „...“, სახელმწიფო ნომრით ..., სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 12 სექტემბრის №...,
№..., №... და №... გირავნობის მონეშების ბათილად ცნობა, მათი
რეგისტრაცია მოსარჩელის სახელზე უფლებრივად უნაკლო მდგო-
მარეობაში და სახელმწიფოსთვის სადავო მანქანების გადაცემის
დროს გირავნობის უფლების არარსებობის აღიარება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2017 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, მოცემული
ადმინისტრაციული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგ-
ზავენა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2018 წლის 16 თებერვლის განჩინებით, საქართვე-
ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-

2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ სს „... ბანკი“ და შპს „...“.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით ს. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. გ-მა. აპელანტმა 2019 წლის 22 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარადგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, ასევე იშუამდგომლა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 18 სექტემბრის №..., №..., №..., №... გირავნობის მოწმობების მოქმედების შეჩერების თაობაზე. ამასთანავე, მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საკუთრების უფლება არის აღიარებული და დაცული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ივლისის განჩინებით, ს. გ-ის შუამდგომლობა, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 18 სექტემბრის №..., №..., №..., №... გირავნობის მოწმობების მოქმედების შეჩერების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ს. გ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 3 სექტემბრის განჩინებით კერძო საჩივარზე დადგინდა ხარვეზი, რომლითაც საჩივრის ავტორს მოთხოვნის დაზუსტება დაევალა. მასვე მიეთითა, დაეზუსტებინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ივლისის განჩინებას კერძო საჩივრით ასაჩივრებდა თუ საჩივრით. 2022 წლის 13 მაისს ს. გ-მა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და წარადგინა დაზუსტებული საჩივარი.

საჩივრის თანახმად, ეჭვქვეშ დგება გირავნობის რეგისტრაციის ფაქტის კანონიერება, რის გამოც, წინასწარ, სანამ სასამართლოს სამივე ინსტანციაში არ დასრულდება საქმის წარმოება, არ შეიძლება სასამართლომ უტყუარად მიიჩნიოს გირავნობის უფლების არსებობა და სწორედ ამიტომ უნდა მოხდეს ადმინისტრაციული აქტის კანონიერების შემოწმებამდე სადავო ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შედეგად მოსალოდნელი ზიანის მიყენების ფაქტის თავიდან არიდება, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული საბოლოო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, უზრუნ-

ველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით, მოსარჩელისთვის შემდგომში შეუძლებელი იქნება დარღვეულ უფლებებში აღდგენა და მისი ხელყოფილი ქონების დაბრუნება.

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით დადგენილ პირობებს, ვინაიდან შეიცავს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გირავნობის მონაშთების შეჩერების შემთხვევაში, დაცული იქნება ორივე მხარის ინტერესი – სს „... ბანკის“ მოთხოვნის აღსრულება გადავადდება მხოლოდ გარკვეული ვადით, ხოლო მოსარჩელეს მიეცემა მისი უფლებების დაცვისა და პოზიციის დასაბუთების შესაძლებლობა. საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კი, აღსრულება კვლავ გაგრძელდება და კრედიტორის – სს „... ბანკის“ ინტერესები ამით არ შეილახება, ხოლო სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისას სს „... ბანკის“ მოთხოვნის აღსრულება გარანტირებული იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორმა გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებლად მიიჩნია, რის გამოც მისი გაუქმება და საჩივრის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 მაისის განჩინებით ს. გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადმოეგზავნა ზემდგომ – საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება ემსახურება დავის საგნის დაცვას იმ მიზნით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდეს დაუბრკოლებლად. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას სასამართლო გამოიყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი შეძლებს დაამტკიცოს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა რატომ გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ასევე

უნდა დაასაბუთოს ამ ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე სასამართლოს უნდა გააჩნდეს ვარაუდი, რომ სარჩელი, შე-საძლოა, დაკმაყოფილდეს. განსახილველ შემთხვევაში განმცხა-დებელი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ითხოვს მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამ-დე სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახუ-რების სააგენტოს 2017 წლის 18 სექტემბრის №..., №..., №..., №... გირავნობის მოწმობების მოქმედების შეჩერებას. ოთხივე შემთხვე-ვაში გირავნობის საგანია ავტომობილი, მოგირავნე – სს „... ბანკი“, დამგირავებელი – შპს „...“. გირავნობის საფუძვლებია გირავნო-ბის ხელშეკრულებები.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გირავნობის მოწ-მობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც დასტურ-დება სააგენტოში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხ-ლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ მექანიკურ სატრანსპორტო სა-შუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციის ფაქტი. სააგენ-ტოში მოგირავნის მიერ გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნის მართლზომიერებაზე პასუხისმგებელია თვითონ მოგირავნე და არა გირავნობის მოწმობის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო. ამასთან, გირავნობის მოწმობა ანუ გირავნობის უფლების რეგის-ტრაციის ფაქტი, მოგირავნეს უფლებას აძლევს, საქართველოს კა-ნონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას, დაიწყოს სააღსრულებო წარმოება და მოითხოვოს გირავნობით უზრუნველ-ყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართვე-ლოს კანონით დადგენილი წესით. ამასთან, გირავნობის მოწმობის გასაჩივრება არ იწვევს მისი აღსრულების შეჩერებას, ხოლო გი-რავნობის მოწმობის მოქმედების შეჩერება, იმავდროულად გამო-იწვევს აღსრულების ქვემდებარე აქტით (გირავნობის მოწმობის) გათვალისწინებული აღსრულების შეჩერებას. სასამართლოს მიერ აღსრულების შეჩერება, შეჩერების ვადები იმპერატიულადაა დად-გენილი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კა-ნონის 36-ე მუხლით.

სააპელაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-გიის 2017 წლის 7 ნოემბრის განჩინება, რომლითაც მოსარჩელე ს. გ-ის შუამდგომლობა, საქმის დასრულებამდე აღსრულების შეჩე-რების თაობაზე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამო-ყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა, მხარის მიერ სადავოდ არ არის გამხდარი. სააპელაციო პალატა, დასახელებული გარემოებების

მხედველობაში მიღების შედეგად მიაჩნევს, რომ ს. გ-ის შუამდგომლობა სსიპ გირავნობის მონმობების მოქმედების შეჩერების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ, სათანადო ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების არარსებობის გამო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია აგრეთვე წარმოდგენილი საჩივარი, შესაბამისად, არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ივლისის განჩინების გაუქმებისა და მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. გ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად კი, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში წარდგენილი საჩივრით სადავოდ არის გამხდარი უზრუნველყოფის ღონისძიების – გირავნობის მონმობების მოქმედების შეჩერების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერება. აღსანიშნავია, რომ სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავი (სარჩელის უზრუნველყოფა). ამდენად, აღსრულების უზრუნველყოფა ხორციელდება სარჩელის უზრუნველყოფისთვის დადგენილი წესით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამარ-

თლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადანყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სარჩელის უზრუნველყოფა გადანყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებას მოპასუხისათვის რაიმე მოქმედების განხორციელების შეზღუდვის გზით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია გადანყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, შესაბამისად, მისი გამოყენება მიმართული უნდა იყოს გადანყვეტილების აღსრულების გაძნელების ან მისი შეუძლებლობის თავიდან აცილებისაკენ მხოლოდ დავის საგანთან დაკავშირებით და არსებული მდგომარეობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთნაირად იცავს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესებს, ანუ მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხდება მოპასუხის ინტერესების გაუთვალისწინებლად. სწორედ აღნიშნული პრინციპი უდევს საფუძვლად იმ გარემოებას, როცა კანონმდებელი უშვებს სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და არა მის სავალდებულობას.

განსახილველ შემთხვევაში ს. გ-ის მიერ სარჩელი აღძრულია მოპასუხეების – სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიმართ, საჩივრის ავტორის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანებზე („...“, სახელმწიფო ნომრით ..., „...“, სახელმწიფო ნომრით ..., „...“, სახელმწიფო ნომრით ... და „...“, სახელმწიფო ნომრით ...) სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 12 სექტემბრის №..., №..., №... და №... გირავნობის მოწმობების ბათილად ცნობის, მოსარჩელის სახელზე უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში მათი რეგისტრაციისა და სახელმწიფოსთვის სადავო მანქანების გადაცემის დროს

გირავნობის უფლების არარსებობის აღიარების მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ს. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ №..., №..., №... და №... გირავნობის მოწმობების გაცემის საფუძველს წარმოადგენდა მოგირავნე – სს „... ბანკსა“ და დამგირავებელ – შპს „...ს“ შორის გაფორმებული 2013 წლის 10 იანვრის №..., 2015 წლის 26 ივნისის №..., 2013 წლის 30 ოქტომბრის №... და 2014 წლის 29 იანვრის №... გირავნობის ხელშეკრულებები. საგულისხმოა, რომ მითითებული გირავნობის ხელშეკრულებები ნამდვილია და იგი სადავოდ არაა გამხდარი მხარეების მიერ. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ, ავტომატურად: „...-ის“, „...-ის“, „...-ისა“ და „...-ის“ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის პირობებში, მათ აღწერილობებში მითითებულია, რომ ავტომატურად აქვთ გირავნობა სს „... ბანკის“ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე – ს. გ-ისთვის ცნობილი იყო ავტომატურად მიმართ ვალდებულების არსებობის ფაქტი. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის 15 აგვისტოს („...“, „...“ და „...“ ავტომატურად მიმართ) და 2017 წლის 4 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტებითაც დასტურდება ავტომატურად არსებული გირავნობა. მიღება-ჩაბარების აქტები კი ხელმოწერილია მხარეების მიერ.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის საფუძველზე, განცხადებით ითხოვს მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სადავო გირავნობის მოწმობების მოქმედების შეჩერებას. სააპელაციო სასამართლოს მიერ განმცხადებლის მოთხოვნაზე უარის თქმის ძირითადი საფუძველი კი გახდა ის გარემოება, რომ სააგენტოში მოგირავნის მიერ გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნის მართლზომიერებაზე პასუხისმგებელია თვითონ მოგირავნე და არა გირავნობის მოწმობის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო. ამასთან, გირავნობის მოწმობა ანუ გირავნობის უფლების რეგისტრაციის ფაქტი, მოგირავნეს უფლებას აძლევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისა და დაინყოს სააღსრულებო წარმოება და მოითხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას განმცხადებლის მოთხოვნის უსაფუძვლობასთან დაკავ-

შირებით და ზემოთ მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად მიიჩნევს, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც დასტურდება სააგენტოში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258.4. მუხლით განსაზღვრულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციის ფაქტი. სააგენტოში მოგირავნის მიერ გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნის მართლზომიერებაზე პასუხისმგებელია თვითონ მოგირავნე და არა გირავნობის მოწმობის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო. ამასთან, გირავნობის მოწმობა ანუ გირავნობის უფლების რეგისტრაციის ფაქტი, მოგირავნეს უფლებას აძლევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას დაიწყოს სააღსრულებო წარმოება და მოითხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამასთან, გირავნობის მოწმობის გასაჩივრება არ იწვევს მისი აღსრულების შეჩერებას, გირავნობის მოწმობის მოქმედების შეჩერება კი, იმავდროულად გამოიწვევს აღსრულების ქვემდებარე აქტით (გირავნობის მოწმობის) გათვალისწინებული აღსრულების შეჩერებას, ხოლო სასამართლოს მიერ აღსრულების შეჩერება და შეჩერების ვადები იმპერატიულადაა დადგენილი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით.

დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორი – ს. გ-ი არ უთითებს არც ერთ კონკრეტულ გარემოებაზე, რაც საფუძვლად დაედება მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და დაადასტურებს გასაჩივრებულ განჩინებაში ასახული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის არამართლზომიერებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარი დასაბუთებულია. დასტურდება, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობა, ასევე არ არსებობს გარემოებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო სასამართლო დამატებით ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამსახურში 2017 წლის 7 ნოემბრის განჩინებით, მოსარჩელე ს. გ-ის შუამდგომლობა (საქმის დასრულებამდე აღსრულების შეჩე-

რების თაობაზე) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამო-
ყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც განსახილველ შემთხვე-
ვაში სადავოდ არ არის გამხდარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო
ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას და მიიჩნევს, რომ ს. გ-
ის საჩივარი მართებულიად არ დაკმაყოფილდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-
წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე,
197¹, 198-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ს. გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2019 წლის 24 ივლისისა და ამავე სასამართლოს 2022
წლის 27 მაისის განჩინებები დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შეჩერების გამოყენების წინაპირობები

განმინება

საქართველოს სახელმწიფო

№ბს-684(3კ-3კს-უს-22)

16 აგვისტო, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ა. ნულაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას 2017 წლის 30 ნოემბერს სარჩელით მიმართა ლ.ქ-ას, ლუ.ქ-ას, მ. მ-ას, ვ. ჯ-ას, ლა.ქ-ას, თ. მ-ას, მ. ს-ას, მა. მ-ას, გ. გ-ას, ვ. გ-ას, მ. გ-ას, ნ. ს-ას, მ. ფ-ას, ვ. ა-ას, ლ. მ-ას, გ. ს-ას, ს. ა-ას, ჟ. ს-ას, ზ. კ-ას, მ. კ-ას, ა. კ-ას, მე. კ-სა და გ. ს-ას წარმომადგენელმა, მოპასუხე სს „...ის“, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა, აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ მოითხოვეს: მოპასუხეებისათვის, მარჩენალდაკარგული არასრულწლოვანი მოსარჩელების – ლ.ქ-ას, ლუ.ქ-ას და ა.კ-ას სასარგებლოდ, მამის გარდაცვალების გამო, ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების დაკისრება, 2015 წლის 2 იანვრიდან, სრულწლოვანებამდე, თითოეულისათვის ყოველთვიურად 2000 – 2000 ლარის ოდენობით; მოპასუხეებისათვის, მ. მ-ას სასარგებლოდ – 3 000 ლარის, ვ. (ვა) გ-ას სასარგებლოდ 3000 ლარის, გ. გ-ას სასარგებლოდ – 3 000 ლარის, გ. ს-ას სასარგებლოდ – 3 000 ლარის, ვ. ჯ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, ლ. მ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, მ. ს-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, მა. მ-ას სასარგებლოდ – 500 ლარის, მ. გ-ას სასარგებლოდ – 500 ლარის, ნ. ს-ას სასარგებლოდ – 500 ლარის ოდენობით სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის გამო, ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება. მოპასუხე მხარისათვის, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციით გამოწვეული შემთხვევის გამო, ადამიანის გარდაცვალებით მიყენე-

ბული მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, მოსარჩელეების – თ. მ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, ლ. ქ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, ლუ. ქ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, მ. მ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, ვ. ჯ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, ლა. ქ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, მ. ს-ას სასარგებლოდ – 500 ლარის, ნ. ს-ას სასარგებლოდ – 500 ლარის, ჟ. ს-ას (უფლებამონაცვლე გ.ს-ა) სასარგებლოდ – 500 ლარის, გ.ს-ას სასარგებლოდ – 500 ლარის, ა.კ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, მ.კ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, გ.ს-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის ოდენობით, ზ.კ-ა სასარგებლოდ – 1 000 ლარის, მე.კ-ს უფლებამონაცვლეების მ.კ-ას და ზ.კ-ას სასარგებლოდ 1 000 ლარის ოდენობით. სს „ს...ს“, საავტომობილო გზების დეპარტამენტს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დასახიჩრების ან/და ჯანმრთელობის მოშლით მიყენებული მატერიალური ზიანის/მკურნალობისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება მ. მ-ას სასარგებლოდ 21 394,0 ლარის ოდენობით. მოპასუხეებისათვის გარდაცვლილი პირების, ლა.ქ-ას, ზ.კ-ას და ბ.ს-ას დაკრძალვისათვის განეული ხარჯების ანაზღაურება მ. მ-ას, ვ. ჯ-ას და ლა.ქ-ას სასარგებლოდ – 5 000 ლარის ოდენობით, გ.ს-ას, ზ.კ-ას და მე.კ-ს სასარგებლოდ – 5 000 ლარის ოდენობით; ჟ., გ., მ. და ნ. ს-ების სასარგებლოდ – 5 000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ლ.ქ-ას, ლუ.ქ-ას, მ. მ-ას, ვ. ჯ-ას, ლა.ქ-ას, თ. მ-ას, მ.ს-ას, მა. მ-ას, გ.გ-ას, ვ.გ-ას, მ. გ-ას, გ.ს-ას, ზ.კ-ას, მ.კ-ას, ა.კ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეებს (სს „...ს“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიას) სოლიდარულად დაევალებათ მარჩენალდაკარგული არასრულწლოვანი მოსარჩელების – ლ.ქ-ას, ლუ.ქ-ას და ა.კ-ას სასარგებლოდ, მამის გარდაცვალების გამო ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურება, 2015 წლის 2 იანვრიდან, სრულწლოვანებამდე, თითოეულისათვის ყოველთვიურად 600-600 ლარის ოდენობით; მოპასუხეებს – სს „...ს“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიას, სოლიდარულად დაევალებათ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის გამო, ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება მოსარჩელების – ლ.ქ-ას სასარგებლოდ – 5 000 ლარის, ლუ.ქ-ას სასარგებლოდ – 5 000 ლარის, მ. მ-ას სასარგებლოდ – 25 000 ლარის, ვ.ჯ-ას სასარგებლოდ – 7 000 ლარის, თ. მ-ას სასარგებლოდ – 7 000 ლარის, მ.ს-ას სასარგებლოდ – 3 000 ლარის, მა. მ-ას სასარგებლოდ – 5 000

ლარის, გ.გ-ას სასარგებლოდ – 7 000 ლარის, ვ.გ-ას სასარგებლოდ 7 000 ლარის, მ.გ-ას სასარგებლოდ – 7 000 ლარის, გ.ს-ას სასარგებლოდ – 7 000 ლარის ოდენობით; მოპასუხეებს – სს „...ას“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიას, სოლიდარულად დაევაღათ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის გამო, ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება მოსარჩელების – ლ.ქ-ას სასარგებლოდ – 2 000 ლარის, ლუ.ქ-ას სასარგებლოდ – 2 000 ლარის, მ. მ-ას სასარგებლოდ – 25 000 ლარის, ვ.ჯ-ას სასარგებლოდ – 25 000 ლარის, თ. მ-ას სასარგებლოდ – 7 000 ლარის, მ.ს-ას სასარგებლოდ – 3 000 ლარის, მა. მ-ას სასარგებლოდ – 3 000 ლარის, გ. გ-ას სასარგებლოდ – 3 000 ლარის, ვ. გ-ას სასარგებლოდ 7 000 ლარის, მ. გ-ას სასარგებლოდ – 7 000 ლარის, გ.ს-ას სასარგებლოდ – 7 000 ლარის ოდენობით; მოპასუხეებს – სს „...ას“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიას, სოლიდარულად დაევაღათ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის გამო, გარდაცვლილი პირების დაკრძალვისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება მ. მ-ას, ვ. ჯ-ას და ლა. ქ-ას სასარგებლოდ – 10 000 ლარის, გ.ს-ას და ზ.კ-ას სასარგებლოდ – 10 000 ლარის და მ.ს-ას სასარგებლოდ – 10 000 ლარის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, მოსარჩელებმა – ლ.ქ-ამ, ლუ.ქ-ამ, მ.მ-ამ, ვ.ჯ-ამ, ლა.ქ-ამ, თ. მ-ამ, მ.ს-ამ, მა.მ-ამ, გ.გ-ამ, ვ.(ვა) გ-ამ, მ.გ-ამ, გ.ს-ამ, ა.კ-ამ, მ.კ-ამ, ზ.კ-ამ და მოპასუხეებმა – სს „ს...მ« და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 12 ოქტომბრის დამატებითი გადაწყვეტილებით, მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა, სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სს „...ას“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აბაშის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელეთა სასარგებლოდ, სოლიდარულად დაევაღათ სასამართლოს გარე ხარჯის სახით ადვოკატის მომსახურებისთვის გადახდილი 2000 ლარის ანაზღაურება, ასევე მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების ხარჯი – 157 ლარის ოდენობით; სარჩელის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას მოსარჩელებისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯის – 100 ლარის მოსარჩელისათვის ანაზღაურება; საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის, წერილობითი განცხადებების,

წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისათვის – 212.45 ლარის; საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება – 200 ლარის ოდენობით; სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურებისათვის გაწეული საექსპერტო მომსახურების ხარჯის 251 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით, შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე დაკმაყოფილდა და დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 07 ოქტომბრის №3/8065-17 გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 12 ოქტომბრის დამატებითი გადაწყვეტილება, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 18 ოქტომბრის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 თებერვლის საოქმო განჩინება გასაჩივრებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 მარტის განჩინებით, სს „...ის“ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კერძო საჩივრები დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 18 ოქტომბრის განჩინება (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 7 ოქტომბრის) გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით, ლ.ქ-ას, ლუ.ქ-ას, მ.მ-ას, ვ.ჯ-ას, ლა.ქ-ას, თ.მ-ას, მ.ს-ას, მა.მ-ას, გ.გ-ას, ვ.(ვა) გ-ას, მ.გ-ას, გ.ს-ას, ა.კ-ას, მ.კ-ას, ზ.კ-ას, სს „ს...ს“ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 12 ოქტომბრის დამატებითი გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ლ.ქ-ას, ლუ.ქ-ას, მ. მ-ას, ვ.ჯ-ას, ლა.ქ-ას, თ.მ-ას, მ.ს-ას,

მა.მ-ას, გ.გ-ას, ვ.(ვა) გ-ას, მ. გ-ას, გ.ს-ას, ა.კ-ას, მ.კ-ას და ზ.კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეებს – სს „ს...ს“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიას სოლიდარულად დაევალოთ მარჩენალდაკარგული არასრულწლოვანი მოსარჩელების – ლ.ქ-ას, ლუ.ქ-ას და ა.კ-ას სასარგებლოდ, მამის გარდაცვალების გამო ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურება, 2015 წლის 2 იანვრიდან, სრულწლოვანებამდე, თითოეულისათვის ყოველთვიურად 2000-2000 ლარის ოდენობით; მოპასუხეებს – სს „ს...ს“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიას, სოლიდარულად დაევალოთ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის გამო, ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება მოსარჩელების მ. მ-ას სასარგებლოდ – 3 000 ლარის, ვ.(ვა) გ-ას სასარგებლოდ 3 000 ლარის, გ.გ-ას სასარგებლოდ – 3 000 ლარის, გ.ს-ას სასარგებლოდ – 3 000 ლარის, ვ.ჯ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, მ.ს-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, მა.მ-ას სასარგებლოდ – 500 ლარის, მ. გ-ას სასარგებლოდ – 500 ლარის ოდენობით. მოპასუხეებს – სს „ს...ს“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიას, სოლიდარულად დაევალოთ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციით გამოწვეული შემთხვევის გამო ადამიანის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება მოსარჩელების – თ. მ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, ლ.ქ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, ლუ.ქ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, მ.მ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, ვ.ჯ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, ლა.ქ-ას სასარგებლოდ 1 000 ლარის, მ.ს-ას სასარგებლოდ – 500 ლარის, ა.კ-ას სარგებლოდ – 1 000 ლარის, მ.კ-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის, გ.ს-ას სასარგებლოდ – 1 000 ლარის ოდენობით, ზ.კ-ა სასარგებლოდ – 1 000 ლარის, მე.კ-ს უფლებამონაცვლეების მ.კ-ას და ზ.კ-ას სასარგებლოდ 1 000 ლარის ოდენობით. მოპასუხეებს – სს „ს...ს“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიას სოლიდარულად დაევალოთ დასახიჩრების ან/და ჯანმრთელობის მოშლით მიყენებული მატერიალური ზიანის/მკურნალობისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება მ. მ-ას სასარგებლოდ 21 394,0 ლარის ოდენობით. მოპასუხეებს – სს „ს...ს“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიას, სოლიდარულად დაევალოთ გარდაცვლილი პირების დაკრძალვისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება მ.მ-ას, ვ.ჯ-ას და ლა.ქ-ას სასარგებლოდ – 5000 ლარის ოდენობით, გ.ს-ას, ზ.კ-ას და მე.კ-ს უფლებამონაცვლეების მ.კ-ას და ზ.კ-ას სასარგებლოდ – 5 000 ლარის ოდენობით, მ.ს-ას სასარგებლოდ – 5 000 ლარის ოდენობით. სს

„ს...ს“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აბაშის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელეთა სასარგებლოდ, სოლიდარულად დაევალოთ სასამართლოს გარე ხარჯის სახით ადვოკატის მომსახურებისთვის გადახდილი 2000 ლარის ანაზღაურება, ასევე მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების ხარჯი – 157 ლარის ოდენობით; სარჩელის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას მოსარჩელებისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯის – 100 ლარის ანაზღაურება; საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისათვის – 212.45 ლარის ანაზღაურება; საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება – 200 ლარის ოდენობით; სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურებისათვის გაწეული საექსპერტო მომსახურების ხარჯი 251 ლარის ოდენობით ანაზღაურება. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 თებერვლის საოქმო განჩინება.

2022 წლის 25 მაისს, აპელანტების ლ.ქ-ას, ლუ.ქ-ას, მ.მ-ას, ვ.ჯ-ას, ლა.ქ-ას, თ.მ-ას, მ.ს-ას, მა.მ-ას, გ.გ-ას, ვ.(ვა) გ-ას, მ.გ-ას, გ.ს-ას, ა.კ-ას, მ.კ-ას და ზ.კ-ას მიერ, თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი იქნა შუამდგომლობა, რომლითაც მოითხოვეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 25 მაისის განჩინებით მოსარჩელების შუამდგომლობა 2022 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე დაკმაყოფილდა და დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 მარტის №33/2564-21 (№330310017002194319) გადაწყვეტილება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 მარტისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 მაისის განჩინებები კერძო საჩივრებისა და საკასაციო საჩივრების მეშვეობით გაასაჩივრეს სს „...ამ“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 13 ივნისის, დასაქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 27 ივნისისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 ივლისის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სს „...ის“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო და კერძო საჩივრები.

2022 წლის 15 აგვისტოს სს „...ის“ ფინანსურმა დირექტორმა განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა საკასაციო საჩივრის უზრუნველყოფის შესახებ ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, 2022 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შეჩერება დავის გადაწყვეტამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „...ის“ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მართლმსაჯულების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე, შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული მექანიზმებს, რომლებიც ემსახურება საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფას.

კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლების ეფექტური დაცვის საშუალებებს, რომელიც არა მხოლოდ რეპრესიულ, არამედ პრევენციულ დაცვასაც გულისხმობს. რეპრესიული დაცვა უკვე დარღვეული უფლების აღდგენას ემსახურება, ხოლო პრევენციული დაცვა – მოსალოდნელი ნეგატიური, უფლების შემლახველი შედეგების თავიდან აცილებას. ამასთანავე, რეპრესიული დაცვის რეალური განხორციელება შესაძლოა შეუძლებელიც კი აღმოჩნდეს, უკეთეს გამოყენებული არ იქნება უფლების დაცვის პრევენციული საშუალებები, როგორცაა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, სსკ-ის XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად (სსკ-ის 271-ე მუხ.), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აღნიშნული თავი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხებს არეგულირებს, ამდენად, აღსრულების უზრუნველყოფა ხორციელდება სარ-

ჩელის უზრუნველყოფისთვის დადგენილი წესით. სსკ-ის 191-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი, კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად (სუსგ ბს-485(უს-22)).

განსახილველ შემთხვევაში, წარდგენილი განცხადებით სს „ს...“ ითხოვს 2022 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შეჩერებას დავის გადაწყვეტამდე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ; ამავე კოდექსის 270-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რომელიც არ შეაჩერებს ამ განჩინების შესრულებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 მაისის განჩინება (თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ) კერძო საჩივრის მეშვეობით გასაჩივრებულია როგორც განცხადების ავტორის სს „...ის“ მიერ, ასევე, მოპასუხეების-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივრების მოთხოვნას 2022 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 25 მაისის განჩინების გაუქმება წარმოადგენს, შესაბამისად, კერძო საჩივრითა და განცხადებით მოთხოვნილი განსახილველი საკითხები იდენტურია.

უზენაესი სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ დღეის მდგომარეობით, ვინაიდან, აღნიშნულ კერძო საჩივრებთან დაკავშირებით სამართალწარმოება საქართველოს უზენაეს სასამართლო-

ში ჯერ არ დასრულებულა, ხოლო სს „...ის“ მოთხოვნა არსებითად ემთხვევა კერძო საჩივრის მოთხოვნას, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საკასაციო საჩივრის უზრუნველყოფის თაობაზე ღონისძიების გამოყენების წინაპირობა და საკითხი გადაწყვეტილ უნდა იქნეს წარმოდგენილი კერძო საჩივრების განხილვის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიანიჭა, რომ ამ ეტაპზე არ უნდა დაკმაყოფილდეს სს „...ის“ მოთხოვნა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 194-ე, 198-ე, 285-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „...ის“ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-859(უს-22)

12 სექტემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-
მოყენება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2015 წლის 27 ივლისს შ. ბ-ემ სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუ-
როს მიმართ.

მოპასუხეთა წრისა და სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შე-
დეგად, მოსარჩელემ მოპასუხეებად მიუთითა – სსიპ აღსრულე-
ბის ეროვნული ბიურო, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭა-
რისა და გურიის სააღსრულებო ბიურო და სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო.

მოსარჩელემ მოითხოვა (დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვ-
ნები) – ა) უკანონოდ იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სა-
მინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის და
შემფასებლის 2015 წლის 17 აპრილის №01/07-1144 დასკვნა ქონე-
ბის შეფასების ნაწილში; ბ) ბათილად იქნეს ცნობილი საქართვე-
ლოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს
აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს 2015 წლის 10 აგვის-
ტოს A14011507-019/001 განკარგულება; გ) ბათილად იქნეს ცნო-
ბილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვ-
ნული ბიუროს 2015 წლის 20 ივლისის №3013 ბრძანება; დ) ბათი-
ლად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სა-
ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 23 ოქტომბრის
№... გადაწყვეტილება; ე) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს
იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-
ტოს 2015 წლის 29 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 იანვრის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაებნენ შპს „ტ...ი“ და მ. ც-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 თებერვლის განჩინებით შ. ბ-ის სარჩელზე, მოპასუხეების – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, მესამე პირების – მ. ც-ის, შპს „ტ...ის“ მონაწილეობით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 23 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით შ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 თებერვლის განჩინებაზე შ. ბ-ემ წარადგინა კერძო საჩივარი, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 აგვისტოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

3. 2022 წლის 7 ივნისს შ. ბ-ემ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის საფუძველზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალოს შპს „ტ...ში“ (ს/კ ...) რ. კ-ის (პ/ნ ...) სახელზე არსებული 53.35% წილიდან 30% წილის გასხვისების – გაყიდვის, გაცვლის, გაჩუქების, უსასყიდლოდ დათმობის, სასყიდლოთ დათმობის, იპოთეკით დატვირთვის რეგისტრაცია შ. ბ-ის სარჩელზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

განმცხადებლის განმარტებით, მას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ტ...ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 182 844,58 ლარის გადახდა. აღ-

ნიშნულ გადანყვეტილებზე 2013 წლის 30 სექტემბერს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი და აღსრულება განხორციელდა შპს „ტ...ში“ არსებული შ. ბ-ის 30% წილის აუქციონზე რეალიზაციის გზით, რომელიც შეიძინა ამავე შპს-ს პარტნიორმა, 23.53% წილის მფლობელმა, მ. ც-ემ.

იმ მიზნით, რომ შ. ბ-ის ადმინისტრაციული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ვერ მოხდეს მისთვის კუთვნილი წილის დაბრუნება, ზემოაღნიშნული 30% წილი მ. ც-ემ უსასყიდლოდ გადასცა მის შვილს, რ. კ-ეს, რომელმაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 21 მაისის გადანყვეტილებით დაირეგისტრირა წილზე საკუთრების უფლება. აღნიშნულის გამო, შ. ბ-ის მიერ სააპელაციო საჩივრით დაზუსტებულ იქნა მოთხოვნა, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლების საფუძველზე, მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2021 წლის 21 მაისის №... გადანყვეტილების ბათილად ცნობა (რ. კ-ის 30% წილის ნაწილში).

განმცხადებლის განმარტებით, მისი სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი საფუძველი არის ის, რომ შპს „ტ...ს“, შ. ბ-ის სასარგებლოდ გადასახდელი აქვს 621 426 ლარი. ადმინისტრაციული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოხდება შპს „ტ...ისა“ და შ. ბ-ის ურთიერთვალდებულებათა გაქვითვა, რაც გამორიცხავს შ. ბ-ის 30% წილის აუქციონზე გასხვისებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა კი გამომწვეულია იმით, რომ მ. ც-ემ სადავო 30% წილი დავის მიმდინარეობის პერიოდში უსასყიდლოდ გაასხვისა მის შვილზე, რ. კ-ეზე. რამდენადაც სასამართლოს საბოლოო გადანყვეტილება ჯერ მიღებული არ აქვს, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამჯერად, რ. კ-ემ გაასხვისოს ეს წილი, რის უფლებასაც მას აძლევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილის მეორე წინადადება, რომლის მიხედვით, მხარეებს არ ერთმევათ უფლება გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვიონ დავის საგანი, ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა. ასევე, არ არის გამორიცხული, რომ რ. კ-ემ იპოთეკით დატვირთოს სადავო წილი. ამასთან, შესაძლებელია, რომ შემძენი შეიძლება აღმოჩნდეს კეთილსინდისიერი, რაც შეუძლებელს გახდის გადანყვეტილების აღსრულებას იმ თვალსაზრისით, რომ ადმინისტრაციული სარჩელის დაკმაყოფილების მიუხედავად, შ. ბ-ეს ვერ დაუბრუნდება მისი კუთვნილი 30% წილი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის, შპს „ტ...ისა“ და შ. ბ-ის ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შედეგად აღარ იქნება ამ 30% წილის აუქციონზე გასხვისების საჭიროება,

მოსარჩელეს ეს წილი ვერ შეუნარჩუნდება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სადავო წილის გასხვისების შემთხვევაში მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება. ასეთ ვითარებაში კი წარმოდგენილი სარჩელის განხილვა და დადებითად გადაწყვეტა დაკარგავს ყოველგვარ ფაქტობრივ და სამართლებრივ მნიშვნელობას და ვერ გამოიწვევს იმ იურიდიული შედეგების დადგომას, რომელიც თან უნდა მოჰყვეს საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას. მოსარჩელე, მიუხედავად მართლმსაჯულების განხორციელებისა, ვერ მიაღწევს გადაწყვეტილების აღსრულებას და თავის კანონიერ უფლებასა და ინტერესებში აღდგენას, რაც თავის მხრივ, ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციითა და „ადამიანის უფლებათა შესახებ“ კონვენციით გაწვრივებული ფუნდამენტურ უფლებას საქმის სამართლიან სასამართლო მოსმენაზე.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის განჩინებით შ. ბ-ის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, 191-ე, 198-ე და 372-ე მუხლებზე მითითებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცულ ამა თუ იმ პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას, რომელსაც სასამართლო იყენებს დარღვეული, თუ სადავოდ ქცეული უფლების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე. აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისას სასამართლო მსჯელობს მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე, მოსარჩელის მიერ მითითებული იმ კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ადასტურებს ვარაუდს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე, კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაში მოსარჩელემ უნდა მიუთითოს შესაბამის გარემოებებზე, რომელთა გარეშეც მას მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების აღსრულება გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება და შესაბამისად, რაც სასამართლოს შეუქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, საქმის მასალების შესწავლის შედეგად სააპელაციო სასამართლო-

საც არ გასჩენია დასაბუთებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის მომავალში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება, ხოლო განმცხადებლის (აპელანტის) მიერ ვერ იქნა წარდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, წარმოდგენილი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ რატომ იქნებოდა შეუძლებელი ან რატომ გართულებოდა მომავალში, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. შესაბამისად, განცხადებაში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საკმარის საფუძველს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის, რის გამოც შუამდგომლობის ავტორს უარი უნდა ეთქვას მოთხოვილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის განჩინებაზე საჩივარი წარადგინა შ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელი უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ მისი განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

საჩივარში აღნიშნულია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით შ. ბ-ეს შპს „ტ...ის“ სასარგებლოდ დაკისრებული აქვს 182 844,58 ლარი, რომლის აღსრულების მიზნით ჩატარებულ აუქციონზე გასხვისდა შპს „ტ...ში“ შ. ბ-ის კუთვნილი 30% წილი. აღნიშნული წილი შეიძინა მ. ც-ემ და დავის მიმდინარეობის პერიოდში უსასყიდლოდ დაუთმო მის შვილს – რ. კ-ეს, იმ მიზნით, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ვერ მოხდეს მოსარჩელისათვის მისი წილის დაბრუნება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი საფუძველი არის ის, რომ შპს „ტ...ის“ შ. ბ-ის მიმართ გადასახდელი აქვს 621 426 ლარი, რაც დასტურდება საქმეში არსებული ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით. სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის საფუძველზე უნდა მოხდეს შ. ბ-ისა და შპს „ტ...ის“ ურთიერთვალდებულებათა გაქვითვა, რაც გამოორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ აუქციონზე მოსარჩელის კუთვნილი 30% წილის გასხვისებას. ვინაიდან არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების დასაბუთებული ვარაუდი, შესაბამისად, არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, რომლის გარეშეც გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება, ანუ შ. ბ-ეს ვერ დაუბრუნდება 30% წილი, თუ კი იგი გასხვისებული იქნება, რადგან შემძენი შეიძლება

აღმოჩნდეს კეთილსინდისიერი. სწორედ ამიტომ, უნდა იქნეს გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი ეკარგება როგორც სარჩელის, ისე სააპელაციო საჩივრის განხილვას.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 ივლისის განჩინებით შ. ბ-ის საჩივარი ამავე სასამართლოს 2022 წლის 8 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლზე და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება ემსახურება დავის საგნის დაცვას იმ მიზნით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდეს დაუბრკოლებლად. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას სასამართლო გამოიყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი შეძლებს, დაამტკიცოს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა რატომ გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ასევე უნდა დაასაბუთოს ამ ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე სასამართლოს უნდა გაუჩნდეს ვარაუდი, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს.

პალატის განმარტებით, საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საკმარის საფუძველს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის და შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მი-

იჩნევს, რომ შ. ბ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის ან ყადაღადადებული ქონების გამიჯვნაზე თანხმობის შესახებ განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა. ამავე კოდექსის 197¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გაეგზავნება მხოლოდ სასამართლო განჩინება საქმის დამონმებულ ასლებთან ან ელექტრონულ საქმის მასალებთან ერთად, ხოლო საქმის მასალების დედნები სასამართლოში დარჩება და საქმის განხილვას სასამართლო გააგრძელებს საერთო წესით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში წარდგენილი საჩივრით სადავოდ არის გამხდარი უზრუნველყოფის ღონისძიების – მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერება.

აღსანიშნავია, რომ სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავი (სარჩელის უზრუნველყოფა). საკაცო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად.

მართლმსაჯულების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე, შესაბამისად, კანონით გათვალისწინებულ მექანიზმებს, რომლებიც ემსახურება საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფას, აქვს უმნიშვნელოვანესი ლეგიტიმური მიზანი – მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.09.2016წ. №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამა-უნყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.52). საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლების ეფექტური დაცვის საშუალებებს, რომელიც არა მხოლოდ რეპრესიულ, არამედ პრევენციულ დაცვასაც გულისხმობს. რეპრესიული დაცვა უკვე დარღვეული უფლების აღდგენას ემსახურება, ხოლო პრევენციული დაცვა – მოსალოდნელი ნეგატიური, უფლების შემლახველი შედეგების თავიდან აცილებას. ამასთანავე, რეპრესიული დაცვის რეალური განხორციელება შესაძლოა შეუძლებელიც კი აღმოჩნდეს, უკეთეს გამოყენებული არ იქნება უფლების დაცვის პრევენციული საშუალებები, როგორცაა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

საკაცო სასამართლო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სარჩელის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების რეალუ-

რად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებაა მოპასუხისათვის რაიმე მოქმედების განხორციელების შეზღუდვის გზით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, შესაბამისად, მისი გამოყენება მიმართული უნდა იყოს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან მისი შეუძლებლობის თავიდან აცილებისაკენ მხოლოდ დავის საგანთან დაკავშირებით და არსებული მდგომარეობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს გააჩნია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ შეამდგომლობაში კონკრეტულად და რეალურად ვერ იქნა მითითებული იმ კანონშესაბამობის თაობაზე, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელებას ან შეუძლებლობას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, რაც გამოიწვევდა გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.

ამასთან უნდა განიმარტოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას. ინტერესთა ბალანსი დგინდება სარჩელის პერსპექტიულობის გათვალისწინებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია სამართლებრივი მდგომარეობის შემოწმებით. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე უარის თქმის ინტერესის უპირატესობა ამკარაა, თუ სარჩელს აქვს წარმატების ნაკლები პერსპექტივა, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ან გამოყენებაზე უარის თქმის დროს არ ხდება დავის არსებითად გადაწყვეტა.

ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთნაირად იცავს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესებს, ანუ მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხდება მოპასუხის ინტერესების გაუთვალისწინებლად. დაპირისპირებული ინტერესების არსებობისას მათ შორის სამართლიანი ბალანსი უნდა დადგინდეს. სწორედ აღნიშნული პრინციპი უდევს საფუძვლად იმ გარემოებას, როცა კანონმდებელი უშვებს სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და არა მის სავალდებულოობას.

დამატებით აღსანიშნავია, რომ მხარემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეექმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულებება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მოითხოვს – ა) უკანონოდ იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის და შემფასებლის 2015 წლის 17 აპრილის №01/07-1144 დასკვნა ქონების შეფასების ნაწილში; ბ) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს 2015 წლის 10 აგვისტოს A14011507-019/001 განკარგულება; გ) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 20 ივლისის №3013 ბრძანება; დ) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 29 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება.

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ მართებულად არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა, რადგან დავის საგნის გათვალისწინებით, არ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობა, ასევე არ არსებობს გარემოებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. საყურადღებოა, რომ შუ-

ამდგომლობის ავტორს არ აქვს მითითებული ისეთ გარემოებებზე, რაც სასამართლოს დაარწმუნებდა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში მას მიადგება ისეთი ზიანი, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნებისათვის გარკვეულწილად სარჩელის უსაფუძვლობის ვარაუდს ქმნის. თუმცა საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველი საკითხის ფარგლების გათვალისწინებით ამ ეტაპზე არ მოწმდება სარჩელის რეალური საფუძვლიანობა. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სარჩელის საფუძვლიანობის ან უსაფუძვლობის შესახებ სასამართლოს ვარაუდი არ წარმოშობს სარჩელის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ვალდებულებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საჩივრის დასაბუთებაში იგულისხმება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება, რომელიც საფუძვლად უდევს გასაჩივრებულ განჩინებას და რომელიც საჩივრის ავტორს მიაჩნია განჩინების გაუქმების საფუძვლად. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვისას სასამართლო მსჯელობს სწორედ განმცხადებლის მიერ განცხადებაში მითითებული გარემოებების, ხოლო საჩივრის განხილვისას საჩივარში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით საჩივრის ფარგლებში. სასამართლო ამოწმებს და არკვევს, რამდენად სწორად არის მიღებული გასაჩივრებული განჩინება იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რაზეც განცხადებაში იყო მითითებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე შეტანილი საჩივრის შინაარსი და ამომწურავადაა განმარტებული ის საკითხები, თუ რას უნდა შეიცავდეს საჩივარი. დასახელებული ნორმის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჩივარში უნდა აღინიშნოს გარემოებები, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნული თავისთავად ნიშნავს არა მხოლოდ ზოგად მითითებას, არამედ მხარის მიერ არგუმენტირებული პოზიციის ჩამოყალიბებას, რომლითაც უტყუარად და უალტერნატივოდ უნდა დასტურდებოდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ საკითხზე მიღებული განჩინების არამართებულობა.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი – შ. ბ-ე ვერ ასაბუთებს და უთითებს ისეთ რელევანტურ გარემოებაზე, რაც საფუძ-

ვლად დაედება მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებასა და მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით მისი ინტერესის უპირატესობას, შე-საბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შ. ბ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისისა და 11 ივ-ლისის განჩინებები;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოო-ოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge